პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 142 (12821) | 19 ივნისი პარასკევი 2009 | ფასი 60 თეთრი

# ლიპის გუნდი კრახის პირას

## ბრაზილია ნახევარფინალში






>> გვერდი 6 კონფედერაციათა თასი

# ქეცბაია კობიაშვილს ითხოვსო...


თემურ ქეცბაია


ლევან კობიაშვილი

კულუარული ინფორმაცია ნაკლული ამბავია, რაკი ვერ არის უტყუარი. მაგრამ ის ხშირად მართლდება. ამგვარ ინფორმაციას ენდობიან ჩვენშიც და სხვაგანაც. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გუშინ ბერძნულ გაზეთ „სპორტაიმის“ ჟურნალისტმა **ლარი სუსკასმა** გვაუწყა - **თემურ ქეცბაიას** „ოლიმპიაკოსში“ **ლევან კობიაშვილის** წაყვანა უნდაო. სუსკასმა მხოლოდ ის დაგვიზუსტა - ამის შესახებ ქეცბაიას პრესასთან არაფერი უთქვამს, მაგრამ „ოლიმპიაკოსში“ კობიაშვილის შესაძლო ტრანსფერზე კულუარებში ნაღდად საუბრობენო.

კობიაშვილი თავისუფალი აგენტი არ არის, „შალკესთან“ კვლავაც აკავშირებს კონტრაქტი და თუ ქეცბაია მისი ტრანსფერით მართლაც ცხოვლადაა დაინტერესებული, ბერძნებს არცთუ ცოტა ფულის გადახდა მოუწევთ.

კობიაშვილი უკვე 9 წელია, გერმანიაში თამაშობს და ნაკლებად სავარაუდოა, იქაურობას თუნდაც საბერძნეთის ჩემპიონის გამო შეელიოს. მართალია, დამდეგი სეზონიდან „შალკეს“ დესპოტად წოდებული **ფელიქს მაგათი** გაწვრთნის, მაგრამ არა გვგონია, ეს სერიოზული ფაქტორი იყოს კობიაშვილისთვის, ბუნდესლიგიდან ბერძნულ სუპერლიგაში გადასაბარგებლად. თავის დროზე, კობიაშვილს **ვალერი გაზაევი** ცსკა-ში ეპატიჟებოდა და ცხადია, „შალკეზე“ უკეთეს ჯამაგირსაც სთავაზობდა, მაგრამ ლევანმა ულვაშა უარით გაისტუმრა...

**დავით თავართქილაძე**




# გამონაკლისი ზესტაფონისთვის

>> გვერდი 2

# დაიშლება დიდი მილანი?




## პირლო: შეიძლება ჩელსიში წავიდე

>> გვერდი 8 მოსალოდნელი ტრანსფერი

# საქართველოში თაობები დღესაც იზრდებიან!



>> გვერდი 4 დავით ყიფიანის თასი და მერაბ ჟორდანიას კომენტარი

ევროტურნირების წინ

# უეფამ ზესტაფონისთვის გამონაკლისი დაუშვა

## ევროპის ლიგას იმერეთიც უმასპინძლებს

ამ ორიოდე კვირის წინ ვწერდით, ევროპის ლიგაზე „ზესტაფონის“ საშინაო მატჩების მშობლიურ ქალაქში ჩატარებას რეალური საფრთხე რომ ემუქრებოდა. სტადიონის განახლების მიუხედავად, ყვირილისპირელებისთვის აეროპორტის საკითხი იყო პრობლემური. უეფას რეგლამენტის მიხედვით, საერთაშორისო მატჩის მასპინძლობისთვის აეროპორტი სტადიონიდან 100 კმ-ის რადიუსში უნდა მდებარეობდეს. „ზესტაფონისთვის“ ასეთი მხოლოდ კოპიტნარის აეროპორტია, რომელსაც რუსული აგრესიის კვალი დღემდე ატყვია - ასაფრენი ზოლი არ შეკეთებულა.

ამ საკითხს რომ საფეხბურთო კლუბი ვერ მოაგვარებს, სადავო არ არის. ამიტომ, „ზესტაფონის“ მესვეურებმა სხვა გათვლა გააკეთეს, რამაც, როგორც აღმოჩნდა, გაამართლა კიდეც - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეშვეობით კლუბმა უეფას გამონაკლისის დაშვება სთხოვა, არგუმენტი კი შარშან აგვისტოში განხორციელებული რუსული ინტერვენციით გაამაგრა - ეგებ, სხვა აეროპორტის გამოყენების ნება დაგვრთოთო. საბედნიეროდ, უეფა ქართული მხარის თხოვნას გაგებით მოეკიდა და „ზესტაფონს“ შინაურ არენაზე თამაშის ნება დართო. ეს ამბავი კლუბის პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ გვახარა. სტუმრების მისალებად კი ზესტაფონელები ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს გამოიყენებენ.

აქედან გამომდინარე, „ზესტაფონის“ უფროსობას ხელ-ფეხი გაეხსნა და სტადიონზე ახლა განათებისა და ტაბლოს დამონტაჟებასაც უნდა ველოდეთ, თუ მოესწრო, რა თქმა უნდა. საამისოდ, ბევრი დრო ნამდვილად არ არის დარჩენილი. შეგახსენებთ, რომ „ზესტაფონი“ ევროპის ლიგაზე პირველ მატჩს 2 ივლისს გამართავს, ხოლო თუ ვისთან და სად, ამას უკვე 22 ივნისს, ნიონის წილისყრისას გავიგებთ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# კალაძე გამოჩნდა

## აგვისტოში ისლანდიაში


კახა კალაძე

ეროვნული ნაკრებისა და „მილანის“ მცველი **კახა კალაძე** მუხლზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ აქამდე სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა. ნაკრების კაპიტანმა 13 კვირის წინ ბელგიაში, მარტენსის ცნობილ კლინიკაში, მარჯვენა ფეხის მუხლზე რთული ოპერაცია გაიკეთა. იქიდან მოყოლებული, კალაძე ფიზიოთერაპიის კურსს გადიოდა და მხოლოდ სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშით შემოიფარგლებოდა. როგორც გავიგეთ, უკვე რამდენიმე დღეა, რაც კახამ სირბილი განაახლა. ბურთით მსუბუქ ვარჯიშს კი ივნისის ბოლოს შეუდგება. 6 ივნისს „მილანის“ ფეხბურთელებს შვებულება ეწურებათ და მომდევნო თვეში კახა კალაძეს უკვე გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშიც შეეძლება. შეგახსენებთ, რომ 23 აგვისტოს სერია A-ს ახალი სეზონი იწყება და კახას სურს, ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.

დაბოლოს, ნაკრების კაპიტანს წელს, 1-ელ თებერვალს ირლანდიაში ჩატარებული მატჩის შემდეგ ეროვნულ გუნდში არ უთამაშია. კახამ ტრავმის გამო 4 სანაკრებო (მათ შორის 2 საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი) იძულებით გამოტოვა. **ექტორ კუპერის** გუნდს უახლოესი მატჩი, 12 აგვისტოს ისლანდიაში ელის და წესით, კალაძე ნაკრებს სწორედ ჩრდილოეთში უნდა დაუბრუნდეს. ამ ამხანაგურ შეხვედრას კი უკვე 5 სექტემბერს იტალიასთან საკვალიფიკაციო ეტაპის საშინაო თამაში ელის.

**დავით ცაბაძე**

სპეციალისტის დასკვნა

# საქართველოს ნაკრების ექიმი: გოცირიძე აუცილებლად დაგვიბრუნდება!

## ბექა დარწმუნებულია, ძველებურზე უკეთ ვითამაშებო...


ბექა გოცირიძე

**ბექა გოცირიძე** ფეხბურთს აუცილებლად დაუბრუნდება და თანაც, ყოველგვარი პრობლემის გარეშე, - ასეთი დამაიმედებელი კომენტარი გააკეთა „ლელოსთან“ საუბარში საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ექიმმა **ვალერი ახალკაცმა**.

ავარიის შემდეგ საქართველოს ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ფორვარდის მომავალი ყველას ადარდებდა. ბექას ელენთა ამოაჭრეს, ძველებური წარმოდგენებით კი ასეთ მდგომარეობაში სპორტული ცხოვრების გაგრძელება გამორიცხული იყო. ამიტომაც გავრცელდა ხმები, თითქოს ბექა ფეხბურთს ველარ ითამაშებდა. დაგვეთანხმებით, 21 წლის იმედის მომცემი ფეხბურთელისთვის შემზარავი პერსპექტივაა, მაგრამ...

...მაგრამ ის, რომ ახლა XXI საუკუნეა და მედიცინა დიდ სიმაღლეზეა. ჰოდა, გოცირიძის საფეხბურთო მომავლის თაობაზე სკეპტიციზმსაც წერტილი დაესვა. აი, რა გვითხრა ვალერი ახალკაცმა:

*„რა თქმა უნდა, ბექა ფეხბურთს ითამაშებს! ელენთის ამოჭრა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ზრდასრული ადამიანისთვის ასეთ შემთხვევაშიც შესაძლებელია თამაში და თანაც, ყოველგვარი გართულების გარეშე. ბექა ძველებურად შეძლებს სრული დატვირთვით ვარჯიშსაც და თამაშსაც. მთავარია, რეაბილიტაციის პროცესი კარგად წარიმართოს, არ აჩქარდეს, ჭრილობები დროულად შეუხორცდეს და მოედანს საკმაოდ მალე დაუბრუნდება. რეაბილიტაციას კი, მინიმუმ, ექვსი თვე დასჭირდება. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ბექა ითამაშებს“,* - გვითხრა ახალკაცმა.

გუშინ თავად ბექას დავუკავშირდით. სასიამოვნოა, რომ ფეხბურთელი თავდაპირველი შოკიდან გამოვიდა და ხალისიანი განწყობით გველაპარაკა.

*„ექიმებმა მეც მითხრეს, რომ მოედანს აუცილებლად დავუბრუნდები და ამან უზომოდ გამახარა. დღეს ჭრილობიდან ნაკერები უკვე ამომიღეს და საავადმყოფოდან ორ დღეში გამწერენ. ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო, მთავარია, ფეხბურთს ვითამაშებ. ახლა ისეთი იმედი გამიჩნდა, რომ დარწმუნებული ვარ, ძველებურზე უკეთაც ავთამაშდები“,* - გვითხრა გოცირიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

პრესკონფერენცია

### გაიოზ დარსაძე

# ...ამიტომაც არ აქვს ნაკრებს შედეგი

## როგორ უნდა დავძლიოთ თანამედროვე ფეხბურთთან ჩამორჩენა

**მწვრთნელთა განათლებაზე ფეხბურთის დონე, განვითარება და მომავალი დიდადაა დამოკიდებული. უკვე წლებია, რაც ჩვენში ამ მხრივ სპეციალური პროგრამა ხორციელდება, რომელიც სემინარებისა და გამოცდების შემდეგ სხვადასხვა კატეგორიის სამწვრთნელო სერტიფიკატის გაცემით მთავრდება. ამ საქმეს ფეხბურთის ფედერაციაში მწვრთნელთა განათლების დირექტორი გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობს (სხვათა შორის, დღეს ის 45 წლის გახდა). სწორედ ამ და სხვა საინტერესო თემებს შეეხო გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გამართული პრესკონფერენცია, რომელსაც დარსაძე უძღვებოდა...**


გაიოზ დარსაძე

- ჩვენი ფეხბურთის ფედერაციამ ჯერ B, მოგვიანებით კი A კატეგორიის ლიცენზიის გაცემის უფლება მიიღო. ჩვენ მიერ გაცემული დიპლომით მწვრთნელებს ამ კონვენციაში შემავალ, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლიათ მუშაობა. დღეისათვის C ლიცენზიის მქონე 300-ზე მეტი მწვრთნელი გვყავს, B ლიცენზია 261-მა სპეციალისტმა მიიღო, A კატეგორიისა კი 88-მ. მწვრთნელთა განათლების საქმეში ცნობილი სპეციალისტები გვყავს ჩართული. ისეთები, როგორებიც არიან ფრანკო ფერარი, რომელიც იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში მწვრთნელთა განათლების დირექტორია, არაერთი წიგნის ავტორი და ევროპულ ფეხბურთში ცნობილი პიროვნებაა. მის დარად, ფასდაუდებელი სამუშაო გასწია ფრანგმა ჟაკ დევიმმა, რომელიც ფიზიკურ მომზადებას ასწავლიდა ჩვენს მწვრთნელებს. ხინეს მელენდესი გვყავდა მოწვეული, რომელიც ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებებს ხელმძღვანელობს. გერმანიიდან ერიხ რუტემიოლერი შემოწმების თვალსაზრისით ჩამოვიყვანეთ. საქართველოში მწვრთნელთა განათლების პროცესი უეფას ხელმძღვანელობითა და მისი კონტროლით მიმდინარეობს. იქიდან კი ამ საქმეს უეფას ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგი ადევნებს თვალს.

- საქართველო გრაასრუტის ანუ მასობრივი ფეხბურთის განვითარების წევრი გახდა. უეფადან 4 წლის განმავლობაში 400 ათას ევროს მასობრივი ფეხბურთის განვითარებისთვის, ამდენივეს კი მწვრთნელთა განათლებისთვის მივიღებთ. წელიწადში 100-100 ათასს გამოგვიყოფენ.

- უცხოელ მწვრთნელებსაც სურთ თბილისში მიიღონ C, B თუ A კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზია. საამისოდ გარკვეული კატეგორიების გავლაა საჭირო. გარდა ამისა, მათ ენობრივი ბარიერის პირობების მოხსნაც მოუწევთ...

- A კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზია უმაღლესი ლიგის ყველა მწვრთნელმა აიღო. ამას უეფას საკლუბო ლიცენზირების სისტემაც ითვალისწინებს. მათ გარდა ისეთმა ცნობილმა პერსონებმა აიღეს A ლიცენზია, როგორებიც არიან ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, არჩილ და შოთა არველაძეები, კახი გოგიჩაიშვილი, სოსო ფრუიძე, სოსო ფილია... ასევე სოსო ჭედია, რომელიც ახლა უკვე „ოლიმპიაკოსშია“ თემურ ქეცბაიას ასისტენტი. სხვათა შორის, ქეცბაიამ ჩვენთან აიღო თავის დროზე B ლიცენზია...

- PRO-კატეგორიის ლიცენზიის გაცემის უფლება ჯერ არ გვაქვს, მაგრამ ეს ეტაპობრივი პროცესია, ნელ-ნელა წინ მივიწევთ და მჯერა, ამ უფლებასაც მალე მოვიპოვებთ. მით უმეტეს, C, B და A ლიცენზიის გაცემის უფლება, უკვე მოვიპოვეთ. პოსტსაბჭოთა სივრცეში PRO-ლიცენზიას მხოლოდ უკრაინა, რუსეთი და ესტონეთი გასცემს.

- მწვრთნელებს ექტორ კუპერის მიერ ჩატარებული ვარჯიშებიც ვაჩვენეთ. საოცარი ისაა, რომ კუპერს სამშაბათის ვარჯიშებზე ზოგჯერ ელემენტარულის სწავლება უწევს ფეხბურთელებისთვის. მწვრთნელთა განათლება თავის დროზე სათანადო დონეზე რომ ყოფილიყო, გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთელები გვეყოლოდა და ნაკრებსაც უკეთესი შედეგები ექნებოდა. საქართველოში 25 ათასი რეგისტრირებული ფეხბურთელია. ეს მაშინ, როცა ზუსტად ჩვენი ქვეყნის ტოლ ნორვეგიაში 400 ათასი რეგისტრირებული მოთამაშეა. ხარისხი რაოდენობიდან მოდის, როცა დიდი კონტინგენტიდან გიწევს არჩევა, იქიდან უფრო უკეთესს აარჩევ, ვიდრე მცირე კრებულიდან. კარგი ღვინისთვის ჯერ კარგი ნერგი, მერე ვაზის სათანადოდ მოვლა, სათანადო ნაყოფი, მერე მცოდნე ტექნოლოგია საჭირო, რომელიც კარგ ღვინოს დააყენებს. ფეხბურთშიც ასეთი სისტემაა. ნერგები ბავშვთა ფეხბურთია, ვაზი - ახალგაზრდული ნაკრები, ღვინის დაყენება კი - ეროვნული გუნდი. ასე რომ, ფეხბურთის განვითარებისთვის მწვრთნელთა განათლება აუცილებელი კომპონენტია, რომელიც ყოველთვის წინა პლანზე უნდა იყოს დაყენებული. ამავე დროს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ფეხბურთს და ინფრასტრუქტურას. თუ ინფრასტრუქტურა არ გაქვს, რაც უნდა მაღალი დონის მწვრთნელი გყავდეს, შედეგს ვერ მიაღწევ ან უკეთეს შემთხვევაში, ეს პროცესი გაგიჭირდება და დროში გაიწელება. თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშეები 13-14 კილომეტრს დარბიან. წლების წინ კი ამის ნახევარ მანძილს ფარავდნენ. ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულები ავილოთ, „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელები მატჩებზე საშუალოდ 600-700 პასს აკეთებენ. ეს ჩემი კი არა, უეფას ოფიციალური მონაცემებია. ამ მაჩვენებლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ევროპულ, თანამედროვე ფეხბურთს საგრძნობლად ჩამოვრჩებით. ეს ჩამორჩენა კი იმით უნდა დავძლიოთ, რომ უნდა მივხედოთ ინფრასტრუქტურას, ბავშვთა ფეხბურთს და რაც მთავარია, მწვრთნელთა განათლებას.

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## ალექსანდრე ამისულაშვილი

# გოგუას, გვაზავას, მუჯირისა და ასათიანის იგნორირება უბრალოდ გაუგებარია

## არასწორი საკადრო პოლიტიკის შედეგი სახეზეა: ვისაც არ ეზარება, ყველა გვიგებს



მარცხნიდან: ალექსანდრე ამისულაშვილი, დავით სირაძე

**ალექსანდრე ამისულაშვილი** დარწმუნებულია, რომ საქართველოს ნაკრები გაცილებით უკეთ ითამაშებს, თუ საუკეთესო ფეხბურთელებს მიიწვევენ და ექტორ კუპერი ქართველ ფეხბურთელებთან ურთიერთობის სტილს შეცვლის. ნალჩიკის „სპარტაკის" ცენტრალური მცველი საქართველოს ნაკრებში მოიძულეს, თორემ რუსეთში ძალიან აფასებენ. ალეკომ მალე არჩევანი უნდა გააკეთოს - როგორ დაშორდეს უმტკივნეულოდ რუსეთის პრემიერლიგის აუტსაიდერ „სპარტაკს"? წინადადება კი უხვად მიილო და ახლა სხვა კლუბში გადასვლაზე ფიქრობს...

**- ალეკო, ნალჩიკის „სპარტაკმა" ჩემპიონატის პირველი წრე ძალიან ცუდად ჩაატარა. რა იყო ამის მიზეზი?**

- ალბათ, უილბლობა. შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთადერთი კლუბი მოსკოვის „სპარტაკია", რომელმაც დაგვჩაგრა. ყველა სხვა მეტოქეს უკანასკნელ წუთამდე ვებრძოლეთ. ბოლოდან მეორე ადგილზე ვართ, ვნერვიულობთ და ეს თამაშებსაც დაეტყო. ისეთი მატჩები წავაგეთ, ქულა მაინც რომ უნდა აგველო. ხუთ შეხვედრაში გოლი ბოლო წუთებზე ან დამატებულ დროში გავუშვით. 5 ქულას ასე ჰაერზე რომ დაკარგავ, გახდები აუტსაიდერი, აბა, რა იქნება?! ყველაზე საწყენი ის არის, რომ „სპარტაკი" ცუდი გუნდი არ არის, ბირთვი რამდენიმე წელია, არსებობს, შეთამაშებულებიც ვართ, მაგრამ მაინც ვერ ვიგებთ. იმედია, ვითარებას მეორე წრეში გამოვასწორებთ.

**- მეორე წრესაც"სპარტაკში" ჩაატარებთ?**

- ეს ჯერ არ ვიცი. ისე, სხვაგან გადასვლა კი მინდა...

**- „სპარტაკის" დატოვებას ამ ზამთარსაც აპირებდით, მაგრამ...**

- ვაპირებდი, მაგრამ „ტერეკში" არ გამიშვეს, იმის მიუხედავად, რომ გროზნოელები სერიოზულ თანხას იხდიდნენ. აგერ, „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი იური კრასნოჟანი დღესაც დამიკავშირდა და დარჩენა მთხოვა. მძიმე ვითარებაში ვარ. რა თქმა უნდა, უკეთეს კლუბში გადასვლაზე ვფიქრობ და რეალური წინადადებებიც მაქვს. მეორე მხრივ, კრასნოჟანისგან ნდობას ყოველთვის ვგრძნობდი. ადამიანურად, მისგან დავალებული ვარ და გაჭირვებაში როგორ მივატოვო?! ახლა ტრანსფერისთვისაც ცუდი დროა. რუსეთში ფინანსური კრიზისია და კლუბებს ძალიან გაუჭირდათ, ბიუჯეტიც ლამის ყველას შეუმცირდა. არადა, „სპარტაკი" ჩემში დიდ ფულს მოითხოვს და არ ვიცი, რომელი კლუბი გადაიხდის ამდენს.

**- და რომელი კლუბი გიწვევთ?**

- ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია.

**- რუსეთის მოქალაქეობა ტრანსფერს გაგიადვილებთ...**

- რა თქმა უნდა. ჩემთვის მთავარია მოხვედრა ძლიერ კლუბში, რომელიც მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებს.

**- გოგუას ნაკრებში აღარ იძახებენ და არ ვიცით, ახლა როგორ ფორმაშია...**

- დისკვალიფიკაციის გამო, გოგიტამ სამი თამაში - ანუ, ფაქტობრივად, მთელი თვე გამოტოვა. ამის მიუხედავად, „ზენიტთან" საუკეთესო იყო. მეორე ტაიმში კი დიდი ხნის უთამაშებელი დაიღალა და შეცვალეს. გოგუა რომ ძლიერი ფეხბურთელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

**- ნაკრებში უთამაშებლობას ძალიან განიცდის?**

- ძალიან, მაგრამ რა უნდა ქნას?! წლებია, რუსეთში ვთამაშობ და ვიცი, ვინ რას აკეთებს. თუნდაც გვაზავა - ზამთარში ყაზანის „რუბინი" მასში ორ მილიონ დოლარს იხდიდა, მაგრამ „ლუჩ-ენერგიამ" მეტისმეტი მოინდომა, 5 მილიონი მოითხოვა და ტრანსფერი ჩაიშალა. ბევრი ფეხბურთელია საქართველოს ნაკრებში, რომელშიც, გვაზავასი არ იყოს, 2 მილიონ დოლარს გადაიხდიან? ლევანი გუნდის „მოტორია" და კლუბები ყოველდღე უკავშირდებოდნენ. არ მესმის, რატომ არ გამოადგება ის ნაკრებს? ყველამ კარგად იცის, როგორ აფასებენ რუსეთში მალხაზ ასათიანს. ძალიან კარგი ფეხბურთელია მუჯირიც... კაცმა რომ თქვას, რომელ მათგანს სჭირდება ჩემი დახასიათება? ლოგიკას ვერ ვხედავ, რატომ არიან საქართველოსთვის ისინი უინტერესონი?! რუსეთის ლიგაში დონეა დაბალი, თუ რატომ?

**- პირადად თქვენ, რატომ მოგიძულეს?**

- წარმოდგენა არ მაქვს.

**- გულახდილად ამბობთ?**

- აბსოლუტურად.

**- ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი არ გქონიათ?**

- არა, რა კონფლიქტი, მათთან შეხებაც არ მაქვს. ყველაფერი მერაბ ჟორდანიას წასვლის შემდეგ დაიწყო, მაგრამ მე რას მერჩოდნენ, ვერ ვხვდები. ჟორდანიას ნათესავი ვიყავი თუ თამაში დამავიწყდა? ზოგჯერ, ალენ ჟირესი უთამაშებელსაც მიწვევდა, მის შემდეგ კი ორჯერ მათამაშეს და ისიც - ძალიან მცირე ხნით. იმას რა დამავიწყებს, ერთხელ კლაუს ტოპმიოლერმა 18 კაცშიც რომ არ დამაყენა. არადა, ხომ ვიცოდი - ზოგჯერ იმათ იწვევდა, ვისი გაყიდვაც გერმანიაში სურდა... სხვა რა გითხრათ... არ მესმის, მოლდოვამ თბილისში როგორ უნდა მოგვიგოს? მისი ლიდერი რუსეთის ერთ რიგით კლუბში, „როსტოვში" თამაშობს! ნერვები მეშლება - სად მოლდოვა და სად საქართველო?! ჩვენთან რომ ტალანტები არიან, მსგავსი არც დაესიზმრებათ, მაგრამ მაინც გვისწრებენ. ასაკოვანი ვარ თუ უდისციპლინო? რატომ მექცევიან ასე, წარმოდგენა არ მაქვს.

**- მაგრამ ხომ იყო შემთხვევა, „სამშაბათობაზე" რომ არ გამოცხადდით? როგორც კუპერი ამბობს, სიიდან მას შემდეგ ამოგშალათ, როცა ნაკრებში ვარჯიშს დუბაიში დასვენება არჩიეთ...**

- ფაქტობრივად, ტრაპზე ვიყავი, როცა შემატყობინეს, კუპერმა საგურამოში დაგიბარაო. გაუგებარი დამოკიდებულება მხოლოდ ჩემ მიმართ არ აქვთ. კუპერი საქართველოში მხოლოდ პრინციპებით ვერ იმუშავებს. როცა 30 ვარსკვლავი გყავს, შეგიძლია, პრინციპის გამო, რომელიმე გააგდო, მაგრამ როცა კარგი ფეხბურთელები სანთლით საძებარია და ნაკრები ძალიან დასუსტებულია, დასაკარგი არავინაა! გოგუას, მუჯირის, ასათიანისა და გვაზავას იგნორირება უბრალოდ გაუგებარია. აგერ, არასწორი საკადრო პოლიტიკის შედეგიც სახეზეა - ვისაც არ ეზარება, ყველა გვიგებს.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მენთეშაშვილი ლიდერია

ლატვიის ვირსლიგაში მორიგი, მე-15 ტურის მატჩები გაიმართა. ცენტრალური შეხვედრა ჩემპიონ „ვენტსპილსის" და რიგის „სკონტოს" დაპირისპირება იყო. ჩემპიონმა 2:1 იმარჯვა. გამარჯვებულთა რიგებში სასტარტო შემადგენლობაში იყო **ზურაბ მენთეშაშვილი**, სტუმრებში კი - **დავით გამეზარდაშვილი**. სანაკრებო პაუზის შემდეგ **ლადო დვალიშვილი** უმთავრესად შეცვლაზე შედის, ასე იყო ამჯერადაც. ქართველებს თავი არ გამოუჩენიათ. სხვათა შორის, ჩემპიონატის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას მხოლოდ 800 მაყურებელი დაესწრო.

**თამაზ პერტიას** „დინაბურგმა" სტუმრად 3:0 გაანადგურა „დაუგავა". **ვასილ ლუჩაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში კი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ტრავმის გამო მოედანი მე-11 წუთზე დატოვა. „დინაბურგის" მეორე ქართველი **ირაკლი ქორთუა** მოედანზე 54-ე წუთზე გამოჩნდა. „ვენტსპილსი" 36 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, „სკონტო" 29 ქულით მესამე ადგილზე რჩება, „დინაბურგი" 21 ქულით მეოთხეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ერთი კვირის ათასი წვრილმანი
დავით თავართქილაძის რუბრიკა

# მეექვსე ფუნქცია

## ანუ რა დროს საქართველოა?

ეკონომიკის სახელმძღვანელოებში წერია, რომ ფულს აქვს 5 ფუნქცია. რა თქმა უნდა, აქ საქმე ეხება წმინდა მეცნიერულ-საგანმანათლებლო ასპექტებს, მაგრამ მაინც - 5 ფუნქცია არის ნიადაგი, რასაც ესაძირკვლება ბიზნესი, ეკონომიკა და ცხოვრება.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა დიდი თავსატეხი არ გაუჩინა ფეხბურთის ფედერაციას და მთლიანად საფეხბურთო სამყაროს, თუმცა, მიუხედავად ჩვეულებრივი ამბისა, მე მაინც მგონია, რომ კახა ცხადაძის ბაქოს „ინტერში" წასვლა ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა ჩვენი პატივცემული საზოგადოებისთვის. ცხადაძეს ჰქონდა ამბიცია, გამხდარიყო საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი და ამას მიაღწია კიდეც. ფედერაციის მხრიდან ეს არ იყო მარტივად მისაღები გადაწყვეტილება. ცხადაძე ნოდარ ახალკაცის ერთ-ერთი მწვავე ოპონენტი და მაკრიტიკებელი იყო. ერთ-ერთ თოქ-შოუში ლამის საქმე გაურჩია ფედერაციის პრეზიდენტს და ახალკაცს ისღა დარჩენოდა, ეთქვა - მე „თქვენობით" გელაპარაკებით და „შენობით" რატომ მომმართავთო? მას მერე გაიმართა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის კიდევ ერთი სამარცხვინო არჩევნები, თუმცა... ამ ორგანიზაციის არგუმენტირებული თუ დაუსაბუთებელი კრიტიკა ყოველთვის მომგებიანი იყო და არის რაგინდარა პრეზიდენტის პერიოდში. ახლა კი ფეხბურთის ფედერაცია ღირსეულად გამოვიდა ამ მეტად უხერხული სიტუაციიდან - თავისივე დანიშნული მწვრთნელი აზერბაიჯანში წაუვიდა და სატრანსფერო თანხა არ მოითხოვა, ოდენ საკომპენსაციო ფულს დასჯერდა.

ცხადაძე „ინტერში" უკეთესი პირობების ანუ ფულის გამო წავიდა და აქ დასაძრახი რა უნდა იყოს? საქართველოს 21-წლამდელთა გუნდიც ეროვნული ნაკრებია, საკუთარი ქვეყნის ღირსებას იცავს, ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრისთვის იბრძვის და უცებ, ბაქოს „ინტერი" და საქმე დასაბამშივე მიტოვებულია.

მერე რა? განა არ იცით, ვინ არის უოლტერ სმიტი? ერთობ კოლორიტული და დაფასებული მენეჯერი მთელ გაერთიანებულ სამეფოში. 2004 წელს მას შოტლანდიის ნაკრები ჩააბარეს. მანამდე სქოთებს ბერტი ფოგტსი წვრთნიდა და საქმეს თავი ვერ გაართვა - ვერც შოტლანდიურ ჯიგარს ჩასწვდა და ვერც ვერაფერი მოახერხა, ამ თანამდებობაზე ბერტი ბერწი გამოდგა. ჰოდა, უხმეს სმიტს, „რეინჯერსის" სახელგანთქმულ მენეჯერს, ნამდვილ შოტლანდიელს, პროლეტარული წიაღიდან გამოსულ კაცს... ნაკრებში სმიტის დანიშვნა ფაქტობრივად ფილოსოფიური გადაწყვეტილება იყო. განა არ გახსოვთ, ევრო 2008-ის შესარჩევში სქოთებმა საფრანგეთს „ჰემპდენ პარკზე" 1:0 რომ მოუგეს? ამ მოგებით შოტლანდია ჯგუფში გალიდერდა. და ალბათ ისიც გახსოვთ, რომ სწორედ იმ მომენტში სმიტს „რეინჯერსში" გადასვლა შესთავაზეს. სმიტიც წავიდა. შოტლანდიელებისთვის „რეინჯერსი" თითქმის იგივეა, რაც თბილისის „დინამო" იყო ადრე ჩვენთვის და სმიტის ნაკრებიდან „აიბროქსზე" მისვლა შემაზანზარებელი ამბავი არ ყოფილა. მისი ტრანსფერი შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციისგან „რეინჯერსმა" გამოისყიდა. ის უკეთესი გასამრჯელოს გულისთვის დაბრუნდა „რეინჯერსში", მაგრამ აქ ბაქოს „ინტერთან" გვაქვს საქმე...

ეს ორი ამბავი ერთმანეთს ჰგავს და თან არ ჰგავს. თუმცა ეს არ უნდა იყოს მთავარი. ცხადაძის ბაქოს „ინტერში" წასვლა პრაქტიკული გადაწყვეტილება იყო. მწვრთნელის ხელობაც ის არის, რომ უკეთეს ჯამაგირზე წავიდეს გუნდიდან გუნდში, ქვეყნიდან ქვეყანაში, საქართველოშიც ამიტომ ჩამოდიოდნენ ტოპმიოლერი, მინგე, შეგრტი თუ ცანკერი, ზოგიერთ მათგანს თაღლითს უწოდებდნენ, ზოგს კიდევ რას - დახეთ, უცხოელები ქართულ ნაკრებებში ფულისთვის ჩამოდიან და თან მცონარობენო. ცხადაძემ კი ყველაფერს წერტილი დაუსვა - არანაირი პათეტიკა, მწვრთნელობა, თუნდაც ეროვნული გუნდის, პირველ ყოვლისა პროფესიაა, რაშიც ფულს იხდიან, ფული სპობს ყველანაირ უაზრო პათეტიკას და ესეც მისი კიდევ ერთი ფუნქცია.

### არანაირი თაღლითობა, მხოლოდ ხელების სისწრაფე

ქართველი ახალგაზრდები ყოფილ მეკარეს ჩააბარეს. ოთარ გაბელია არ ყოფილა რენე იგიტა, ხორხე კამპოსი თუ ტონი შუმახერი, თუმცა ძალზე თავისებური გოლკიპერი კი გახლდათ. საერთოდაც, მეკარეები სხვებისგან მკვეთრად განსხვავებული ხალხია. მეკარეობას განსაკუთრებული ნერვები სჭირდება.

გაბელიას ძლიერი ნერვები უთუოდ უნდა ჰქონდეს დაგულებული. ახლა ის დროა, საქართველოს პირველ ნაკრებში რომ თამაშობენ ნახევარფაბრიკატი ფეხბურთელები და ახალგაზრდულში ვითომ სხვანაირად რატომ უნდა იყოს?

წინადღეს, სანამ ფედერაციის აღმასკომი გაბელიას ახალგაზრდების დამრიგებლად დაამტკიცებდა, აღმასკომის ერთ-ერთ წევრს დავუკავშირდი და ვკითხე - ხვალ რომელ კანდიდატურას დაუჭერთ-მეთქი მხარს? მიპასუხა, რომელ კანდიდატზე მელაპარაკები და საერთოდ, ხვალ რა სხდომა ტარდებაო. ამის მერე გვაქვს უფლება, ვივარაუდოთ, რომ აღმასკომის წევრებმა სხდომის დღეს გაიგეს, რომელ საკითხზე უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება. მოკლედ, ირჩევენ ჩვენი მეორე ნაკრების მთავარ მწვრთნელს და ფედერაციის უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლებს ფიქრისთვის ოდენ რამდენიმე საათი აქვთ, შესაძლოა წუთიც. აღმასკომმა გადაწყვეტილება ხომ დაუსწრებლად მიიღო, ფიჭური კავშირი და თქვენი პასუხი მიღებულია - საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი დამტკიცებულია!

ფედერაცია დიახაც ვალდებულია, მარჯვედ და ოპერატიულად მიიღოს ასეთი სერიოზული გადაწყვეტილებები. არანაირი თაღლითობა, მხოლოდ ხელების სისწრაფე - გადასარევი სლოგანია და გაბელიასაც ხელი დროულად აუწიეს აღმასკომის წევრებმა.

მაგრამ რატომ იღებს ფედერაცია ასეთ ნაუცბადევ გადაწყვეტილებებს? გასაგებია, რომ ცხადაძის მოულოდნელი წასვლის შემდეგ ლამის ფორსმაჟორული სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ნაჩქარევი ნაბიჯები ვის რაში გამოსდგომია?

გაბელიას დანიშვნა რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა, ამას დრო გვიჩვენებს, ოღონდაც, ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ფედერაციას ძალიან ბევრი ნაკლი აქვს ნაკრებებთან მუშაობაში. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნა, ზოგადად, ძალიან სტრატეგიული გადაწყვეტილებაა. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები ხშირად პირველი ნაკრების მწვრთნელებად ინიშნებიან. 21-წლამდელთა გუნდი დანარჩენი ასაკობრივი გუნდების თავისებური გვირგვინია.

ჰკითხეთ იმ მწვრთნელებს, ევროპაში რომ ყოფილან სემინარებზე, ნორმალურ ქვეყნებში როგორ მოჰყავთ ერთიან სისტემაში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები, რამდენი ფიქრი, დრო და ენერგია მიაქვს ამაზე მუშაობას და რისთვის აკეთებენ ამ ყველაფერს?

მწვრთნელ გაბელიაზე კი აუგი არ ითქმის, მის პროფესიულ თვისებებზე არაერთხელ გვილაპარაკია და სხვებსაც ულაპარაკიათ, ოღონდაც, ასეთ გადაწყვეტილებებს საფუძვლად მიზანმიმართული პოლიტიკაც უნდა ედოს...

ლეგიონი

## ძირითადი და სათადარიგო

ლიტვის A ლიგაში მე-11 ტურის მატჩები გაიმართა. „კაუნასის“ დაქვეითების შემდეგ ქართველები მხოლოდ „ტაურასში“ დარჩნენ - ძმები **ბესიკ და დავით ჭილლაძეები**. მათი გუნდი ამ სეზონში დაბრუნდა უმაღლეს ლიგაში და ჯერჯერობით ცუდად ასპარეზობს - „ხარები“ 8-გუნდიან ჩემპიონატში 9 ქულით მე-6 ადგილზე არიან. „ტაურასი“ მესამეადგილოსან „ეკრანასს“ ეწვია და 1:2 დამარცხდა. დავით ჭილლაძემ შეუცვლელად ითამაშა, პირველ ტაიმში მან ყვითელი ბარათი მიიღო, ბესიკ ჭილლაძე კი სათადარიგო იყო.

## მიკა ლიდერს დაეწია

სომხეთში ერთი, მე-11 ტურში გადადებული შეხვედრა გაიმართა, აშტარაკის „მიკამ“, რომლის კონსულტანტი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხორვატი სპეციალისტი **ივო შუშაკია**, სტუმრად 2:1 დაამარცხა „ბანანცი“. ამ გამარჯვებით **სოსო გრიშიკაშვილის** და **ირაკლი ცანავას** გუნდი ლიდერ „პიუნიკს“ დაეწია (29-29 ქულა), თუმცა ჩემპიონს „მიკაზე“ თამაშით ნაკლები აქვს გამართული. სხვათა შორის, „ბანანცი“-“მიკა“ ფიფა-ს იტალიელმა არბიტრმა **ლუკა ბანტიმ** განსაჯა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ადამია ხაზარშია

28 წლის ფორვარდმა **გიორგი ადამიამ** აზერბაიჯანულ კარიერაში მესამედ შეიცვალა კლუბი. „აზერიფუტბოლის“ ინფორმაციით, გუშინ მან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ლენქორანის „ხაზართან“. შეგახსენებთ, რომ ამ კლუბში ორიოდე დღის წინ **აგასალიმ მირჯავადოვი** დაინიშნა, რომლის ხელმძღვანელობითაც გიორგის ბაქოს „ნეფთჩიში“ უთამაშია. მაშ ასე, ქართველმა ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგაზე „ბაქისთან“ ერთად თამაშის პერსპექტივას „ხაზარი“ ამჯობინა. 2004-2008 წლებში ადამიამ „ნეფთჩიში“ 85 მატჩში 29 გოლი გაიტანა. იანვრიდან ის „ბაქიში“ გადავიდა და გასული სეზონის მეორე ნახევარში 2 გოლის გატანა შეძლო. აზერბაიჯანის ჩემპიონატი აგვისტოს შუა რიცხვებში იწყება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველები უცხოურ პრესაში

### თემურ ქეცბაია

## სულაც არ მაინტერესებს, რამდენს უხდიდნენ სხვა მწვრთნელს...

**დღეს საბერძნეთის ჩემპიონი „ოლიმპიაკოსი“ მომავალი სეზონისთვის მზადებას ახალი მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით დაიწყებს. ისევე, როგორც „ანორთოსისში“, პირეოსულ გუნდშიც მას ასისტენტობას სოსო ჭედია გაუწევს. ქეცბაიას გუნდი რამდენიმე დღე შინ ივარჯიშებს, მერე კი მოსამზადებელი შეკრებისთვის ჰოლანდიას მიაშურებს. სამწუხაროდ, საბერძნეთში მყოფ ქეცბაიასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ბერძნულენოვან ვებგვერდზე ქეცბაიასთან ინტერვიუ მოვიძიეთ. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის ესეც საინტერესო იქნება.**



**- კლუბის ბოსებმა „ოლიმპიაკოსი“ ჩააბარეს ახალგაზრდა სპეციალისტს, რომლის სამწვრთნელო კარიერაში მხოლოდ ერთი გუნდი და 2-3-წლიანი გამოცდილებაა. კლუბის პრეზიდენტ სოკრატის კოკალისის მხრიდან, ბევრმა ეს ნაბიჯი სარისკოდ ჩათვალა...**

- ვერ დაგეთანხმებით, სულაც არ ვფიქრობ, რომ კოკალისმა გარისკა. შარშან ჩემმა „ანორთოსისმა“ „ოლიმპიაკოსს“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისკენ მიმავალი გზა გადაუღობა. ეტყობა, ბატონი კოკალისი სწორედ მაშინ დავაინტერესე. ყველანაირად ვეცდები, ჩემი სიტყვები და მისი გადაწყვეტილება საქმით გავამართლო. დღეს ხალხი მე უფრო ფეხბურთელად მიცნობს, ვიდრე მწვრთნელად. შესაბამისად, არიან ისეთებიც, ვისაც ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება, მაგრამ მჯერა, თავდაუზოგავი მუშაობით „ოლიმპიაკოსში“ შედეგს მივაღწევ და მერე ყველა დარწმუნდება, თუ რა შემიძლია... ჩემი მიზანი დიდი გუნდის გაწვრთნა იყო. უკვე ჩამაბარეს ერთი ასეთი „დიდი გუნდი“. ახლა ისღა დამრჩენია, ჩემზე გაცემული ავანსი გავამართლო. ასეთი მიზანდასახულიც იმიტომ ვარ, რომ კლუბის ხელმძღვანელობისგან სრულ ნდობას ვგრძნობ. ნებისმიერი მწვრთნელისთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. მწვრთნელს თავისი ქარიზმა, ამბიცია უნდა ჰქონდეს, ოღონდ, ამას შესაბამისი ცოდნა და შრომისმოყვარეობა უნდა უმაგრებდეს ზურგს, თორემ მარტო ამბიციით წინ ვერ წახვალ. ამიტომაც დავთანხმდი „ოლიმპიაკოსში“ მუშაობას.

**- საბერძნეთიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან არაერთი შეთავაზება გქონდათ, მათ შორის, მაცდუნებელი წინადადებებიც იყო, მაგრამ თითქოს თავიდანვე „ოლიმპიაკოსი“ გქონდათ გულში ჩადებული...**

- ასე იყო, არაერთი შეთავაზება მქონდა, მაგრამ როცა მივიღე ინფორმაცია, რომ „ოლიმპიაკოსიც“ რეალურად იყო დაინტერესებული, აღარ ავჩქარდი, პირეოსელთა წინადადებას დაველოდე და დავთანხმდი კიდეც. „ოლიმპიაკოსი“, თავისი მდიდარი წარსულითა და დღევანდელობით, სრულად მაკმაყოფილებს.

**- თქვენამდე, „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელი იყო ესპანელი ვალვერდე, რომელმაც ხელფასის გაზრდა მოითხოვა. არადა, თქვენ მასზე გაცილებით ნაკლებ ხელფასზე დათანხმდით. ეს რითი ავხსნათ?**

- უკვე 12 თუ 13 წელიწადია, რაც კოკალისი „ოლიმპიაკოსის“ პრეზიდენტია. ამ ხნის განმავლობაში წარმატებებისთვის მან მილიონები დახარჯა. კლუბის ბიუჯეტი ათობით მილიონია. ბატონ კოკალისს, უბრალოდ, ახალი მწვრთნელის მიწვევა უნდოდა, თორემ ვალვერდეს მოთხოვნის დაკმაყოფილება არ გაუჭირდებოდა. უფასოდ არც მე ვმუშაობ, მაგრამ რაც მითხრეს, ისიც მეყოფა. მოკლედ, სულაც არ მაინტერესებს, რამდენს უხდიდნენ სხვა მწვრთნელს.

**- „ოლიმპიაკოსს“ გემოვნებიანი გულშემატკივარი ჰყავს და შედეგებთან ერთად სანახაობრივ ფეხბურთსაც ითხოვს. რამდენად მზად ხართ საამისოდ?**

- ყველა მწვრთნელი ფიქრობს, რომ გუნდს რაღაც ახალი შესძინოს. ამ მხრივ, არც მე ვარ გამონაკლისი. მინდა, ახალ გუნდში ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია დავნერგო. ჩანაფიქრი ასეთი მაქვს - სანახაობა პლუს შედეგი. ამას მეც მოვითხოვ ჩემი მოთამაშეებისგან.

**- გუნდის გაძლიერებისთვის ფეხბურთელების სია უკვე გაქვთ. ფიქრობთ, რომ ყველა სასურველ მოთამაშეს გადაიბირებთ?**

- არ მაქვს იმის ილუზია, რომ ყველა საჭირო მოთამაშის ყიდვას შევძლებთ. არ არის ეს იოლი საქმე. სხვათა შორის, აქ ფულს არ ვგულისხმობ, თავად ფეხბურთელსაც უნდა უნდოდეს საბერძნეთში თამაში, აქ ცხოვრება... თუ მას ასეთი სურვილი არ აქვს, ვერ დავაძალებთ... ჩვენ ისეთი ფეხბურთელებით გვსურს გუნდის გაძლიერება, რომლებიც რეალურად მოიტანენ პოზიტიურ ცვლილებებს და „ოლიმპიაკოსის“ თამაშს უფრო ეფექტურს, სანახაობრივსა და შედეგიანს გახდიან. იმედი მაქვს, ჰოლანდიურ შეკრებაზე გამგზავრებამდე სელექცია უმეტესწილად დასრულებული გვექნება.

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

დავით ყიფიანის თასი



მარცხნიდან: გიორგი არაბიძე და მერაბ ჟორდანია

### მერაბ ჟორდანია:

## საქართველოში თაობები დღესაც იზრდებიან!

რა შეგვარიგებს ქართველებს? დიალოგი? შესაძლოა, სიყვარული, ურთიერთგაგება... და ამ უებარი წამლების ნუსხაში, ალბათ, ფეხბურთსაც აკისრია თავისი როლი, ოღონდ, არა - დაჩაჩანაკებულ ფეხბურთს, არამედ, წარმატებულს...

გახსოვთ, 1994 წელს უელსს 5:0 რომ მოვუგეთ? სამოქალაქო ომი ახალი ჩამცხრალი იყო, როცა საქართველოს ნაკრებმა ბრიტანელებს გადაუარა. ვინღას ახსოვდა „ზვიადისტები“, „ხუნტა“... სტადიონზე შეკრებილი სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ადამიანები საქვეყნო სიხარულს ერთად აღნიშნავდნენ.

რა ამის პასუხია და, ის დრო გუშინ **დავით ყიფიანის** სახელობის თასის ფინალმა გამახსენა, სადაც ერთად შეიკრიბნენ ვეტერანი ფეხბურთელები, ძველი და ახალი ფედერაციების თავკაცები - **ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, მერაბ ჟორდანია, ვალერი ჩოლარია, რევაზ და არჩილ არველაძეები**... დავით ყიფიანი ქართული ფეხბურთისთვის ის სახელია, რომელიც ყველას აერთიანებს.

ტურნირს იმდენი სპონსორი ჰყავდა, ხშირად მოზარდთა შეჯიბრებებზეც რომ ვერ ვნახავთ - ფარმაცევტული კომპანია „ჯი-პი-სი“ (GPC), 35-ე სკოლა, „სახალხო აფთიაქი“ და სს „ქართული ფოლადი“.

...ვინ თქვა, თაობები არ მოდისო? დაიმახსოვრეთ **გიორგი არაბიძე**, ყიფიანის თასის გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელი. **მიხეილ კობალაძის** მიერ გაწვრთნილმა „ლოკომოტივმა“ ფინალში „ირაო“ 10:0 გაანადგურა, არაბიძემ კი 6-ჯერ შერხია კარის ბადე! ეს ის ბავშვია, რომელზეც ვებგვერდ goli.ge-ზე ვიდეორგოლი დევს და ხალხი აღტაცებაში მოჰყავს. ტურნირში კიდევ რამდენიმე ნიჭიერი ბავშვი თამაშობდა. მაგრამ საკითხავია, მერე სად იკარგებიან ეს ბავშვები. არაბიძე 10-ნომრიანი მაისურით თამაშობდა და საქართველოს საუკეთესო „ათი ნომრის“ სახელობის პრიზის გადაცემამ ძალიან გაახარა.

ზემოთ მერაბ ჟორდანია ვახსენეთ - ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც კარგა ხანია საჯაროდ არ გამოჩენილა, გუშინ 35-ე სკოლას ეწვია და საუკეთესო ფეხბურთელიც სწორედ მან დააჯილდოვა. დუმილი კი ნაწილობრივ პირველად გაზეთ „ლელოსთან“ საუბარში დაარღვია:

- მოდი, მხოლოდ ყიფიანის ტურნირზე ვისაუბროთ, სხვაზე არაფერზე, - გვთხოვა ბატონმა მერაბმა.

**- ეს სახელი გამაერთიანებელი იყო ქართული ფეხბურთისთვის და საბედნიეროდ, დღესაც ასეთად რჩება..**

- რა თქმა უნდა, დათო ყიფიანის სახელი ყველასთვის ძვირფასია - პიროვნულადაც და როგორც სპორტსმენისა და მწვრთნელის. დათო ამ მხრივაც მისაბაძი გახლდათ. რამდენ ადამიანს მიანიჭა სიხარული! ქართული ფეხბურთი ტალანტებით ყოველთვის მდიდარი იყო და იმედია, მისნაირი მოთამაშეები მომავალშიც გამოჩნდებიან. ეს ამ ტურნირზეც გამოჩნდა. ის, რომ წარმატებებს ვერ ვაღწევთ, არ ნიშნავს, რომ საქართველოში ფეხბურთის თამაში დაავიწყდათ. თუნდაც ამ შეჯიბრების ფინალში, რამდენი ნიჭიერი ბავშვი ვნახეთ?!

**- მაგალითად, გიორგი არაბიძე... როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ ბავშვზე?**

- ძალიან ნიჭიერია და წარმატებებს ვუსურვებ. მართლა ძალიან მომეწონა.

**- ფეხბურთში აღარ საქმიანობთ?**

- არა, ახლა სულ სხვა სფეროში ვარ.

... ტურნირი დასრულდა, კიდევ ერთხელ გავიხსენეთ დათო ყიფიანი... დღეს ასეთი ფეხბურთელი ნამდვილად სჭირდება საქართველოს - ხომ გახსოვთ, ერთი ელეგანტური, დახვეწილი ფინტით ყველა ტკივილს რომ ავიწყებდა კაცს...

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# იქნებ, მეცამეტემ გაამართლოს!

საქართველოს ახალგაზრდულ კრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს - 56 ლის ოთარ გაბელია! ქართული ფეხ-ურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუ-თესო მეკარემ არც სამწვრთნელო პარეზზე შეირცხვინა თავი და სხვა-ასხვა გუნდთან მეტ-ნაკლები წარ-ატებით მუშაობდა. თუმცა, საკლუ-ი და სანაკრებო დონეზე მუშაობა რთმანეთისგან მკვეთრად განსხვავ-ება და გვჯერა, რომ გამოცდილი პეციალისტი „ახალ გამოცდას" წარ-ატებით ჩააბარებს. სხვათა შორის, აქართველოს ახალგაზრდული ნაკ-ების ისტორიაში ოთარ გაბელია რი-ით... მეცამეტე მწვრთნელია! იმე-ია, 13 რიცხვი... მის მუშაობაზე არ იმოქმედებს" და სანაკრებო დონეზე ამოუკიდებელ მოღვაწეობასაც და-ებითი შედეგი მოჰყვება. გაბელია-წვრთნელის მიღწევებზე ქვემოთ ვი-აუბრებთ, მანამდე კი საქართველოს ხალგაზრდული ნაკრების პოსტზე ველა მისი წინამორბედის მუშაობა ავიხსენოთ.

## ერთი გამონათება და დანარჩენი ფიასკო

ოფიციალურად, საქართველოს ახალგაზრდული (21-წლამდე) ნაკრები 1994 წელს ჩამოყალიბდა. სწორედ იმ წელს უნდა ჰქონოდათ ჩვენს ახალგაზ-რდებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დებიუტი; ამასთან, პარალე-ლურად, ატლანტის 1996 წლის ოლიმპი-ური თამაშების საგზურისთვისაც უნდა ებრძოლათ. საქართველოს ახალგაზრ-დული ნაკრების გაძღოლა **შოთა ჭეიშ-ვილს** დაევალა. საკავშირო ჩემპიონა-ტის დროს ჭეიშვილი რუსთავის „მე-ტალურგის" დამრიგებელი იყო, გარკ-ვეული პერიოდი თბილისის „დინამო-შიც" მუშაობდა მეორე მწვრთნელად. ეროვნული ჩემპიონატის დაწყებიდან კი „ბათუმში" გადავიდა და ჩინებული გუნდიც შექმნა. სამწუხაროდ, საქართ-ველოს ახალგაზრდული ნაკრების სა-დებიუტო ციკლი წარუმატებლად დას-რულდა: ქვეჯგუფში მხოლოდ ერთი გა-მარჯვება და ბოლო ადგილი! აღსანიშ-ნავია, რომ ის ერთადერთი გამარჯვება სადებიუტო მატჩში, მოლდოვასთან გვქონდა - **გიორგი ლუდუშაურისა** („დუბლი" შეასრულა) და **გიორგი ანჩა-ბაძის** გოლებით მეტოქე პირწმინდად დავამარცხეთ, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის მერე წარუმატებელი მატჩების სერია დაიწყო და ყველა და-ნარჩენი მატჩი წავაგეთ! რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ობიექტური თუ სუბიექ-ტური მიზეზები ჰქონდა: ზოგიერთი ფეხბურთელის... ეროვნული ნაკრების-თვის „დათმობა", წამყვანი მოთამაშეე-ბის ტრავმები და ასე შემდეგ.

მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ქართული ფეხბურთის ის-ტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო თავ-დამსხმელი **ვლადიმერ გუცაევი** დაი-ნიშნა. გუცაევს მანამდე კვიპროსსა და რუსეთში გარკვეული სამწვრთნელო გა-მოცდილება კი ჰქონდა, მაგრამ დამოუ-კიდებლად არსად ემუშავა. ოფიციალურ დონეზე გუცაევის სამწვრთნელო დები-უტი კოშმარულზე მეტი გამოდგა - არე-ცოში, იტალიელმა ახალგაზრდებმა ქარ-თველი თანატოლების კარში ექვსი უპა-სუხო ბურთი (აქედან, სამი - პენალტით) გაიტანეს! ამ მარცხის მერე გუცაევმა სე-რიოზულად გადაახალისა შემადგენლო-ბა და უკვე მომდევნო შეხვედრაში ინგ-ლისის წინააღმდეგ, ჩვენმა გუნდმა ჩინე-ბული შთაბეჭდილება დატოვა. საქართ-ველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მთელი შეხვედრის განმავლობაში უდიდესი უპი-რატესობა ჰქონდა, მაგრამ **ფილ ნევი-ლის, ემილ ჰესკის, კირონ დაიერისა** და **ნიკი ბათის** ინგლისთან მინიმალური სხვაობით დავმარცხდით. სამაგიეროდ, ქულა ინგლისიდან წამოვიღეთ, როცა „ჩარლტონ ატლეტიკის" სტადიონზე მასპინძლებს ტოლი არაფერში დავუ-დეთ. ამასობაში, ვლადიმერ გუცაევმა ოპტიმალურ შემადგენლობას მიაგნო და ფეხბურთელთა უმეტესობამაც შემდეგ უკვე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი: **დავით გვარამაძე, ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშ-ვილი, გიორგი დემეტრაძე, ლევან სი-ლაგაძე, გიორგი კიკნაძე, მიხეილ აშვე-თია, დავით მუჯირი, რატი ალექსიძე, მამუკა წერეთელი**; ტრავმებისა თუ სხვა მიზეზის გამო, ალბათ, უფრო მეტისთვის უნდა მიეღწიათ: **მიხეილ ფოცხვერიას, ლევან ქებაძეს, მიხეილ საჯაიას, მიხე-ილ ასათიანს**...

იმ შესარჩევი ციკლის მატჩი-მშვენე-ბა კი 1997 წლის 10 სექტემბერს რუსთავ-ში, იტალიელებთან აღებული რევანში იყო! **ჯან-ლუიჯი ბუფონი, მასიმო ამბ-როზინი, ალესიო ტაკინარდი, კრისტი-ან ლუკარელი, სტეფანე ფიორე, ფრან-ჩესკო კოკო** - აი, ამ „ვარსკვლავთკრე-ბულს" გიორგი კიკნაძისა და ლევან ქება-ძის გოლებით ვაჯობეთ! საბოლოოდ კი, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკ-რებმა შესარჩევი ციკლი მეორე ადგილ-ზე დაასრულა! ასეთ შედეგთან კი მომა-ვალში მიახლოებაც ვერ შევძელით...

მეორესთან შედარებით, მესამე შე-სარჩევ ციკლში, აშკარად სუსტი მეტო-ქეები შეგვხვდნენ; თუმცა ახალი მწვრთნელის - **გიგლა იმნაძის** შეგირ-დები პირველსავე მატჩში დამარცხდნენ (თბილისში, ალბანელ თანატოლებთან). არადა, ოლიმპიური ციკლი იყო და ქვეჯგუფში მეტოქეებიდან გამომდინა-რე, თავისუფლად შეიძლებოდა სიდნეის თამაშების საგზურისათვის გვებრძო-ლა; თუმცა, ასე არ მოხდა და ეს მთლად მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფი-ლიყო: ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ჩვენ ახალგაზრდულში ნიჭიერ ფეხბურ-თელებს ვერ ამოაჩენდით. ლოგიკუ-რიც იყო, რომ საქართველოს ახალგაზ-რდულ ნაკრებში მწვრთნელი იმ შესარ-ჩევ ციკლშივე შეიცვალა - იმნაძის მა-გივრად ქართული ფეხბურთის ცოცხა-ლი ლეგენდა, **მურთაზ ხურცილავა** და-ინიშნა. სხვათა შორის, ხურცილავამ ძირფესვიანად შეცვალა შემადგენლობა და ახალი სახეების (**გიორგი ლომაია, ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანეიშ-ვილი, გიორგი შაშიაშვილი, ედიკ სა-ჯაია, ვალერი გაგუა**) გამოჩენა შედეგ-ზეც აისახა - ბოლო ხუთი მატჩი წაუგებ-ლად ჩავატარეთ. საბოლოოდ, მესამე ადგილზე გავედით, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ იყო.

ასევე ორი მწვრთნელი ჰყავდა სა-ქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მომდევნო ციკლშიც: ხურცილავას და-მოძღვრილმა გუნდმა ზედიზედ სამი მატჩი რომ წააგო, მის ნაცვლად **ვახ-ტანგ კოპალეიშვილი** დაინიშნა. სამწუ-ხაროდ, შესაბამისი ეფექტი არც ამას მოჰყოლია და საბოლოოდ ჯგუფში ბო-ლო ადგილი დავიკავეთ.

2002-04 წლების შესარჩევი ციკლი ვახტანგ კოპალეიშვილმა დაიწყო, მაგ-რამ თბილისში რუს თანატოლებთან მტკივნეული მარცხის (0:3) მერე საქარ-თველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ახა-ლი მწვრთნელი მოვიდა: **რევაზ არვე-ლაძე**. დებიუტი ურიგო არ ყოფილა - ირლანდიასთან ფრედ (1:1) ვითამაშეთ, თუმცა ამას კვლავ წარუმატებელი სე-რია მოჰყვა და ზედიზედ მეორედ გავე-დით ჯგუფში ბოლო ადგილზე.

სამწუხაროდ, ერთი შესარჩევი ციკ-ლის განმავლობაში მწვრთნელების ცვლა ტრადიციასავით დამკვიდრდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებ-ში; 2004 წელს მთავარ მწვრთნელად **გოჩა ტყებუჩავა** დაინიშნა, ვისაც ური-გო დებიუტი არ ჰქონია - თურქეთთან და ალბანეთთან ოთხი ქულა მოვიპო-ვეთ; მერე, ზედიზედ ორ მარცხს სტუმ-რად იმავე ალბანეთთან გამარჯვება მოჰყვა და... ტყებუჩავას ნაცვლად სა-ქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად **კობა ჟორჟიკაშ-ვილი** დაინიშნა. ახალმა მწვრთნელმა დებიუტი გამარჯვებით (ყაზახეთთან) აღნიშნა, თუმცა შესარჩევი ციკლის ბო-ლომდე ჩვენმა ახალგაზრდულმა ზედი-ზედ ოთხი შეხვედრა წააგო და საბო-ლოოდ, შვიდგუნდიან ჯგუფში მეხუთე ადგილზე გავედით.

2006 წლის დასაწყისში კი ქართული ფეხბურთის მესვეურებმა ყველა ასა-კობრივი ნაკრების მთავარ მწვრთნე-ლებად უცხოელები დანიშნეს! **კლაუს ტოპმიოლერის** კვალიფიკაციაში ეჭვი არავის გვეპარებოდა, მაგრამ მის... ძმას, **ჰაინცს** (19-წლამდე ნაკრები რომ ჩააბარეს) და **რალფ მინგეს** (21-წლამ-დელების ახალ მწვრთნელს) მანამდე სერიოზული მიღწევა არასდროს არსად ჰქონიათ. ასე გახდა რალფ მინგე საქარ-თველოს ახალგაზრდული ნაკრების პირველი უცხოელი მწვრთნელი; მინ-გეს ხელმძღვანელობით ჩვენმა ნაკრებ-მა მხოლოდ სამი შეხვედრა ჩაატარა - ალბანეთთან (ამხანაგურში) დავმარცხ-დით, ხოლო მალტას (ოფიციალურში) ორივე მოვუგეთ. 2006-07 წლების შე-სარჩევი ტურნირი განსხვავებული ფორმატით ტარდებოდა და საქართვე-ლოს ნაკრები ლიტვასთან და სერბეთ-თან ქვეჯგუფში მოხვდა. თუმცა, სანამ შესარჩევი ეტაპი დაიწყებოდა, მინგე... საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გა-დაიყვანეს, ხოლო ახალგაზრდულის გაძღოლა ისევ კობა ჟორჟიკაშვილს მი-ანდეს. სამწუხაროდ, ორივე მატჩი წავა-გეთ...

...2007 წლის 7 თებერვალს კი საქარ-თველს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ახა-ლი მწვრთნელის, ხორვატი **პეტარ შეგ-რტის** ხელმძღვანელობით პირველი მატჩი ჩაატარა (თურქეთთან). ერთი შე-ხედვით, შეგრტს სიზარმაცეს და უყუ-რადღებობას ვერ დავწამებდით - იმავე კლაუს ტოპმიოლერისგან განსხვავე-ბით მუდამ ესწრებოდა საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს. თუმცა ხშირ შემთხვევაში, მისი ზოგიერთი საკადრო გადაწყვეტილება საეჭვოზე მეტი იყო. აბა, სხვა რა სახელი უნდა მოვუძებნოთ იმ ფაქტს, რომ შეგრტი, ფაქტობრივად, არ ენდობოდა ჩინებულ ფორმაში მყოფ ახალგაზრდებს (**ვლადიმერ დვალიშ-ვილი, მათე ვაწაძე, ჯაბა ლიპარტია, ირაკლი ჩირიკაშვილი**). არანაკლებ უცნაური იყო ის ფაქტიც, რომ ათ შეხ-ვედრაში ჩვენი ნაკრების შემადგენლო-ბაში... 44-მა ფეხბურთელმა ითამაშა! რა თქმა უნდა, იყო გამონათებებიც - თუნდაც რუს თანატოლებთან თბილის-ში შთამბეჭდავი გამარჯვება რად ღირ-და! მაგრამ შესარჩევი ციკლის ბოლოს, ზედიზედ ორმა სამარცხვინო მარცხმა რუს და პოლონელ თანატოლებთან (0:4, 0:5), უკვე ჩვენი ფედერაციის მესვეუ-რებსაც „თვალი აუხილა" და შეგრტის „ერაც" დასრულდა! ოღონდ, მანამდე იყო ხორვატი მწვრთნელისა თუ ფედე-რაციის მალალჩინოსნებისგან სერიო-ზული ურთიერთბრალდებები და მუქა-რები...

2009 წლიდან საქართველოს ახალ-გაზრდული ნაკრები **კახა ცხადაძეს** ჩააბარეს - ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა ერთი მოიგო (მოლდოვასთან) და ორი წააგო (ბელარუსთან და ალბა-ნეთთან). სამივე ეს შეხვედრა ამხანა-გური იყო და ახალგაზრდულ ნაკრებში კანდიდატთა შერჩევას ემსახურებო-და. ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები შე-სარჩევ ციკლს სექტემბერში იწყებს და სწორედ ოფიციალური შეხვედრების-თვის მიმდინარეობდა პოტენციურ ახალწვეულთა შეკრება თუ ტრადიცი-ად ქცეული „სამშაბათობები". თუმცა, შესარჩევი ეტაპის დაწყებას საქართ-ველოს ახალგაზრდული ნაკრები ახა-ლი მწვრთნელით შეხვდება - კახა ცხა-დაძემ კარიერის გაგრძელება აზერბა-იჯანში, ბაქოს „ინტერში" გადაწყვიტა; მის ნაცვლად კი დაახლოებით ერთკვი-რიანი განსჯის შემდეგ, ოთარ გაბელია დაინიშნა...

## გაბელიას მიღწევები

...გაბელიას დამოუკიდებლად სანაკ-რებო დონეზე არ უმუშავია; თუმცა წლების განმავლობაში ჯერ საქართვე-ლოს ეროვნულ ნაკრებში იყო მეკარეე-ბის მწვრთნელი, შემდეგ კი - ახალგაზ-რდულში.

...ოთარ გაბელიამ აქტიური საფეხ-ბურთო კარიერა 1989 წელს დაასრულა; მომდევნო წელს კი, როცა საქართვე-ლოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარე-ბა გადაწყდა, სამწვრთნელო ასპარეზ-ზე დებიუტი ჰქონდა. სამი სეზონის გან-მავლობაში მუშაობდა ზუგდიდის „ოდიშის" მთავარ მწვრთნელად და ეს პერიფერიული გუნდიც ყოველ წელს აუმჯობესებდა შედეგს: პირველად მერვე ადგილზე გავიდა, შემდეგ - მეშ-ვიდეზე, ბოლოს - მეექვსეზე. უფრო დიდ წარმატებას გაბელია-მწვრთნელ-მა მეოთხე ეროვნულ ჩემპიონატში მი-აღწია, როცა გურჯაანის „ალაზანი" მე-სამე ადგილზე გაიყვანა! მომდევნო სე-ზონში გაბელიამ ყვარლის „დურუჯი" ჩაიბარა და გუნდი უმაღლეს ლიგაში გადმოიყვანა; ამის მერე იყო სხვადასხ-ვა დროს და სხვადასხვა წარმატების მიღწევა „შევარდენსა" თუ თსუ-ში, „მე-რანი 91"-სა თუ „სიონში", ქუთაისის „ტორპედოსა" თუ „ბათუმში". განსა-კუთრებით საინტერესო გუნდი „მერან-ში" ჰყავდა, ბევრისთვის უცნობი ფეხ-ბურთელები რომ დააწინაურა: **დავით ბოლქვაძე, ალექსანდრე კოშკაძე, სუ-ლიკო დავითაშვილი, სოსო დევიძე**. არანაკლები გუნდი იყო „ტორპედოც", თასის ფინალში რომ გაიყვანა და ჩემპი-ონატში კი ვერცხლის მედლები მოაპო-ვებინა: **გიორგი მეგრელაძე, შოთა ბა-ბუნაშვილი, გიორგი ნერგაძე, დავით გამეზარდაშვილი, რევაზ ჯიქია, ზვი-ად სტურუა**. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ გაბელიას მუდამ უყვარდა სრული-ად ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ნდობის გამოცხადება; ასე იყო ზუგ-დიდში მუშაობის დროსაც, როცა 16 წლის ბიჭებს - **ზაზა ჯანაშიასა და მა-მია ჯიქიას** ძირითადში ათამაშებდა; იგივე ხდებოდა „შევარდენსა" თუ თსუ-შიც, საიდანაც გავიცანით კიდეც **ლე-ვან მელქაძე, ჯაბა მუჯირი, გიორგი დეკანოსიძე, გიორგი ადამია, გიორგი შაშიაშვილი, მირზა მერლანი, ბორის გონჩაროვი** და სხვები.

...მიზეზთა გამო ისე მოხდა, რომ „ბათუმის" შემდეგ ოთარ გაბელია... ჩვენ გუნდებს აღარ „ახსენდებოდათ"; და აი ორწელიწადნახევრიანი პაუზის მერე ისევ დაუბრუნდა ეროვნულ ჩემ-პიონატს; ოღონდ, კონსულტანტის ამპ-ლუაში და ისიც ძალიან ცოტა ხნით - უყველაფროდ დარჩენილ „ბორჯომს" მართლაც, ვერავინ და ვერაფერი უშვე-ლიდა. და აი, ახალი გამოწვევა - ოთარ გაბელია საქართველოს ახალგაზრდუ-ლი ნაკრების მთავარი მწვრთნელია!

**გია ტუხაშვილი**



ოთარ გაბელია

### 1994-96

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 6 | 1 | 1 | 22-5 | 19 |
| 2. ბულგარეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 11-10 | 17 |
| 3. უელსი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-13 | 10 |
| 4. მოლდოვა | 8 | 2 | 2 | 4 | 5-11 | 8 |
| 5. საქართველო | 8 | 1 | 0 | 7 | 7-17 | 3 |

### 1996-98

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 5 | 3 | 0 | 7-1 | 18 |
| 2. საქართველო | 8 | 3 | 3 | 2 | 10-10 | 12 |
| 3. იტალია | 8 | 3 | 2 | 3 | 17-6 | 11 |
| 4. პოლონეთი | 8 | 1 | 5 | 2 | 10-15 | 8 |
| 5. მოლდოვა | 8 | 1 | 1 | 6 | 5-17 | 4 |

### 1998-00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 32-10 | 23 |
| 2. ნორვეგია | 10 | 7 | 1 | 2 | 21-8 | 22 |
| 3. საქართველო | 10 | 2 | 5 | 3 | 11-13 | 11 |
| 4. ლატვია | 10 | 2 | 3 | 5 | 8-19 | 9 |
| 5. სლოვენია | 10 | 1 | 5 | 4 | 10-19 | 8 |
| 6. ალბანეთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-21 | 7 |

### 2000-02

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 6 | 1 | 1 | 14-5 | 19 |
| 2. რუმინეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 13-5 | 16 |
| 3. უნგრეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 12-9 | 15 |
| 4. ლიტვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5-17 | 6 |
| 5. საქართველო | 8 | 1 | 0 | 7 | 9-17 | 3 |

### 2002-04

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 6 | 1 | 1 | 12-6 | 19 |
| 2. რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 14-8 | 15 |
| 3. ალბანეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-10 | 10 |
| 4. ირლანდია | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| 5. საქართველო | 8 | 1 | 2 | 5 | 7-16 | 5 |

### 2004-06

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 12 | 9 | 2 | 1 | 30-12 | 29 |
| 2. უკრაინა | 12 | 7 | 2 | 3 | 22-7 | 23 |
| 3. საბერძნეთი | 12 | 6 | 2 | 4 | 18-9 | 20 |
| 4. თურქეთი | 12 | 5 | 4 | 3 | 15-9 | 19 |
| 5. საქართველო | 12 | 3 | 2 | 7 | 7-22 | 11 |
| 6. ალბანეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 9-27 | 9 |
| 7. ყაზახეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 8-23 | 7 |

### 2006-07

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 3. საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

### 2007-08

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 8 | 8 | 0 | 0 | 21-2 | 24 |
| 2. რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 14-6 | 15 |
| 3. პოლონეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9-11 | 9 |
| 4. ყაზახეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 9-18 | 6 |
| 5. საქართველო | 8 | 2 | 0 | 6 | 6-22 | 6 |

კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი

# ბრაზილიამ თვალებში გამოიხედა

**აშშ-ბრაზილია 0:3**

**აშშ:** ჰოვარდი, სპექტორი, დემერიტი, ონიევუ, ბორნშტეინი, დემპსი, ბრედლი, კლიესტანი, ბისლი (46. კონორი), დონოვანი, ალტიდორე (60. ფიელჰაბერი).

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო (69. ლუიზაო), მირანდა, ანდრე სანტოსი, რამირესი, ჟილბერტო სილვა, ფელიპე მელო, რობინიო, კაკა (68. ბაპტიშტა), ლუიშ ფაბიანო (68. ნილმარი).

**გოლები:** 0:1. მელო (7), 0:2. რობინიო (20), 0:3. მაიკონი (61).

**გაძევება:** კლიესტანი (56).

ბრაზილია ნახევარფინალშია. ესპანეთის ნაკრების შემდეგ ფლეი ოფში სწორედ სელესაო გავიდა. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ გუნდთან პენტაკამპეონები მთელი შეხვედრის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ. ეგვიპტესთან უცნაური შეხვედრის შემდეგ **კარლოს დუნგამ** განაცხადა, მოწინაალმდეგემ სამი გოლი იმიტომ გაგვიტანა, რომ ფეხბურთელები ხანგრძლივი საკლუბო სეზონითა და 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი მატჩებით ძალიან დაღლილი არიანო. სხვათა შორის, ბრაზილიელმა მწვრთნელმა მისი შეგირდების უსახური თამაშიც ამ მიზეზით ახსნა. დუნგას იმ განცხადებიდან რამდენიმე დღე გავიდა. ძნელი სათქმელია, ფეხბურთელებმა ამ მცირე დროში რამდენად ნაყოფიერად დაისვენეს, თუმცა ფაქტია, ამერიკასთან ბრაზილიამ გაცილებით უკეთ ითამაშა. პენტაკამპეონები ბევრს დარბოდნენ, კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობდნენ და დაღლილობაც არ ეტყობოდათ. მათი უპირატესობა ეჭვქვეშ ერთი წამითაც არ დამდგარა. სამხრეთამერიკელებმა ანგარიში საკმაოდ მალე გახსნეს. მე-7 წუთზე გატანილი გოლი **ფელიპე მელოს** ანგარიშზე ჩაიწერა. მის თავურ დარტყმას **ტიმ ჰოვარდმა** ვერაფერი მოუხერხა. დაახლოებით 12 წუთში მოვლენათა ეპიცენტრში **რობინიო** მოექცა. დუნგას ბიჭებმა სანიმუშო კონტრიერიში მოაწყვეს. ამერიკელებმა კუთხური ჩამოაწოდეს. ბრაზილიელებმა საჯარიმოდან ბურთი მალე გამოიტანეს და იერიშში **კაკა** ჩართეს. მადრიდის "რეალის" ახალწვეულმა **რამირესი** მონახა. "კრუზეიროს" ახალგაზრდა ვარსკვლავმა კი ბურთი ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფ რობინიოს მიაწოდა და "სიტის" ფორვარდმა სელესაოს უპირატესობა ორამდე გაზარდა. კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ბრაზილიელებმა სანიმუშო, ქრესტომათიული კონტრიერიში მოაწყვეს და ის ეფექტური გოლით დააგვირგვინეს. ბოლო ბურთი **მაიკონმა** შეაგდო. აღსანიშნავია, რომ კაკამ ამ საგოლე იერიშშიც მიიღო მონაწილეობა. რამდენიმე წუთში დუნგამ "რეალის" ვარსკვლავი შეცვალა. ბრაზილიის მთავარმა მწვრთნელმა ამით შეგირდის დამსახურებას გაუსვა ხაზი და დასვენების საშუალება მისცა.

სელესაოს გულშემატკივრები გამარჯვებითა და ნახევარფინალში გასვლით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი იქნებიან, მაგრამ ნეიტრალური ქომაგებისთვის ერთი ფაქტია გულდასაწყვეტი. იტალიასთან მატჩში ბრაზილიას ქულები აღარ დასჭირდება. ბუნებრივია, პენტაკამპეონებს ნაკლები მოტივაცია ექნებათ და სავარაუდოდ იმაზე ნაკლები შემართებით ითამაშებენ, ვიდრე ქულების მოპოვების საჭიროების შემთხვევაში იასპარეზებდნენ.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კარლოს დუნგა წელში გამართული გამოცხადდა. წინა შეხვედრისგან განსხვავებით ამჯერად ჟურნალისტებს მთავარი მწვრთნელის გაკრიტიკების საბაბი აღარ მიეცათ. ამით ფრთაშესხმულმა დუნგამ ასეთი რამ განაცხადა: "*ამერიკის საკმაოდ ძლიერი ნაკრები პირწმინდად დავამარცხეთ. ბიჭებმა გამართულად ითამაშეს. დღეს დაღლილობამ შედარებით ნაკლები პრობლემა შეგვიქმნა. შეტევაში მრავალფეროვნად ვთამაშობდით და ეს შედეგზეც აისახა. რაც მთავარია, წინა დაპირისპირებისგან განსხვავებით, დაცვაში უფრო მეტი ყურადღებით ვიასპარეზეთ და მოწინააღმდეგეს გოლის გატანის საშუალება არ მივეცით. ძალიან მიხარია, რომ ნახევარფინალში გავედით. კონფედერაციათა თასის მოსაგებად ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ.*"

## ეგვიპტემ პირველი სენსაცია შემოგვთავაზა

**ეგვიპტე-იტალია 1:0**

**ეგვიპტე:** ჰანდარი, ჰ. საიდი, გომაა, ა. საიდი, მოავადი (68. ფარაგი), ფათჰი (79. ა. ჰასანი), შავკი, რაბუაბუტრიკა, ჰომოსი, ზიდანი (56. ელო).

**იტალია:** ბუფონი, გროსო, კიელინი, კანავარო, ძამბროტა, პირლო, დე როსი, გატუზო (57. მონტოლივო), იაკუინტა, როსი (57. ტონი), კვარიარელა (64. პეპე).

**გოლი:** 1:0. ჰომოსი (40).

ეგვიპტის ნაკრებმა კონფედერაციათა თასის გათამაშებაზე პირველი დიდი სენსაცია შემოგვთავაზა. არაბებმა არც მეტი, არც ნაკლები მსოფლიო ჩემპიონები დაამარცხეს. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტელებმა პირველივე ტურში ბრაზილიის ეროვნული გუნდის კარში სამი გოლის გატანით ყველა აალაპარაკეს, იტალიასთან მათ გამარჯვებას მთელი მსოფლიო მაინც სენსაციად აფასებს. უცხოური პრესის შეფასებამ არ დააყოვნა. მედიამ იტალიის ეროვნული გუნდი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. ამ ტურნირზე ეს უკვე მეორე შემთხვევა გახლდათ, როცა მსოფლიო ჩემპიონებმა პირველებმა გაუშვეს და ჰანდიკაპი ამოსაქაჩი გაიხადეს. თუმცა ამერიკისგან განსხვავებით ეგვიპტე კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და მსოფლიო ჩემპიონ სკუადრა აძურას ყელზე დაადგა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **ჰომოსის** ანგარიშზე ჩაიწერა. მან პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავური დარტყმით კარში გადაგზავნა. შესვენების შემდეგ გოლის გატანის შანსი ორივე ნაკრებს ჰქონდა, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გუშინ საღამოს გამარჯვებისთვის ეგვიპტემ ბევრად მეტი ენერგია დახარჯა. მათ სრულიად სამართლიანად მოიგეს. როგორც ხვდებით, ამ ჯგუფში მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა. ეგვიპტეს ფლეი ოფში თამაშის მშვენიერი შანსი აქვს.

**ილია ნიკოლაიშვილი**




ევროპის ჩემპიონატი. U21



ინგლისი ფრეზერ კემპბელმა დააწინაურა

# ინგლისი ნახევარფინალშია, ესპანეთი გავარდნის პირას

ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები ჯგუფში ჩარჩენის პირასაა - საკმარისია გერმანიის ნაკრებმა ბოლო ტურში ქულა აიღოს და ხუან რამონ ლოპეს კაროს გუნდი შვედეთს დაემშვიდობება. გუშინ ესპანელები ინგლისელებთან დამარცხდნენ 0:2, თანაც ალბიონელებმა პენალტი ვერ გამოიყენეს. ძალიან ცუდად თამაშობს „ბარსელონას" ფორვარდი ბოიან კრკიჩი, ესპანეთის ნაკრებს ჯერ გოლი არ გაუტანია ტურნირზე. გერმანელებმა კი მესუთ იოზილის ბრწყინვალე თამაშის წყალობით ჩემპიონატზე პირველი გამარჯვება იზეიმეს. იოზილმა ორი საგოლე გადაცემა მიითვალა.

**გერმანია-ფინეთი 2:0**

**გერმანია (4-4-2):** ნოიერი - ბეკი, ჰიოვედესი, ბოატენგი, შმელცერი - კასტრო, ხედირა, აოგო (46. ებერტი), მარინი (58. ბენ-ჰატირა) - იოზილი (85. ვაგნერი), დეჟაგა

**ფინეთი (4-4-1-1):** იაკოლა - აჰო, პორტინი, ტურუნენი, რაიტალა - პ. ჰეტემაი, მ. ჰეტემაი (81. კოკო), სპარვი, ვასარა (64. პუკი) - ჰამალაინენი (75. ოტარუ) - სადიკი.

**გოლები:** 1:0 ჰიოვედესი (59), 2:0 დეჟაგა (61)

სამ წუთში ორი გაშვებული გოლი და ფინეთის ნაკრებს B ჯგუფის დაძლევის შანსი გადაეწურა, არადა ამ გუნდზე სასაყვედურო რა გვეთქმის, ფინელებმა პირველ მატჩშიც კარგად ითამაშეს და გერმანიის ახალგაზრდული გუნდიც გვარიანად ანერვიულეს - პირველი ტაიმის მერე 0:0 ტაბლოზე ვერ ასახავდა იმ უპირატესობას, რაც ფინელებს **ჰორსტ ჰრუბეშის** გუნდზე ჰქონდათ. ჰრუბეშმა შესვენებაზე თამაშში **პატრიკ ებერტი** ჩართო, მეორე ტაიმის დასაწყისში კი მოედანზე **ანის ბენ-ჰატირაც** შეუშვა. თამაშის ბედი კი გერმანელთა ლიდერმა **მესუთ იოზილმა** შემოატრიალა, სწორედ მისი საგოლე პასები გამოიყენეს **ბენედიქტ ჰიოვედესმა** და **აშკან დეჟაგამ** მეორე ტაიმის სამწუთიან მონაკვეთში. ამის შემდეგ მანამდე დიდებულად მოთამაშე ფინეთმა ველარაფერი გააწყო. ასე რომ, **მარკუ კანერვას** გუნდისთვის ესპანეთთან თამაში მხოლოდ პრესტიჟის საქმეა.

პირველ მატჩისგან განსხვავებით ფინელთა შემტევმა **კასპერ ჰამალაინენმა** ოდნავ უკან დაიხია და იქიდან დაიწყო გუნდის შეტევების ორგანიზება, ეს მას დიდებულად გამოსდიოდა, თუმცა თანაგუნდელები დასკვნით სტადიაზე სცოდავდნენ. ერთხელ კი მეკარე **ნოიერმა** მარცხენა მცველის **იუკა რაიტალას** შორეული დარტყმა გააუვნებელყო. მოკლედ, პირველ ტაიმში მატჩის ფავორიტებს გაუჭირდათ.

თამაშის წინ ჰორსტ ჰრუბეში იქადნებოდა, რომ ფრეზე არც კი ფიქრობდა და გუნდი აუცილებლად დიდი ძალებით შეუტევდა, რომ არა მესუთ იოზილი ეს სიტყვები ქადილადვე დარჩებოდა. 59-ე წუთზე ფინელთა ცენტრალური მცველი **პორტინი** დაჯარიმდა და იოზილმა ბრწყინვალედ შეასრულა სტანდარტული მდგომარეობა, მის ჩაწოდებულს თავურით ცენტრალური მცველი ჰიოვედესი გამოეხმაურა. მალევე **ხედირა**-იოზილის კომბინაციას ამ უკანასკნელის ჭკვიანური პასი მოჰყვა, აშკან დეჟაგას კი არ გასჭირვებია თითქმის ცარიელი კარის დალაშქვრა - 2:0. ფინელები არც ამის შემდეგ გატყდნენ, ძალიან იაქტიურეს **პერპარიმ ჰეტემაიმ** და შეცვლაზე შესულმა **ტეემო პუკიმ**, მაგრამ უშედეგოდ.

**ჰორსტ ჰრუბეში** (გერმანიის მწვრთნელი): „*ვიცოდი, რომ ფინელებთან გაგვიჭირდებოდა. პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, მეტოქემ გვაჯობა. შესვენებაზე ბიჭებს ავუხსენი, რომ გერმანიის ნაკრები ასე არ უნდა თამაშობდეს. სისწრაფეს მოვუმატეთ და მალე გოლიც გავიტანეთ, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა, სწორედ ამის შემდეგ დაემსგავსა გუნდი გერმანიის ნაკრებს. მჯერა, რომ ჯგუფიდან გავალთ*„.

**მარკუ კანევრა** (ფინეთის მწვრთნელი): „*ბურთს ჩვენ უფრო კარგად ვაკონტროლებდით, მაგრამ ეს არ არის მთავარი, უპირატესობა ლოგიკურად უნდა დაასრულო. მეორე გოლის შემდეგ თამაშის გადარჩენა ძნელი იყო, თუმცა კი შევეცადეთ*".

**ესპანეთი-ინგლისი 0:2**

**ესპანეთი (4-3-3):** სერხიო ასენხო - ასპილიკუეტა, ხავი გარსია, ტორეხონი, მონრეალი - ხავი მარტინესი (69. ქსისკო), მარიო სუარესი (81. პედრო ლეონი), რაულ გარსია - ადრიან ლოპესი, ხურადო, კრკიჩი (57. კაპელი).

**ინგლისი (4-3-3):** ჰარტი - ქრენი, რიჩარდსი, ონუჰა, ჯიბსი - კატერმოლი, მუამბა, ნოუბლი - მილნერი, აგბონლაორი (39. კემპბელი), ჯონსონი (62. უოლკოტი).

**გოლები:** 0:1 კემპბელი (67), 0:2 მილნერი (73)

**შენიშვნა:** 32-ე წუთზე მილნერმა პენალტი ვერ გაიტანა (მეკარე)

ორივე გუნდი შეტევის ხაზში გადახალისებული შემადგენლობით წარდგა. ესპანელებმა სკამზე **ქსისკო** დასვეს, ინგლისელებმა - **უოლკოტი**. პირველი ტაიმი თითქმის თანაბარი იყო, თუ ერთ „დეტალს" არ ჩავთვლით - **ხავი გარსიამ** საჯარიმოში **ჯეიმს მილნერი** წააქცია. თუმცა ამ უკანასკნელმა ვერ აჯობა **სერხიო ასენხოს**. ესპანელთა გოლკიპერი გერმანიასთან მატჩის გმირი იყო და ახლაც საუკეთესო გახლდათ გუნდში. 6 წუთში ინგლისმა მეორე დარტყმა მიიღო, ტრავმის გამო მოედნის დატოვება ფორვარდ **გაბრიელ აგბონლაორს** მოუხდა.

მეორე ტაიმი ესპანეთმა თითქოს უკეთ დაიწყო, ერთხელ გუნდი ინგლისელთა მარჯვენა მცველმა **მარტინ ქრენიმ** გადაარჩინა, თუმცა... მატჩის 67-ე წუთზე **მარიო სუარესის** პასი ასენხოს მიმართულებით აგბონლაორის ნაცვლად შესულმა **ფრეიზერ კემპბელმა** ჩაჭრა, რომელმაც ცაციათი ანგარიში გახსნა. 6 წუთში ინგლისმა საბოლოოდ გაინაღდა ნახევარფინალის საგზური - უოლკოტი-მილნერის კომბინაცია „ასტონ ვილას" ნახევარმცველმა გოლით დაასრულა - 2:0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

**22 ივნისი**

ფინეთი-ესპანეთი

გერმანია-ინგლისი

**დღეს**

**A ჯგუფი**

შვედეთი-იტალია

ბელარუსი-სერბეთი

## ამბები

### ლევერკუზენმა გეკასი დააბრუნა

ბუნდესლიგის 2007 წლის საუკეთესო ბომბარდირი (20 გოლი „ბოხუმის“ რიგებში) **თეოფანის გეკასი** ლევერკუზენში ბრუნდება. ბერძენი გოლეადორი გასულ სეზონში ინგლისურ „პორტსმუთში“ იყო განათხოვრებული და „ბაიერის“ შეფებმა მისი დაბრუნება მას მერე გადაწყვიტეს, რაც გუნდის ბომბარდირმა **პატრიკ ჰელმესმა** მძიმე ტრავმა (ექვსთვიანი პაუზა) მიიღო. „ლევერკუზენის“ შეფი **რუდი ფიოლერი** იმედოვნებს, რომ გეკასი გოლების გატანას გაიხსენებს. თუმცა ფიოლერი ამბობს, რომ ბერძენს რეზერვისტის რანგით დაკმაყოფილება მოუწევს. *„დარწმუნებული ვარ, რომ თეოფანისს გოლების გატანა არ დავიწყებია,“* - ეს კი ლევერკუზენელთა ახალი მთავარი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** სიტყვებია.

ამასობაში, „ჰანოვერმა“ „ლევერკუზენის“ მარცხენა მცველი **კონსტანტ ჯაპკა** გადაიბირა. 22 წლის კოტ დ'ივუარელი „ჰანოვერში“ ორი წლის განმავლობაში არენდის წესით ითამაშებს. „ლევერკუზენმა“ დაიტოვა იმის უფლება, რომ ჯაპკა მომავალი სეზონის დასრულებისთანავე დაიბრუნოს. ჯაპკა „ლევერკუზენში“ შარშან რუმინეთიდან გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. მას „ფარმაცევტებთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს.

### შტუტგარტს პისაროც უნდა და ბარნეტაც

„შტუტგარტი“ მარიო გომესის ღირსეული შემცვლელის ძებნას აგრძელებს და ახალი კანდიდატიც ჰყავს: ბრემენის „ვერდერის“ ფორვარდი **კლაუდიო პისარო**. პერუელ ფორვარდთან ერთად, შვაბებმა „ლევერკუზენის“ გარემარბ **ტრანკულიო ბარნეტასაც** დაადგეს თვალი. ეს ცნობა „შტუტგარტის“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** დაადასტურა. მისი თქმით, პისაროც და ბარნეტაც შვაბენლანდური კლუბისთვის სასურველ ფეხბურთელთა სიაში მოწინავე პოზიციებზე არიან. პისაროს გარდა, შვაბთა სამიზნეში **დემბა ბა** (ჰოფენჰაიმი), **რომან პავლიუჩენკო** (ტოტენჰემი), **ვაგნერ ლავი** (ცსკა) და **მარკუს ბერგიც** (გრონინგენი) არიან. ჰელდტს გომესის შემცვლელის წარდგენა 27 ივნისამდე სურს.

### დორტმუნდი: რუკავინა ბენდერის ნაცვლად

დორტმუნდის „ბორუსია“ „მიუნხენ 1860“-ს ფეხბურთელების გაცვლაზე მოურიგდა: მიუნხენიდან დორტმუნდში მცველი **სვენ ბენდერი** გადავა, **ანტონიო რუკავინა** კი „1860“-ს მიაშურებს. „ბორუსიას“ მენეჯერ **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** თქმით, ბენდერი ის ფეხბურთელია, რომელიც ვესტფალიურ კლუბს ძალიან სჭირდება (რუკავინასგან განსხვავებით).

### ფრაიბურგის ახალწვეული ხორვატიიდან

ბუნდესლიგაში ალზევებულმა „ფრაიბურგმა“ ხორვატი ფეხბურთელი, **მენსურ მუიჯა** იყიდა. 25 წლის ფეხბურთელმა ბრაისგაუულ კლუბს, სადაც ქართველი **დავით თარგამაძეც** ირიცხება, „ზაგრებიდან“ მიაშურა. მუიჯა მარჯვენა ფლანგის ფეხბურთელია და შეუძლია როგორც მცველის, ასევე ფლანგის ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება.

## ვოლფსბურგი

# ბასტა, ჯეკო უნდა დარჩეს!

## მგლები ბოსნიელს 50 მილიონადაც არ დათმობენ, გრაფიტე ახალ კონტრაქტს აფორმებს



ედინ ჯეკოს მილანში გადასვლა აუკრძალეს, გრაფიტე რჩება

დღეარ გავა, რომ „ვოლფსბურგისა“ და ბოსნიის ნაკრების ფორვარდ **ედინ ჯეკოს** (26 გოლი გასულ სეზონში) შესახებ ახალი ინფორმაცია არ გავრცელდეს. სხვადასხვა იტალიური თუ გერმანული გამოცემის ცნობების თანახმად, „მილანი“ გერმანიის ჩემპიონს ძალიან სერიოზულ თანხას სთავაზობს. გარკვეულია ისიც, რომ თვითონ ჯეკოს ძალიან უნდა „მილანში“ გადასვლა, რაც არც არის გასაკვირი, მაგრამ ფაქტია, რომ სანამ კარიერაში უდიდეს ნახტომს გააკეთებს, კიდევ ერთი წელი მოუწევს მოცდა, რადგან „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელები უკან ერთი მილიმეტრითაც კი არ იხევენ.

გერმანიის ჩემპიონის ხელმძღვანელების თქმით, წელს ჯეკოს გაყიდვა 100 პროცენტით გამორიცხულია. *„ჩვენ უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება. გვესმის, რომ ედინს ბევრი მთხოვნელი ჰყავს და რომ „მილანი“ „ვოლფსბურგზე“ გაცილებით დიდი გუნდია, მაგრამ მის გაშვებას არ ვაპირებთ,“* - აცხადებს სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე **შტეფან გრიუზემი** და აბსოლუტურ სისულელეს უწოდებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ვოლფსბურგი“ მზადაა, ჯეკო, რომელსაც „მგლებთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, 40 მილიონ ევროდ დათმოს. *„ედინს 50 მილიონ ევროდაც არავის დავუთმობთ!“* - დასძენს გრიუზემი.

მოკლედ, „ვოლფსბურგმა“ გადაწყვიტა, რომ ჯეკო არაფრისდიდებით არ დათმოს. „მგლების“ შეფებმა ეს გადაწყვეტილება ახალ მთავარ მწვრთნელთან და გენერალურ მენეჯერ **არმინ ფეესთან** კონსულტაციების შემდეგ მიიღეს. ცხადია, ეს გადაწყვეტილება თვითონ ჯეკოსთვის დიდი იმედგაცრუებაა, რადგან ბოსნიელს „მილანში“ გადასვლა ძალიან უნდოდა. ედინი ვოლფსბურგში 28 ივნისს ჩავა და ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ სთხოვს, „მილანში“ გამიშვითო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ საქმიდან ალარაფერი გამოვა.

*„ედინმა უნდა გაგვიგოს, ჩვენ მას ყოველივე კარგს ვუსურვებთ და არც ის გვინდა, რომ კარიერა დავუნგრიოთ. ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ორ წელიწადში უნდა „მილანში“ გადავიდეს, უნდა, „რეალში“ ან „მანჩესტერ იუნაიტედში“. მომავალ სეზონში კი აუცილებლად „ვოლფსბურგში“ უნდა ითამაშოს,“* - ამბობს გრიუზემი. იმავდროულად, „ვოლფების“ შეფები ჯეკოს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ გასამმაგებული ხელფასით, სადაც ჩაიდება პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ბოსნიელს 2010 წელს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, „ვოლფსბურგის“ დატოვება შეეძლება.

მაგრამ ჯეკო ნერვიულობს, რადგან ფიქრობს, რომ გაისად „მილანი“ მისით ალარ იქნება დაინტერესებული. ფეხბურთელის აგენტი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ტრანსფერი ახლავე განხორციელდეს და „მგლების“ ხელმძღვანელებს ფიფას ახალი კანონის, ე.წ. მეჩვიდმეტე პარაგრაფით წნეხის ქვეშ აქცევს. ხსენებული პარაგრაფის მიხედვით, ფეხბურთელს გუნდში გატარებული სამი წლის შემდეგ, კლუბის გამოცვლა საკმაოდ მცირე თანხის სანაცვლოდ შეუძლია. ასე რომ, თუ ჯეკომ ახალ კონტრაქტს ხელი არ მოაწერა, გაისად ძალიან იაფად გაიყიდება. მაგრამ გრიუზემი ამბობს, არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ წნეხის ქვეშ მოგვაქციოსო. ერთი სიტყვით, ბოსნიელ ფორვარდსა და მის გუნდს შორის მცირე ომი მიმდინარეობს.

იმ დროს, როცა ჯეკოს წასვლა უნდა, მის მეწყვილე **გრაფიტეს**, რომელიც 28 გოლით ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, „ვოლფსბურგში“ დარჩენა სურს და თანაც, ძალიან დიდი ხნით. 30 წლის ბრაზილიელ გოლეადორს (28 გოლი გასულ სეზონში), გერმანიის ჩემპიონთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს და უკვე ცნობილია, რომ დაბრუნდება თუ არა შვებულებიდან (კვირას), მაშინვე ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს.

გრაფიტეს თქმით, გასარკვევი დარჩა მხოლოდ მცირე დეტალები და კონტრაქტის ვადა. „ვოლფსბურგის“ შეფები მას კონტრაქტის 2012 წლამდე გაფორმებას სთავაზობენ, ფეხბურთელს კი 2013 წლამდე სურს.

## ბაიერნი

# შეგიძლიათ, ნახვიდეთ!

## რეკორდმაისტერს ლელი, ოტლი და ბოროვსკი არ სჭირდება, ტონი რჩება

„ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ **ფრანკ რიბერი** მიუნხენში უნდა დარჩეს. **ფრანც ბეკენბაუერის** განცხადების შემდეგ („სამეთვალყურეო საბჭოში გადავწყვიტეთ, რომ თუ რიბერის წასვლა უნდა, სათანადო თანხის სანაცვლოდ გავყიდით“), რუმენიგემ ახალი კომენტარი გააკეთა: *„არ ვიცი, რატომ თქვა ფრანცმა ასეთი რამ. ფაქტია, ჩვენ ყველანი შევთანხმდით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ რიბერის შესანარჩუნებლად!“*

იმავდროულად, რუმენიგემ დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ „ბაიერნი“ **ხოსე ბოსინგვას** გადაბირებას ცდილობს. კალე „ჩელსის“ 26 წლის მცველს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ფლანგის უკანახაზელს უწოდებს და იმედოვნებს, რომ ბოსინგვა ბაიერნელი გახდება. რუმენიგეს თქმით, ამავე კვირაში უნდა გადაწყდეს **დანიელ პრანჯიჩის** ტრანსფერიც - „ჰერენვენთან“ მოლაპარაკებები ბოლო სტადიაშია.

ცხადია, რომ ამდენი მოთამაშის ყიდვის შემდეგ, ბავარიელები რამდენიმე ფეხბურთელს შეელევიან. *„ჯერჯერობით გადაწყვეტილებები არ მიგვიღია, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე ფეხბურთელს გავუშვებთ,“* - აცხადებს რუმენიგე. „კიკერისა“ და „ბილდის“ ინფორმაციით, „ბაიერნში“ მომავალი ალარ აქვთ **ტიმ ბოროვსკის**, რომელიც მიუნხენელებმა შარშან „ვერდერიდან“ უფასოდ გადაიბირეს, მარჯვენა მცველ **კრისტიან ლელს** და საყრდენ ნახევარმცველ **ანდრეას ოტლს**.

ამასობაში, რეკორდმაისტერის იტალიელი ფორვარდის, **ლუკა ტონის** აგენტმა **ტრულიო ტინტიმ** განაცხადა, რომ მისი კლიენტი მიუნხენში დარჩება. *„ტონი „ბაიერნის“ ფეხბურთელია და 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონსაც მიუნხენში გაატარებს,“* - განუცხადა ტინტიმ „მიუნხენერ თაგესცაითუნგს“. ამრიგად, ტონი ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლაში სერიოზულ კონკურენციას გაუწევს **მიროსლავ კლოზეს, მარიო გომესს** და **ივიცა ოლიჩს.**

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ანდრეას ოტლი, კრისტიან ლელი, ფილიპ ლამი და ტიმ ბოროვსკი. ამ ოთხეულიდან მიუნხენში მხოლოდ ლამი დარჩება

## ამბები

### ჰამბურგი: რა ეშველება გერეროს?

**მლადენ პეტრიჩთან** ერთად (ხორვატ თავდამსხმელს „ვოლფსბურგი“ ეპატიჟება), „ჰამბურგს“ **პაულო გერეროს** დაკარგვის საფრთხეც ემუქრება. გამოდის, რომ დიდი შანსია, ჩრდილოგერმანელთა ახალმა მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** ორი წამყვანი თავდამსხმელი დაკარგოს და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ჰამბურგი“ უკვე დატოვა **ივიცა ოლიჩმა** („ბაიერნში“ გადავიდა), ფაქტია, რომ ლაბადიას სერიოზული პრობლემა ექმნება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ჰამბურგის“ შეფი **დიტმარ ბაიერსდორფერი** საფრანგეთშია და მარსელის „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს - მას **ლორიკ კანას** გადაბირება უნდა. „ჰამბურგში“ გადასვლის კანდიდატები არიან **კონსტანტინოს კაცურანისი** (ბენფიკა) და **ელერო ელიაც** (ტვენტე). რაც შეეხება გერეროს, ამ უკანასკნელს „ჰამბურგთან“ კონტრაქტი გაისად უმთავრდება, ახლა კი ჯიუტობს და ხელფასის გაზრდას ითხოვს. გერერო ახალ კონტრაქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწერს ხელს, თუ წელიწადში 4 მილიონ ევროს მისცემენ. „ჰამბურგის“ შეფები მიიჩნევენ, რომ ეს აფსურდია. ასე რომ, გერერო „ჰამბურგს“ ალბათ დატოვებს და თანაც ახლავე.

### ვიხნიარეკი ისევ ჰერტაში

„ჰერტა“ თავდამსხმელს ეძებს და როგორც ჩანს, ბერლინელებმა იდეალურ ვარიანტს მიაგნეს. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, დიდი შანსია, რომ ბერლინელებმა ბილეფელდის „არმინიას“ პოლონელი თავდამსხმელი **არტურ ვიხნიარეკი** გადაიბირონ, რომელიც ერთხელ უკვე იცავდა „ჰერტას“ ღირსებას 2003-დან 2006 წლამდე. ალსანიშნავია, რომ თავის დროზე ვიხნიარეკმა „ჰერტაში“ იმედები ვერ გაამართლა, მაშინ ის წინა ხაზში **ფრედი ბობიჩის** მეწყვილე გახლდათ, ახლა კი ჩინებულ ფორმაშია. 32 წლის ვიხნიარეკის დაბრუნება ბერლინელებმა იმის გამო გადაწყვიტეს, რომ **მარკო პანტელიჩმა** და **ანდრეი ვორონინმა** „ჰერტა“ დატოვეს.

### გლადბახს არანგო უნდა

ესპანური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ „მალიორკას“ ფეხბურთელის, **ხუან არანგოს** გადაბირება სურს. არანგო ვენესუელის ნაკრების კაპიტანია და მარცხენა გარემარბის პოზიციაზე თამაშობს. იმავდროულად, მას ფლეიმეიქერის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია. მიონხენგლადბახელებს ის „ვერდერისკენ“ გეზაღებული **მარკო მარინის** შემცვლელად სურთ. „მალიორკა“ 29 წლის არანგოს 5 მილიონ ევროდ აფასებს.

### ცისფერი მსაჯი სასამართლოში იჩივლებს

მას მერე, რაც თურქმა არბიტრმა **ჰალილ იბრაჰიმ დინჩდაგმა** ფრანგულ საინფორმაციო სააგენტო AFP-ს განუცხადა, რომ ჰომოსექსუალია, თურქეთის საფეხბურთო კავშირმა მას დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ჰალილ იბრაჰიმი ბოლო დღეებში თურქული მედიის ნომერ პირველი თემაა და არბიტრი, რომელიც ფრანგ ჟურნალისტს გამოუტყდა, არ ნებდება და სასამართლოში ჩივილს აპირებს. მისი თქმით, თუ დასჭირდა, სარჩელს ევროპის სასამართლოშიც აღძრავს. *„მე არაფერი დამიშავებია, უბრალოდ ვთქვი, რომ ჰომოსექსუალი ვარ,“* - ამბობს ჰალილ იბრაჰიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იუვენტუსი



# ქალბატონი როსის უმიზნებს: 20 მილიონი და ტრეზეგე

**ჯუზეპე როსის** მიმართ დაინტერესება ისედაც დიდი იყო და კონფედერაციის თასის მსვლელობისას, კიდევ უფრო გაიზარდა. „ვილიარეალის" თავდამსხმელი იტალიის ნაკრებში ბრწყინვალედ ჩაეწერა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მის საშემსრულებლო ოსტატობაზე. ამერიკის ნაკრებთან მისი ასპარეზობა ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება გახლდათ - შეცვლაზე შესულმა როსიმ, ორი გოლი გაიტანა და სკუადრა აძურას გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. დღესავით ნათელია, რომ ჯუზეპეს „ვილიარელში" დიდხანს არ გააჩერებენ და მას რომელიმე გრანდი გადაიბირებს. თავად ფეხბურთელმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ კარიერის გაგრძელება სამშობლოში, სერია A-ს რომელიმე გუნდში სურს.

პირველი კლუბი, რომელმაც როსის შეძენის სურვილი დაადასტურა, ტურინის „იუვენტუსი" გახლავთ. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, რომ „ვეკია სენიორას" მესვეურები, ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში ნაბიჯებს გადადგამდნენ. გუშინ კი, ეს ამბავი კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ალესიო სეკომაც** დაადასტურა:

*„დასამალი არაფერია, როსის მიმართ სერიოზული ინტერესი გვაქვს და მის გადაბირებას აუცილებლად შევეცდებით. უკვე გვაქვს მომზადებული შეთავაზება და უახლოეს დღეებში, „ვილიარეალის" მესვეურებს დავუკავშირდებით. იმედი მაქვს, ესპანელები მიიღებენ ჩვენს წინადადებას და ტრანსფერი შედგება".*

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა შეთავაზება მოამზადეს ტურინელებმა. სამაგიეროდ, უკვე გაცხადდა, რას ითხოვს „ვილიარეალი" როსის სანაცვლოდ. ბუნებრივია, ესპანელებს კარგად ესმით, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელის შენარჩუნებას დიდ ხანს ვერ შეძლებენ და მოთამაშეს ფასი დაადეს. საუბარია 35 მილიონ ევროზე. თუმცა, არის მეორე ვარიანტიც და თუ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, დიდია შანსი „იუვეს" შემთხვევაში სწორედ ეს გეგმა ამოქმედდეს. ანუ, 20 მილიონი ევრო და პლუს **დავიდ ტრეზეგე**. ფრანგს ტურინიდან წასვლა ისედაც გადაწყვეტილი აქვს და წესით, ესპანეთში გადაბარგებაზე უარი არ უნდა თქვას. თუ, ეს ვარიანტი ორივე კლუბისთვის მისაღები გამოდგა, მაშინ ტრანსფერს წინ ველარაფერი დაუდგება.




მოსალოდნელი ტრანსფერები

# პირლო: შეიძლება, ჩელსიში წავიდე

## დაიშლება დიდი მილანი?

**ლეონარდომ** არაერთხელ განაცხადა, რომ ახალი „მილანის" მშენებლობას არ აპირებს და რევოლუციური ცვლილებების მოლოდინში არ უნდა ვიყოთ. თუმცა, შეიძლება ეს თავისთავად, მწვრთნელის ნებასურვილის გარეშე მოხდეს. როგორც ჩანს, **კარლო ანჩელოტის** და **კაკას** წასვლამ, სტაჟიან მილანელებზე დამთრგუნველად იმოქმედა და ნავსაყუდელის შეცვლაზე ისინიც დაფიქრდნენ. მაგალითად, „კორიერე დელო სპორტი" თავის მორიგ სტატიას „მილანზე", ასე ასათაურებს: **„ჩასაძირად განწირული გემიდან ეკიპაჟი გარბის"**. შესაძლოა, ბევრს ზედმეტად პესიმისტური ეჩვენოს აღნიშნული ფრაზა, მაგრამ ფაქტია, რომ „როსონერი", კაკას წასვლით ძალიან დასუსტდა.

ახალგაზრდა მწვრთნელებს თანამედროვე ფეხბურთში თავისუფლად ანდობენ საპასუხისმგებლო პოსტებს, თუმცა „მილანი" სპეციფიკური გუნდია და აქ შეიძლება ამას უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. მაინც რით განსხვავდება „როსონერი" სხვა გუნდებისგან? - იმით, რომ გუნდში ბევრი ვეტერანი ფეხბურთელია, რომლებსაც ზურგს ხანგრძლივი და ძალიან წარმატებული კარიერა უმაგრებთ. მათთვის რთული იქნება უსიტყვოდ დაუჯერონ დამწყებ სპეციალისტს, რომელმაც შესაძლოა სამწვრთნელო საქმიანობის შესახებ შეგირდებზე მეტი არც კი იცის. საქმე ავტორიტეტთან გვაქვს და ლეონარდომ ეს ავტორიტეტი მალევე უნდა მოიპოვოს.

„ტუტოსპორტის" სტატიაში, რომელიც „მილანის" ზაფხულის გეგმებს მიეძღვნა, საუბარია იმაზე, რომ გუნდი, შესაძლოა, **ანდრეა პირლომ** და **ჯენარო გატუზომ** დატოვონ. რამდენიმე დღის წინ, **ადრიანო გალიანიმ** განაცხადა, რომ წამყვანი ფეხბურთელების გასხვისებას აღარ აპირებს, მაგრამ რას იზამს თუნდაც გალიანი მაშინ, თუ თავად ფეხბურთელებმა მოისურვეს გარემოს შეცვლა. ავტორიტეტული გამოცემის ჟურნალისტი, პირლოს სამხრეთ აფრიკაში შეეხმიანა და ჰკითხა, რჩება თუ არა ის „მილანში"? პასუხი საკმაოდ საინტერესო მიიღო:

*„დღეს ზუსტად ვერ გეტყვით დავრჩები თუ არა „მილანში". „როსონერიში" თავს დიდებულად ვგრძნობ, ამ გუნდში შესანიშნავი, კარიერის საუკეთესო წლები გავატარე, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ წასვლა არ მინდა. შესაძლოა, ეს ის ეტაპი იყოს ჩემს ცხოვრებაში, როცა რაღაც უნდა შეცვალო. „ჩელსი" დაინტერესებულია ჩემით და ეს ძალიან მსიამოვნებს. კარლო ანჩელოტი დიდი მწვრთნელია. და მასთან მუშაობაზე უარს არც მომავალში ვიტყოდი. თუმცა, ისე არ გაიგოთ, თითქოს ჩემი ლონდონში გადასვლა გადაწყვეტილი იყოს, არა, ამისგან ჯერ შორს ვარ. უბრალოდ, არ გამოვრიცხავ, რომ „მილანიდან" „ჩელსიში" გადავიდე".*

ანალოგიური შინაარსის გახლდათ ჯენარო გატუზოს კომენტარიც და აღარ გავიმეორებთ. რინომ ისიც დაამატა, პრემიერლიგას ჩემი ხასიათი კარგად მოერგება და დარწმუნებული ვარ, ლონდონში გადასვლის შემთხვევაში, ადაპტაციის პრობლემა არ შემექმნებაო. თუ კაკას კვალს ანჩელოტის ფორმაციის კიდევ ერთი მილანელი მიჰყვა, მაშინ გუნდში დარჩენის სურვილი ალბათ აღარც სხვებს დარჩებათ. რინოსთვის პირლო თანამებრძოლია, ისევე როგორც, ვთქვათ **კლარენს ზეედორფი** - ეს, ერთი დიდი გუნდი იყო, რომელიც შესაძლოა ამ ზაფხულს დაიშალოს და ლეონარდომ სრულიად ახალი „მილანის" მშენებლობა დაიწყოს.



# მანჩესტერს ვუჩინიჩი მოუნდა



ორიოდე კვირის წინ, **მირკო ვუჩინიჩმა** „რომასთან" ახალი, ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულება გააფორმა და თითქოს, ყველანაირ სპეკულაციას მის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით, წერტილი დაუსვა. თუმცა, არც მთლად მასე ყოფილა საქმე. ჩერნოგორიელის გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედის" მესვეურებმა განიზრახეს და საამისოდ სოლიდური თანხაც გამოყვეს. იტალიური პრესის ცნობით, „რომას" დაახლოებით 300 მილიონი ევრო აქვს ვალი, რაც ბადებს ეჭვს, რომ დედაქალაქელები ფეხბურთელს შეიძლება შეელიონ კიდეც. მეტიც, „კორიერეს" ინფორმაციით, 25 მილიონი ევროს სანაცვლოდ მირკოს რომაელები აუცილებლად გაუშვებენ. ინგლისელები ფინანსების ნაკლებობას არ უჩივიან, თუმცა ამ ეტაპზე მაინც ვაჭრობას ამჯობინებენ და მხოლოდ 17 მილიონი ევროს გადახდას არიან ყაბულს. თავად ფეხბურთელი კი „რომადან" წასვლაზე არ ფიქრობს, თუმცა მანჩესტერელთა ინტერესით სასიამოვნოდ არის გაკვირვებული - „მანჩესტერი" კარგია, მაგრამ რომშიც ბედნიერი ვარო.

რომა

# დე როსის ვერ შეველევითო...

**ფლორენტინო პერესი** არ ისვენებს და მთელი საფეხბურთო ევროპა დაძაბულობაში ჰყავს. ძალიან საინტერესო სტატია გამოქვეყნდა გუშინ „ტოტო სპორტში", რომელიც მომავლის „რეალს" და მის სატრანსფერო პოლიტიკას შეეხო. ჟურნალისტი სამეფო კლუბის ფანტასტიკურ შემადგენლობაზე და მეტწილად, შუა ხაზზე საუბრობს. თუ პერესმა ყველა სურვილი აისრულა, მაშინ ასეთ ნახევარდაცვას მივიღებთ: გამთამაშებლად **რიკარდო კაკა**, მარჯვენა ფლანგზე **კრისტიანო რონალდო**, მარცხენა ფრთაზე **ფრანკ რიბერი** და საყრდენ ნახევარმცველად **დანიელე დე როსი**. დიახ, დე როსი და ჩვენს სათქმელსაც მივადექით. თუ ამ გამოცემას და ზოგადად, იტალიურ პრესას ვენდობით, სამეფო კლუბი ძალიან არის დაინტერესებული იტალიის ნაკრების ნახევარმცველის გადაბირებით.



ამ ამბავმა, „ჯალოროსის" ტიფოზები აანერვიულა და ეს სრულიად ბუნებრივია - დანიელე ხომ რომაული კლუბის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია. გუშინ, მასმედიასთან საუბარში, „რომას" დირექტორატის წარმომადგენელმა **ერნესტო ბრონძეტიმ** დე როსის შესაძლო გასხვისება უარყო და გულშემატკივრებს სიმშვიდისკენ მოუწოდა - ფლორენტინოს **ჩაბი ალონსო** უნდა, დე როსიზე რომ იყოს ლაპარაკი, ამას ჩემზე ადრე ვინ გაიგებდაო.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ჩელსი




კარლო ანჩელოტი კომოს ტბაზე ისვენებს და ჩელსის საქმეებს იქიდან აგვარებს

# სიძე, შე ძველო!

„ჩელსის" ესპანეთში მოთამაშე არგენტინელი თავდამსხმელის, **დიეგო მარადონას** სიძის, **სერხიო აგეროს** შეძენა უნდოდა და მადრიდის „ატლეტიკოს" ამასთან დაკავშირებით წინადადებითაც მიმართა, მაგრამ, პასუხად ისეთი რამ მოისმინა, პირი დაღებული დარჩა - აქაურობა რომ დავტოვო, წელიწადში 10 მილიონი ფუნტი უნდა გადამიხადოთო, შემოუთვალა აგერომ. ეტყობა თავი საკუთარ სიმამრში აერია. საინტერესოა, რომ „ლურჯები" ამას რომ დაყაბულებოდნენ, აგერო პრემიერლიგის ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელი გახდებოდა. მას კვირაში 200 ათას ფუნტზე მეტს გადაუხდიდნენ. ცნობისათვის: სადღეისოდ, „ჩელსის" ყველაზე დიდჯამაგირიანი ფეხბურთელები არიან **ჯონ ტერი** და **ფრენკ ლამპარდი**, რომელთა შემოსავალი, სადღაც, ყოველკვირეული 150 ათასის ფარგლებშია.

ლონდონელები აგეროს მოთხოვნილებებს, რასაკვირველია, არ დააკმაყოფილებენ, რადგან არგენტინელის ხელფასის გარდა, ბუნებრივია, ცალკე „ატლეტიკოსთვისაც" ექნებათ გადასახდელი სატრანსფერო თანხა, 35 მილიონი ფუნტი - საეჭვოა, „ჩელსის" მეპატრონეს, **რომან აბრამოვიჩს** „საქონლის" შეფასება არ ეხერხებოდეს და ვაჭრობაში ტყუვდებოდეს. ასე რომ, „ლურჯების" თავკაცი, **კარლო ანჩელოტი**, ალტერნატიული ვარიანტების ძიებაშია. ამას წინათ, მოგახსენეთ კიდეც, რომ „მილანის" მწვრთნელყოფილმა თავად დაურეკა ბუენოს აირესში აგეროს თანამემამულეს და ჩვეულებრივი მოქალაქის სიძეს, კარლოს ტევესს, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედთან" ურთიერთობის ვადა ერთ-ორ კვირაში უმთავრდება.

საინტერესოა, რომ აგეროს ისტორიამ ლონდონელთა აღმასრულებელ შეფს, **პიტერ კინიონს** სახელფასო და ფინანსური პოლიტიკის გადახედვისკენ უბიძგა. მისი რწმენით, კლუბმა შემოსავალ-გასავალი ისე უნდა ითვალოს, რომ ვინმეს საყიდლად აბრამოვიჩთან არ მოუხდეს გაშვერილი ხელით სირბილი.

სატრანსფერო ამბები

# გულისა და ფულის ინტერესები

„მანჩესტერ იუნაიტედს" არსენალელი **რობინ ვან პერსისთვის** დაუდგამს თვალი, მაგრამ ჯერ ფრთხილობს, აკვირდება. იკითხავთ, ჰოლანდიელს თუგინდ „მანჩესტერ იუნაიტედის" დასაკვირვებელი რა სჭირსო. გიპასუხებთ, რათქმა უნდა, დიდი შანსია იმისა, რომ ვან პერსმა ისევ ლონდონელებთან გააგრძელოს კონტრაქტი, მაგრამ ამას წინათ წამოსცდა, ჩემთვის ტიტულების მოპოვება ფულზე არანაკლებ მნიშვნელოვანიაო და ამის გაგონებაზე ინგლისის ჩემპიონის მწვრთნელმა, **სერ ალექს ფერგიუსონმა** დაცქვიტა ბებერი ყურები. ციტატა ვან პერსის ნათქვამიდან:

*„ბოლო ოთხ წელიწადში მხოლოდ ერთი ჯილდო, ფეხბურთის ასოციაციის თასი მოვიგე, ეს კი მეტისმეტად ცოტაა. მე მეტი მინდა".*

აღსანიშნავია, რომ ვან პერსისა და „არსენალს" შორის დადებულ ხელშეკრულებას ძალა კიდევ ერთ წელიწადს ექნება. რასაკვირველია, „მეთოფეები" ჰოლანდიელს ახალი კონტრაქტის გაფორმებასა და ხელფასად კვირაში 80 ათას ფუნტს სთავაზობენ, თუმცა, ეს ხელფასი იმაზე ნაკლებია, „მანჩესტერში" **უეინ რუნისა** და **რიო ფერდინანდს** რომ უხდიან.

თავად ვან პერსი „არსენალის" წინადადებით უკმაყოფილო არ არის და საჯარო გამოსვლებში უფრო იმაზე წუხს, ნეტავ ჩვენი ბოსი, **არსენ ვენგერი** ამ სატრანსფერო სეზონზე ვის შეძენას აპირებსო. იგი მიიჩნევს, რომ ტიტულების მოპოვება ძალიან იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვის დაიმატებენ „ემირიტს სთედიუმზე", თუმცა, სამეგობროში, როგორც ამბობენ, სხვანაირად ლაპარაკობენ.

*„ფინანსურად მშვენიერი რამ შემომთავაზეს, მაგრამ ფული ჩემთვის ყველაფერს არ ნიშნავს. აქ მთავარი ჩემი ამბიციაა და მაინტერესებს, ეს ამბიცია როგორ დაკმაყოფილდება",* - საჯაროდ ასე განმარტავს ვან პერსი.

ამასთან, ცნობილი ამბავია, რომ ჰოლანდიელის შეძენით „მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა მილანის „ინტერიცაა" დაინტერესებული. მოგეხსენებათ, „ინტერს" „ჩელსის" ყოფილი თავკაცი, **ჟოზე მოურინიო** ხელმძღვანელობს და ბუნებრივია, მან დიდებულად იცის, ინგლისში მოთამაშეთაგან ვის რა ფასი აქვს. სხვათა შორის, ვან პერსის ფასი, ბოლო მონაცემებით, 20 მილიონი ფუნტი გახლდათ.

ახლა კი იმაზე, თუ რას ლაპარაკობს ვან პერსი სამეგობროში. ინგლისურმა ტაბლოიდებმა მიაგნეს ვან პერსის მავან ჰოლანდიელ ახლობელს, რომლის სახელიც, რასაკვირველია, არ გათქვეს, მაგრამ მისგან ასეთი რამ მოისმინეს:

*„რობინს „არსენალში" თამაში ძალიან უყვარს, მაგრამ იგი უკვე 26 წლისაა ანუ იმ ასაკში, როდესაც ტიტულების მოგებას სხვა მნიშვნელობა ენიჭება. მან კარგად იცის, რომ მისი შეძენით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული და მოვლენათა განვითარებას ელოდება".*

ვან პერსი „არსენალში" ხუთი წლის წინათ მივიდა, მაგრამ ხშირმა ტრავმებმა ამ ხნის განმავლობაში 79 შეხვედრაში მონაწილეობაზე მეტის საშუალება არ მისცა.



შეიცვლის მისამართს რობინ ვან პერსი?

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

მოსაზრება

# მოუბრეიმ ვერ ივარგა

„ვესტ ბრომვიჩის" ახლა უკვე ყოფილმა მწვრთნელმა, **ტონი მოუბრეიმ** ხელიდან დიდებული შანსი გაუშვაო, განაცხადა მისმა ერთ-ერთმა წინამორბედმა და მასზე უფრო ცნობილმა ინგლისელმა მწვრთნელმა **რონ ატკინსონმა**. მოგეხსენებათ, მოუბრეიმ პრემიერლიგიდან გავარდნილი „ვესტ ბრომვიჩი" დატოვა და გლაზგოს „სელტიკში" გადავიდა. ცნობისათვის: ვესტ ბრომვიჩელები პრემიერლიგიდან სწორედ მოუბრეის ხელში გავარდნენ.

*„საერთოდ, მან კარგად იმუშავა, მაგრამ გასული წელიწადი აშკარად დროის ფანტვას მიუძღვნა,* - გააკრიტიკა კოლეგა ატკინსონმა, - *ერთი წლით ადრე, როდესაც გუნდი პრემიერლიგაში ალზევდა, მეგონა, გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა, მაგრამ მწვრთნელის გამოუცდელობამ აშკარად იჩინა თავი".*

აი, რაც შეეხება მოუბრეის შოტლანდიაში გაშვებას, ეს ატკინსონს აშკარად მოეწონა. მწვრთნელის გაყიდვით ხომ გუნდმა სალარო დაახლოებით 2 მილიონი ფუნტით შეივსო.

*„ყველაფერი არასწორად მოხდა. „ვესტ ბრომვიჩელებს" გასულ სეზონში, მოუბრეისთვის სადღაც ოქტომბერ-ნოემბრამდე უნდა ეყურებინათ და თუ დაინახავდნენ, რომ გუნდი კონკურენტუნარიანი ვერ არის, ფანებს ტრიბუნებიდან ერთი ამბავი უნდა აეტეხათ. სიტუაცია, მთელი სეზონის განმავლობაში არ გამოსწორებულა"* - ბრძანებს კრიტიკოსი.

„ვესტ ბრომვიჩის" ქომაგებს კი ახლა წარსულზე მეტად მომავლის ბედი აწუხებთ, კერძოდ კი აინტერესებთ, ვინ იქნება მოუბრეის შემცვლელი. ატკინსონს ამაზეც თავისი მკაფიო აზრი აქვს:

*„მე აშკარად დარენ ფერგიუსონს დაველაპარაკებოდი. ახალგაზრდა მწვრთნელთა შორის ის ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ თუ „ვესტ ბრომვიჩი" მასთან საერთო ენას ვერ გამონახავს, მაშინ, გორდონ სტრაჩანის ვარიანტს მოვსინჯავდი".*

ცნობილია, რომ პრემიერლიგიდან გავარდნილი კლუბის თავმჯდომარე, **ჯერემი პისი** იმედოვნებს, რომ მოუბრეის შემცვლელს ივნისის ბოლომდე იშოვის.

ტრანსფერი

# როცა კარს გიღებენ...

ბელგიელ მცველს, **ტომას ვერმელენს** დღეს „არსენალის" სამედიცინო ცენტრში გასინჯავენ და თუ ყველაფერი რიგზე იქნება, **არსენ ვენგერი** კონტრაქტსაც გაუფორმებს. ვერმელენი აქამდე „აიაქსში" თამაშობდა. ლონდონელები მასში 11 მილიონ ფუნტს იხდიან და ოთხწლიანი თანამშრომლობისთვის ემზადებიან.

23 წლის ფეხბურთელი ამბობს: *„მართალია, ჯერ ხელი არაფერზე მაქვს მოწერილი, მაგრამ ყველაფერი რიგზეა. მეტისმეტად მეამაყება „არსენალის" დონის გუნდში რომ გადავდივარ. პარასკევს ლონდონში ჩავფრინდები, ექიმები გამსინჯავენ და კონტრაქტსაც იქვე გავაფორმებთ. „არსენალი" ის გუნდია, რომლის თამაშსაც ბავშვობიდან ვუყურებ და აღფრთოვანებული ვარ. არსენ ვენგერი შემტევი ფეხბურთის მოყვარული მწვრთნელია და ახალგაზრდებთან მუშაობით არის ცნობილი. ერთი სიტყვით, როდესაც ასეთი კლუბი კარს გიღებს, ვალდებული ხარ, ზღურბლს გადააბიჯო. პარასკევს „ემირიტს სთედიუმსაც" ვნახავ. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს. ერთი სიტყვით, ჩემს ცხოვრებაში დიდი ცვლილება ხდება. მომავალ სეზონში, უკვე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებთან მომიწევს დაპირისპირება, მაგრამ გარწმუნებთ, ეს სრულებითაც არ მაშინებს. მოკლედ, ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო დღეები დგება".*

ვერმელენი „აიაქსში" 2004 წელს გადავიდა და ამსტერდამული გუნდის მაისურით ასზე მეტი შეხვედრა ჩაატარა.




ტომას ვერმელენი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავის ცხოვრება

# ამბიცია და ნებივრობა ლას ვეგასში

ინგლისში **კრისტიანო რონალდოს** მეგატრანსფერზე გაცხოველებული ბჭობა გრძელდება. საყვარელ ვარსკვლავს ზოგი გასული წლებისთვის მადლობას უხდის და თვალცრემლიანი ემშვიდობება, ბევრი კი მას საძულველ ადამიანად, ანტიგმირად მიიჩნევს, „რეალში" გაქცევას ღალატად უთვლის და წყევლა-კრულვით იხსენიებს. რატომ მიიჩნევს ეს ხალხი რონალდოს მოღალატედ? იმიტომ, რომ 2003 წელს, პორტუგალიელი „მანჩესტერ იუნაიტედში" რომ მივიდა, 18 წლისა გახლდათ და უბრალოდ ნიჭიერი ბიჭიდან დიდ ვარსკვლავად სწორედ **ალექს ფერგიუსონის** ხელში ჩამოყალიბდა. ასე განსაჯეთ, მნიშვნელოვანწილად, მისი იმიჯიც კი მანჩესტერელთა სქოთი თავკაცის შექმნილია. თავად ვარსკვლავს გაუხსენებია მრავალჯერ: *„გუნდში რომ მივედი, მწვრთნელმა ნომრის ამორჩევა მთხოვა. მე 28 ვუთხარი, მან კი მომიგო, არა, შენ 7 იქნები"*. რატომ შვიდი? იმიტომ, რომ ეს ნომერი „მანჩესტერ იუნაიტედში" ბევრს ნიშნავს. ის წარსულის დიდი ვარსკვლავების, **ჯორჯ ბესტის, ბრაიან რობსონის, ერიკ კანტონასა** და **დევიდ ბექჰემის** ნომერია... მაგრამ, აი, გავიდა ექვსი სეზონი და რონალდო მანჩესტერიდან მრავლისგან შეზიზღებული წავიდა. და როგორია თავად თავდამსხმელის დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი? ერთი შეხედვით უცნაური, მაგრამ, იმავდროულად გასაგები - თუ ვინმეს ვეზიზღები, ვეზიზღებოდე, ჩემთვის სულერთიაო, ამბობს. როგორც ჩანს, თავი უკვე სამშვიდობოს ჰყავს დაგულებული. მადრიდში მანჩესტერიდან ვერავის სტვენა და „ბუუ"-ს ძახილი ვერ მისწვდება.

მეტიც, აი, რას ამბობს პორტუგალიელი: *„მიყვარს, როდესაც ხალხი ჩემს მიმართ აგრესიულია და მაღიზიანებს. მიყვარს მათ თვალებში ზიზღის დანახვა და შეურაცხყოფის მოსმენა. გიმეორებთ, ეს ყველაფერი მიყვარს, განა მაწუხებს. დიახ, მართალია, უამრავ ადამიანს ჭირის დღესავით ვეზიზღები, მაგრამ მათ გარდა არსებობს უამრავი ადამიანი, რომელსაც ვუყვარვარ და მქომაგობს. ცუდად მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვგრძნობ თავს, როდესაც თამაში არ გამომდის, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს იშვიათად ხდება"*.

24 წლის გარემარბმა „ოლდ ტრაფორდზე" გატარებულ წლებში უამრავი ჯილდო მოიპოვა, მაგრამ ამაზე გაჩერებას არ აპირებს: *„ჯერ კიდევ ძალიან გრძელი გზა მაქვს გასავლელი. მინდა, ფეხბურთის ისტორია თავიდან დავაწერინო. ვიცი, საუკეთესოთა შორის საუკეთესო უკვე გახლავართ, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს და მინდა, საფეხბურთო მოედნებზე კიდევ ბევრი ულამაზესი სპექტაკლი დავდგა"*.

ინტერვიუში, რომელიც ყოფილ მანჩესტერელს ფრანგულმა ჟურნალმა So Foot-მა ჩამოართვა, ის ამბობს, რომ თანამედროვეობის კიდევ ერთი უდიდესი ვარსკვლავის, ბარსელონელი **ლეო მესის** დაჩრდილვა შეუძლია.

*„რატომ უნდა მშურდეს მესის? საერთოდ, ჩემს თავს სხვებს არ ვადარებ. მე კრისტიანო რონალდო გახლავართ და ნებისმიერზე მეტი ჯილდოს მოპოვება შემიძლია. მიღწეულით დაკმაყოფილება და მოდუნება ჩემი საქმე არ არის. ფანებს დიდი კრისტიანო რონალდოს ნახვა უნდათ? ყველა ღონეს ვიხმარ, იმედები არ გავუცრუო"*, - ამბობს გარემარბი და შვებულებას ევროპული საფეხბურთო სცენიდან შორს, ოკეანის გადაღმა, ამერიკაში ატარებს. ამას წინათ მოგახსენეთ, რომ იქ, შეერთებულ შტატებში რონალდოს ახალი სიყვარული მიეძალა - ჰილტონთა უმდიდრესი ოჯახის შთამომავალი, სკანდალური ქცევითა და მსოფლიოს ზეწვეულებებზე პირველი ნომრობით ცნობილი **პერის ჰილტონი**. პორტუგალიელმა ფეხბურთელმა და ამერიკელმა „სელებრითიმ" ლოს ანჯელესში დიდი რომანი გააბეს, მაგრამ მერე, ამ ჩვენმა რონალდომ ფეხი დაჰკრა და აზარტულ თამაშობათა დედაქალაქში, ლას ვეგასში სატრფოს გარეშე გასწია. ყვითელ ჟურნალისტთა მთელი ჯარიც, ბუნებრივია, უკან გაჰყვა.



და რა გამოჩხრიკეს ტაბლოიდებმა ლას ვეგასში? რა და ის, რომ რონალდომ „პალმზ კაზინო რესორტში" დღეში 5400-ფუნტიანი ნომერი იქირავა და არც პერის ჰილტონისთვის მიცემულ ერთგულების ფიცს (თუ მისცა ასეთი ფიცი საერთოდ) უერთგულა მაინცდამაინც - ერთი ქერა და ერთიც წაბლისფერთმიანი ლამაზმანებიც მოჩანგლაო.

ხოლო, რაც შეეხება პერის ჰილტონს, იგი ფეხბურთელთან ერთად მადრიდში გადასაბარგებლად ემზადება. როგორც ჩანს, პოპულარობას დახარბებული ამერიკელი ქალი ესპანეთის დედაქალაქში „პოშ ენდ ბექზის" ანუ **ვიქტორია ადამსისა** და დევიდ ბექჰემის რეკორდის დამხობას - სახელის გადაჩრდილვას აპირებს. როგორც ჩანს, მადრიდში, წყვილთა თანრიგში ახალი შეჯიბრება იმართება.

*„ჩვენ ორივენი ცნობილები ვართ და დევიდსა და პოშ სფაისზე დიდი სახელის მოხვეჭაც შეგვიძლია*, - დაუფარავად ეჯიბრება ჰილტონი ინგლისელთა წყვილს, - *ჩვენ მათზე ახალგაზრდები და სისხლმჩქეფარენი ვართ. კრისტიანოს მადრიდში მასთან ერთად გადაბარგების შესახებ უკვე ვუთხარი და ის ყველაფერზე დამთანხმდა"*.

სასამართლო

# მიხურულ კარს მიღმა



ინგლისური ფეხბურთის დიდმა ვარსკვლავმა, **დევიდ ბექჰემმა** და მისმა მეუღლემ, პოპის, დიზაინის და, რაც მთავარია, საზოგადოებაში ტრიალის ვირტუოზმა, **ვიქტორია ადამს-ბექჰემმა** ოჯახის ყოფილი ძიძისგან ბოდიშის მოხდის წერილი მიიღეს. ეს ამბავი ლონდონის უმაღლეს სასამართლოში მოხდა. ძიძის დანაშაული ბექჰემთა ოჯახის წინაშე, კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა გახლდათ.

ქალბატონმა, რომლის სახელი და გვარია **ები ჯიბსონი**, „ლოს ანჯელეს გალაქსის" ფეხბურთელისა და „სფაის გელზის" ყოფილი მომღერლის წყვილზე ისეთი წვრილმანები გათქვა, რომ 2005 წელს, The News Of The World-ში დაიბეჭდა სტატია სათაურით, „ბექჰემები მიხურულ კარს მიღმა". ქალბატონი ჯიბსონი ტაბლოიდებს მას მერე „შეუხმატკბილდა", რაც ვარსკვლავურ ოჯახში მუშაობას თავი დაანება.

როგორც „პრეს ასოშიეიშენი" იუწყება, წყვილის ვექილის, **ჯერარდ ტაირელის** განცხადებით, ძიძამ ახლა უკვე შეიგნო, რომ კონფიდენციალურობას ყოველდღიური დაცვა სჭირდება და ამ პირობის სამომავლოდ შესრულებაზე თანხმობა განაცხადა. *„მან უპირობოდ მოუხადა ბოდიში დევიდსა და ვიქტორიას იმის გამო, რომ კონფიდენციალურობის კანონი დაარღვია"* - თქვა ტაირელმა სასამართლოზე.

მოსამართლეს აგრეთვე წარუდგინეს 2005 წლის ივლისში The People-ში გამოქვეყნებული წერილი, რომლის სათაურიც უკვე სახიფათო შინაარსისა იყო. სათაური ასეთი გახლდათ: „ბექჰემის ზიზღიანი ზარები ძიძასთან". სხვა სიტყვებით, გაზეთი წერდა, რომ ფეხბურთის ვარსკვლავთ ვარსკვლავი ყოფილ ძიძას ურეკავდა და ემუქრებოდა. არადა, დაგვეთანხმებით, ეს საქციელი ბექჰემისას არაფრით ჰგავდა. საბოლოოდ, პატივცემულ გამოცემას დევიდისთვის ბოდიშის მოხდამ და საკომპენსაციო თანხის გადახდამ მოუწია.

*„მისის ჯიბსონი აცხადებს, რომ მისტერ ბექჰემს მისთვის მუქარით არასოდეს მიუმართავს და არანაირი სატელეფონო ზარები არ ყოფილა. ის ბოდიშს იხდის, თუ The People-ისთვის ნაამბობმა რომელიმე ისტორიამ ვინმეს არასწორი შთაბეჭდილება შეუქმნა"*, - დასძინა ვექილმა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ანალიზი

## ნარონალდოევს...

### ტერი ვენეიბლზის მოსაზრებანი

უამრავი გუნდის, მათ შორის „ბარსელონასა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ცნობილი სპეციალისტი **ტერი ვენეიბლზი** გაზეთ „სანში" მესვეტედ მუშაობს და საჭირბოროტო საფეხბურთო საკითხებზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს. დღეს გვინდა შემოგთავაზოთ მისი ნააზრევი იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდება „მანჩესტერ იუნაიტედში" მას მერე, რაც გუნდიდან პორტუგალიელი ვარსკვლავი **კრისტიანო რონალდო** წავიდა. მოგეხსენებათ, რონალდო სარეკორდო ფასად, 80 მილიონ ფუნტად მადრიდის „რეალმა" შეიძინა.

*„როგორ უნდა შეცვალო ის, ვინც ბოლო წლების განმავლობაში გუნდის გული და ჟანგბადის წყარო გახლდათ?* - კითხულობს ვენეიბლზი და იქვე ასეთ რამეს დასძენს - *რონალდოზე, როგორც კაცზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ როგორც ფეხბურთელი შეუცვლელი იყო. თავად განსაჯეთ, როდესაც გუნდში გყავს მოთამაშე, რომელმაც ორ სეზონში 67 გოლი გაიტანა და მსოფლიოში საუკეთესოდაც აღიარეს, მისი „ანტიდოტი" ძნელი მოსაძებნია. თუმცა, პანიკის საფუძველი მაინც არ გვაქვს. „ოცნებათა თეატრში" უკანასკნელი აღსარებისთვის მღვდლის მიყვანა ჯერ ადრეა, რადგან არავინ კვდება. მკურნალობა შესაძლებელია და წამალს უეინ რუნი ეწოდება. რასაკვირველია, აქ საქმე პირდაპირ ტრანსპლანტაციასთან ვერ გვექნება, მაგრამ მცირე ქირურგიული ჩარევითა და ერთი-ორი ძვირიანი დონორი ორგანოს შემოშველებით, რუნი „იუნაიტედისთვის" იგივე გახდება, რაც რონალდო" იყო.*

ვენეიბლზი ამბობს, რომ **ალექს ფერგიუსონმა** ბოლო წლებში „მანჩესტერ იუნაიტედის" თამაში მთლიანად კრისტიანო რონალდოზე ააწყო, რის გამოც, ეს დაბადებით გარემარბი კონკრეტულ ამპლუას გასცდა, საყოველთაო ლიდერი შეიქნა და რუნი იძულებული გახცადა მარცხენა ფრთისკენ შევიწროებულიყო. გამოვიდა, რომ რუნი ასრულებდა იმას, რისი ბუნებრივი ნიჭიც ჰქონდა... რონალდოს. მაგრამ რუნის ერთხელაც არ დაუჩივლია, მუხლჩაუხრელი შრომობდა, დაცვასაც ეხმარებოდა და ფრიად ეფექტური გახლდათ. აშკარა იყო, რომ იგი ასრულებდა „ვირის სამუშაოს" ანუ იმას, რისი კეთებაც პრიმადონა რონალდოს არ ეპიტნავებოდა. უეინი გუნდის გულისთვის საკუთარ თამაშს წირავდა და რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, ამასთან შესაჩვევად მას დრო და მონდომება დასჭირდა.

*„რუნიმ ახლებურად თამაშს ალლო აუღო და მე თუ მკითხავთ, ჩინებულად ასრულებდა იმას, რაც სულაც არ გახლდათ მისი კოზირი. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ ბოლო შეხვედრებში მან თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ წინ, თავდასხმაში თავს გაცილებით ბედნიერად და მოხერხებულად გრძნობს. ვინაიდან რონალდო „ბერნაბეუზე" წავიდა, მან ეს როლი შესაძლოა „მანჩესტერ იუნაიტედშიც" დაიბრუნოს"*, - განაგრძობს ტერი ვენეიბლზი.

მაგრამ, „სანის" მესვეტესთვის ისიც ნათელია, რომ ალექს ფერგიუსონს გუნდის მხოლოდ ხელის ერთი მოქნევით მოწესრიგება არ გამოუვა. შეუძლებელია, „მანჩესტერ იუნაიტედს" რონალდოს წასვლა არ დაეტყოს მარტო იმიტომ, რომ სქოთი მწვრთნელი რუნის ეტყვის, ახლა წინ შენ წადი და გოლები გაიტანეო. მოკლედ, როგორც ფერგიუსონს, ასევე „იუნაიტედის" ამერიკელ მეპატრონეებს, ძმებ **გლეიზერებს** შესაძლოა ეს პერსპექტივა გულზე ძალიანაც არ ეხატებოდეთ, მაგრამ საკლუბო ჯიბეზე ხელის გაკვრასა და გამოსავლის ახალი მოთამაშეების დახმარებით პოვნას მაინც ვერ ასცდებიან. რასაკვირველია, აქ, ახალი რონალდოს ყიდვაზე არ არის ლაპარაკი - რონალდოს დონეზე, ვენეიბლზის აზრით, მსოფლიოში, მხოლოდ **ლეო მესი** თამაშობს და ისიც „ბარსელონადან" არსადაა წამსვლელი - აქ, ამოცანა სხვაა.

*„თავს დავდებ, ფერგიმ 12 თვის წინაც ძალიან კარგად იცოდა, რომ რონალდო წამსვლელი იყო,* - ნიძლავს ჩამოდის მესვეტე, - *და, ამიტომაც არ მეპარება, ეჭვი, რომ მან მთელი წელიწადი შემდგომი ნაბიჯების გათვლაში გაატარა. თუმცა, რომში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, კატალონიელებთან დამარცხებამ შესაძლოა ოდნავ აურია გეგმები. ვფიქრობ, მან თვალნათლივ დაინახა, რა უსახურად გამოიყურებოდა „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარდაცვა მესის, ანდრეს ინიესტასა და ხავის ფონზე. ასე რომ, რონალდოში აღებულმა დიდძალმა ფულმა ფერგიუსონს შესაძლოა სწორედ ამ ნაკლის გამოსასწორებლად გადაადგმევინოს თვეების წინ დაგეგმილთან შედარებით ოდნავ განსხვავებული ნაბიჯები"*.

ტერი ვენეიბლზს ძალიან მოსწონებია მიუნხენის „ბაიერნიდან" **ფრანკ რიბერის** შეძენის იდეა. მესვეტის აზრით, რიბერი მსოფლიო კლასის ჰაფბეკია, რომელიც არც შავ სამუშაოს გაურბის და შეტევაშიც მეტისმეტად მწვავეა. „იუნაიტედს" **სესკ ფაბრეგასის** ტიპის მოთამაშეც ძალიან სჭირდებაო, ბრძანებს ანალიტიკოსი, თუმცა თავადვე არ სჯერა, რომ „არსენალი" კონკურენტს თავის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს დაუთმობს. მაგრამ, **მარკოს სენა?** 32 წლის ასაკში სენა შესაძლოა ვინმეს ბებრად ეჩვენოს, მაგრამ ვენეიბლზს სწამს, რომ „ვილიარეალში" მოთამაშე გაესპანელებული ბრაზილიელი სწორედ ის კაცია, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედს" სჭირდება. მას აქვს უნიკალური უნარი, იქცეს საყრდენ ბოძად, რომლის გარშემოც ვარსკვლავები ბრწყინავენ.

# მიშელ პლატინი
# ცხოვრება, როგორც მატჩი







(გაგრძელება)

უნდა ვაღიარო, რომ შვეიცარიული კლუბი „სერვეტი“ სერიოზულ არგუმენტებს აყენებს. მისი პრეზიდენტის **კარლო ლავიძარის** უკან ფინანსური ჯგუფი - „ტაგი“ დგას თავის პარტნიორ **აკრამ ოიიესთან** ერთად, რომელიც მსოფლიოს ხუთ ყველაზე მდიდარ ადამიანს შორის შედის. უნდა ვაღიარო, რომ ეს ინტერესმოკლებული ვარიანტი არ არის. მე სარეკლამო კონტრაქტი გავაფორმე ფირმა „ტომსონთან“, რომლის აქციონერიც „ტაგი“ გახლავთ. გარდა ამისა, „საძინებელი ვაგონების სარკინიგზო საზოგადოება“ ჩემი ფინანსური პარტნიორია - ჩვენ სენტ სიპრიენში საერთო ინტერესი გვაქვს. ეს არის სპორტული კომპლექსი „დიდი სტადიონი“. დღეისთვის ეს „საზოგადოება“ სარდინიაზე სასტუმროს შეძენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს, სასტუმროს მფლობელი კი არც მეტი, არც ნაკლები, კომპანია „ტაგია“. საჭიროა თუ არა იმის ახსნა, რომ ჟენევურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებით, პრაქტიკულად „ტაგთან“ ვაწერ ხელს... მთელი ცხოვრება.

ამ შემთხვევაში ჩემ წინაშე იხსნებოდა თითქმის განუსაზღვრელი ფინანსური პერსპექტივები და საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ სამუშაოც გარანტირებული მექნებოდა. მაგრამ ჯერ არ ვჩქარობ გადაწყვეტილების მიღებას.

ტურინში ჩემს სანახავად ჩამოდის პარიზული კლუბის „პარი-სენ-ჟერმენის“ მწვრთნელი **ჟერარ ულიე**. კლუბის პრეზიდენტის **ბორელის** მიერ წარმოდგენილი არგუმენტები იმდენად წონადია, რომ ის აფერმკრთალებს შვეიცარიაში გადასახადების გარეშე ცხოვრების პერსპექტივას. გარდა ამისა, წინადადებას მთავაზობენ „რასინგის“, „მატრას“ და „აშეტის“ პრეზიდენტები, აგრეთვე რადიოსადგური EUROPE 1... **ანიელი** თავის ტურინულ რეზიდენციაში შეხვედრის შედეგებს ელოდება. მას აქვს ჩემი „იუვენტუსში“ შესანარჩუნებელი საშუალებები. და ეს მარტო ფული არ არის. „ბებერი სინიორა“ - ძალიან თავისებური და სახიფათო საყვარელია. მისმა შავ-თეთრმა მაისურამ თავისი მომხიბვლელობით მომაჯადოვა. და არ მგონია, რომ ამ ჯადოქრობისგან დოლარებმა ან შვეიცარიულმა ფრანკებმა განმკურნოს...

„სამფეროვნებმა“ წარმატებით გაიარეს 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩვენი სიამაყე. და აი, როგორც მოველოდი, ყოველკვირეული „ფრანს ფუტბოლი“ მესამე „ოქროს ბურთით“ მაჯილდოებს. ისევე, როგორც **იოჰან კრუიფს**. მაგრამ მე მიღწევები უკეთესი მაქვს, ვიდრე მას, რადგან ჰოლანდიელმა თავისი სამი „ოქროს ბურთი“ ოთხი წლის განმავლობაში მოიპოვა, მე კი ამისთვის სამი წელი დამჭირდა. ეს მესამე „ოქროს ბურთი“ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ტიტულია. კარიერის გვირგვინი. დარჩა მხოლოდ მსოფლიოს თასის მოპოვება და ჩემი კარიერა დასრულებული იქნება.

1986 წლის იანვარი. თოვლში გახვეული ტურინი ძალიან ლამაზია. **მარინა** და **ლორანი** მეზობლის ბავშვებთან ერთად ქუჩაში თოვლის ბაბუებს აკეთებენ...

მოპოვებული ტიტულებისგან წელში ვიზნიქები. ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ ამიერიდან ლაპარაკიც არ არის რომელიმე ფრანგულ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებაზე. მით უარესი „პარი სენ-ჟერმენისთვის“, „რასინგისთვის“, „ბორდოსთვის“, „მარსელისთვის“... საფრანგეთში ჩემთვის ერთადერთი კლუბი არსებობს, ის მსოფლიოში საუკეთესო კლუბია. მას საფრანგეთის ნაკრები ჰქვია...

მაგრამ ახლოვდება გადაწყვეტილების მიღების დრო. ეს შეიძლება იყოს იტალია ან შვეიცარია.

და მე გადავწყვიტე. იტალიაში ვრჩები. ნეაპოლი, მილანი თუ ტურინი? თუ მე **დიეგო მარადონას** შევუერთდები, ეს „სამხრეთელი სინიორა“ ოქროს მთებს მპირდება. მიუხედავად ამისა, უარს ვამბობ ამ წინადადებაზე. მარადონა და პლატინი ერთ გუნდში - ეს მეტისმეტია. რჩება ტურინი ან მილანი. **სილვიო ბერლუსკონიმ** კლუბი დიდ თანხად - 15 მილიარდ ლირად (75 მილიონი ფრანკი) შეიძინა. იქვე სილვიომ მომავალ სეზონში ჩემი შემადგენლობაში ხილვის სურვილი გამოხატა. ფანტასტიკური წინადადებაა: სამწლიანი კონტრაქტი, რომლის გაფორმებისთანავე 10 მილიარდ სანტიმს მივიღებ და ამას ემატება ჩემი გამოსვლა საფეხბურთო ვარსკვლავის რანგში იტალიის მე-5 არხზე, რომელიც ბერლუსკონის ეკუთვნის.

და აი, „ბებერი სინიორა“ სცენაზე გამოდის - მან ჯერ ცალი მხარი გამოაჩინა, შემდეგ - ორივე. ანიელი მატყობინებს, რომ მზად არის გარკვეული პროცენტი გამომიყოს „ფიატის“ მომავალი მოდელის რეალიზაციიდან, რომელიც სულ მალე ჩამოვა კონვეიერიდან. „იუვენტუსი“ და „ფიატი“ ჩემს ფეხებთან არიან გართხმულნი. ტურინი და ბაბუაჩემი ფრანჩესკო პლატინის იტალიაც ჩემს ფეხებთან არიან... ღმერთო, ნუთუ ეს ყველაფერი დავიმსახურე, მე, მტირალა ფეხბურთელმა, რომელსაც „ეიზელის“ დალუპულთა სახეები დღემდე არ ასვენებს?

1986 წლის თებერვალი. გული შემდეგ გადაწყვეტილებას მკარნახობს: ტურინში ვრჩები და ისევ შავ-თეთრების შემადგენლობაში ვითამაშებ.

„იუვენტუსთან“ კონტრაქტი ერთი წლით გავახანგრძლივე, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე. თუ მოვინდომებ, დამატებით კიდევ ერთი წელი შევძლებ აქ თამაშს. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ 5 მილიონი ფრანკი მივიღე. მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სხვა რამ არის - ტიფოზების ზეიმი, რომელიც მთელი ღამე გაგრძელდა. ორატორების გამოსვლა, ხმამაღალი განცხადებები, შავ-თეთრ დროშებში გახვეული მანქანები... მომდევნო დილას, როცა გასახდელში შევედი, თანაგუნდელები ტაშისკვრით შემხვდნენ. ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა: აქ ვაპირებ საფეხბურთო კარიერის დასრულებას. 1986-87 წლების სეზონი ბოლო იქნება ჩემს საფეხბურთო კარიერაში.

## მექსიკა - ჩემი სიყვარული

აგერ უკვე ექვსი თვეა, ერთსა და იმავე შეკითხვას მისვამენ: ვინ გაიმარჯვებს მსოფლიოს ჩემპიონატზე? პასუხს გავურბივარ.

ეს ჩემი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატია. ამის შემდეგ, 31 წლის ასაკში დავასრულებ საფეხბურთო კარიერას. და მარტო მე არა.

**ალან ჟირესიც** იმავე მდგომარეობაშია. **ჟან ტიგანა** და **მაქსიმ ბოსიც**. უკვე ათი თუ თერთმეტი წელია ერთად ვიბრძვით ევროპისა და მსოფლიოს საფეხბურთო მოედნებზე. გარკვეული წარმატებით... ჩვენი ოცნებაა, ღირსეულად გამოვიდეთ მექსიკაში. ასეთივე ოცნება აქვთ სხვა დიად ფეხბურთელებს, რომლებიც კარიერის დასასრულის მოახლოებას გრძნობენ - იტალიელები **პაოლო როსი** და **მარკო ტარდელი** - ჩემი იუვენტუსელი მეგობრები, ბრაზილიელები **ზიკო**, **სოკრატესი** და **ფალკაო**, გერმანელი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**, არგენტინელი **დანიელ პასარელა**...

„ეს „ბებრების“ დასასრულია“, - ჩქარობს დასკვნის გაკეთებას ერთ-ერთი გაზეთი, რომელიც, როგორც ჩანს, პატივს არ სცემს მოხუცებულებს.

რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან დავბერდით მას შემდეგ, რაც ბუენოს-აირესში მსოფლიოს ჩემპიონატის დროს, საფეხბურთო წეს-ჩვეულებებს ვსწავლობდით.

ისევე როგორც 1982 წელს, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას რეკლამებიდან შემოსული თანხის განაწილების საკითხი ექვსი თვით ადრე, ფონ-რომიოში შეკრებისას მოგვარდა. მართალია, მთელი წელი „ფიატზე“ ვმუშაობ, ახლა „ოპელისთვისაც“ მომიწევს პოზირება. მე მაქვს სპორტული ტანსაცმლის საკუთარი ხაზი, და მაინც, კოლექტივის საკეთილდღეოდ იძულებული ვარ, „ლი კუპერის“ ჯინსი ჩავიცვა... და მეც დავმორჩილდი.

გაუმარჯოს მექსიკას, სადაც საფეხბურთო ზეიმი იწყება!

„ზეიმს“ შეგნებულად ვამბობ, რადგან მინდა ნამდვილი ფეხბურთი ვითამაშო. იმედი მაქვს, რომ ეს მხიარული ჩემპიონატი იქნება. მინდა, რომ საფრანგეთის ნაკრებმა აჩვენოს ყველაფერი საუკეთესო, რაც მას შეუძლია. მაგრამ ამის გაკეთება იოლი არ იქნება. მე, მაგალითად, დღემდე მაწუხებს ძველი ტრავმა, რის გამოც ფეხს ოდნავ მივათრევ... მაგრამ ეს, ალბათ, გაივლის...

მექსიკაში დახვედრამ ჩვენი მოლოდინი გაამართლა. თითქოს მთელი მექსიკელი ხალხი საზეიმო კოსტიუმებში გამოეწყო. მეხიკო - უდიდესი ქალაქია, სადაც 19 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. საფეხბურთო ზეიმის მთავარი ქალაქი მრგვალი ბურთის დახმარებით ცდილობს მოსახლეობის ხასიათის გამოკეთებას სექტემბერში მომხდარი საშინელი მიწისძვრის შემდეგ.

„მექსიკა კვლავინდებურად ფეხზე დგას!“ - გვამცნობს ერთ-ერთი ლოზუნგი.

ყველგან ენთუზიაზმი იგრძნობა, რაც მექსიკელთა ტემპერამენტის პირობებში გასაკვირი სულაც არ არის. ჩვენ კი ამ „დიდი ატრაქციონის“ ნაწილი გახლავართ.

მე მაშინვე სენსაციის ავტორად მომნათლეს, როდესაც ხუმრობით ვთქვი - თუ საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს თასს ვერ მოიპოვებს, თავს მოვიკლავმეთქი... მაგრამ ამ ხუმრობას ღიმილი არ გამოუწვევია.

ქვეყანაში, სადაც ფეხბურთს თითქმის მისტიკური მნიშვნელობა ენიჭება, სადაც ფეხბურთელი ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მიუწვდომელ არსებად მიიჩნევა, ასეთ თემებზე არ ხუმრობენ. ამ საკითხებზე აქ ტაბუა დადებული.

ჩვენი დელეგაცია ტრაკსკალოს მაღალმთიან რეზიდენციაში განთავსდა. იქ, ზღვის დონიდან 2 ათას მეტრზე, ორი საწვრთნელი მატჩი უნდა ჩაგვეტარებინა ადგილობრივ კლუბ „პუმასთან“. ამის შემდეგ, 200 მეტრით ქვემოთ, ლეონში უნდა დავეშვათ და ჩვენს პირველ მოწინააღმდეგეს უნდა შევხვდეთ. ეს არის ერთი შეხედვით კანადის სუსტი ნაკრები, არადა, ჩემი აზრით, მას მრავალფეროვანი საფეხბურთო თვისება აქვს.

საფრანგეთისა და კანადის მატჩის დღეს ჩრდილში 30-გრადუსიანი სიცხეა. ზღვის დონიდან ასე მაღლა, თან აუტანელ სიცხეში მაინც ვახერხებთ ამ მატჩის მოგებას - 1:0. კარგად ვიცავდით თავს, მაგრამ სუსტად ვთამაშობდით შეტევაში. პარადოქსულ აზრამდე მივდივარ: აქ ბურთი საჰაერო ბუშტივით დაფრინავს. საჯარიმოს შესასრულებლად ან პასის მისაცემად მინიმალური ძალისხმევაა საჭირო: ბურთი თვითონ მიფრინავს ზემოთ. ის მაქსიმალურად ქვემოთ უნდა გაუშვა, თუ გსურს, რომ ზედა ძელის ქვემოთ შევარდეს.

საფრანგეთისა და სსრკ-ის (1:1) მატჩის შემდეგ, უფრო მეტად დავიჯერე ჩვენი ნაკრების წარმატება. საბჭოთა კავშირის გუნდი აქ არა მხოლოდ თავის „დაპირებებს“ ასრულებს... პატივისცემით ვეპყრობით ერთმანეთს. სსრკ-ის ნაკრებს მაღალი დონის გუნდის ყველა აუცილებელი თვისება გააჩნია: ალმაფრენა, მოთამაშეებს შორის სოლიდარობა... მას შეუძლია მეორე წრეში გაძრომა და იქ ბრძოლა უფრო მეტის მისაღწევად.

დასვენების დღით ვისარგებლე და ქვეყნის დათვალიერება გადავწყვიტე. ძალიან მომბეზრდა სასტუმროში ყურყუტი, თანაც სამხედრო პატრულების მეთვალყურეობის ქვეშ. ადგილობრივი მანქანის საჭეს მივუჯექი. ჩვეულებრივი ტურისტივით წელზემოთ შიშველი, მანქანას ვმართავ. მიმართულება - ქრისტეს ქანდაკება - მონუმენტური ფიგურა ელ-კუპილეტეს (მექსიკის გეოგრაფიული ცენტრი) მთაზე, რომელიც მთელს ხეობას გადმოჰყურებს.

ძალიან მომწონს ეს სამთო გზები, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს „ჯაგლაგზე“ ცუდად მუშაობს გადაცემათა კოლოფი.

ველური პეიზაჟი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავად ვთამაშობ **სერჯო ლეონეს** რომელიმე ფილმში. **ენიო მორიკონეს** მუსიკაც კი მესმის. თვითნაკეთი ფარდულის წინ ვდგები, სადაც ახალგაზრდა ინდიელი ქალი მიწის ღუმელზე „რალაცას“ (ფუნთუშა წითელი ლობიოთი) აცხობს.

ძალიან კარგად ვარ.

როგორც იქნა მწვერვალზე ავედი. აი ისიც, ქრისტეს ეს დიადი ბრინჯაოს მონუმენტი, 28 მეტრის სიმაღლის... რამდენიმე დღის განმავლობაში, მე მას ნომრის ფანჯრებიდან ვუყურებდი.

პირჯვარი გადავიწერე, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, მადრიდის ახლოს ნოვასერადას პატარა ეკლესიაში, საფრანგეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მატჩის წინ.

ძირს ვეშვები, რათა უნგრეთი და მისი მწვრთნელი დავამარცხო. 3:0! მეორე წრეში გავდივართ...

(გაგრძელება იქნება)

**გია თვალაბეიშვილი**





ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ტატიშვილიც წავიდა


ოთარ ტატიშვილი

ორიოდ კვირაა, რაც საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში - ოთარ ტატიშვილი აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ტატიშვილი საქართველოდან ვინმეს ან რამეს გაექცა, მაგრამ ის მწვრთნელებისადმი ქვეყანაში არსებული დამოკიდებულებით უკმაყოფილო იყო და აცხადებდა, მწვრთნელის შრომა მეტად თუ არ დაფასდება, დამრიგებლის ფაქტორს სათანადო ყურადღებას თუ არ მიაქცევენ, უცხოეთში წავალო. ის არა იმდენად ეკონომიკურ მხარეზე ამახვილებდა ყურადღებას, რამდენადაც მიიჩნევდა, რომ ჩვენში მწვრთნელებს ჯეროვნად არ აფასებენ და მხოლოდ ნაგებისას ახსენდებათ. ტატიშვილი ამ პრეტენზიებს დიდი ხანია, აყენებდა, თუმცა მარტო საკუთარ თავზე როდი ლაპარაკობდა, პრობლემის გლობალურად გადაჭრას მოითხოვდა, მაგრამ პიროვნული მომენტიც იყო – 2007 წელს, როცა მისი შეგირდი **რამაზ ნოზაძე** მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ოფიციალურ მიღებებზე ტატიშვილს იშვიათად იწვევდნენ. ამაის გამო საჯაროდაც გამოხატა უკმაყოფილება, მსოფლიოს ჩემპიონობა მწვრთნელის გარეშე არ მოდისო.

> **ჩვენი დანაკარგით ფრიად გაიხარეს აზერბაიჯანელებმა. იქაური ჩვენი კოლეგები ხაზგასმით აღნიშნავენ მის ყველა ტიტულს თუ მის მიერ აღზრდილ წარმატებულ სპორტსმენებს. დასათვლელი კი, იცოცხლეთ, მართლაც ბლომად მოეპოვებათ**

ასეა თუ ისე, ვიმეორებთ, დღეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი უცხოეთში წავიდა. წესით, ამაში არაფერია გასაკვირი – მწვრთნელები გამუდმებით მოგზაურობენ ქვეყნიდან ქვეყანაში უფრო სარფიანი სამსახურისთვის, არაერთ ეროვნულ ნაკრებს ავარჯიშებენ უცხოელი დამრიგებლები და ქართველებიც ბლომად მუშაობენ უცხოეთში, მათ შორის – მთავარ მწვრთნელებადაც. ჩვენს მწვრთნელებსა თუ სპორტსმენებზე მზარდი მოთხოვნილება საქართველოს საჭიდაო სკოლისთვის დიდი პატივია, მაგრამ არც იმდენად მდიდრები ვართ, ასეთი სპეციალისტების დაკარგვის უფლება მივცეთ თავს.

სამაგიეროდ, ჩვენი დანაკარგით ფრიად გაიხარეს აზერბაიჯანელებმა. იქაური ჩვენი კოლეგები ხაზგასმით აღნიშნავენ მის ყველა ტიტულს თუ მის მიერ აღზრდილ წარმატებულ სპორტსმენებს. დასათვლელი კი, იცოცხლეთ, მართლაც ბლომად მოეპოვებათ – ორი მსოფლიოს ჩემპიონი, რამაზ ნოზაძე და **გოჩა ციციაშვილი;** ოლიმპიური პრიზიორი **აკაკი ჩაჩუა,** ევროპის პრიზიორი **გელა პაპაშვილი,** ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **გენრი პაპიაშვილი** და ათეულობით ახალგაზრდა, რომელმაც ასაკობრივ ტურნირებში გამორჩეულ წარმატებებს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთა შორის ვხვდებით როგორც უმჩატესი, ასევე საშუალო და ქვემძიმე წონების წარმომადგენლებს. ანუ, ის თანაბრად წარმატებით მუშაობდა ყველა წონასთან, იოლად ულებდა ალღოს სხვადასხვა წონითი კატეგორიისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას. ისიც სათქმელია, რომ ყველანაირი სტილის შეგირდთან წარმატებით მუშაობდა. მაგალითად, ჩაჩუა და პაპაშვილი თუ ერთმანეთს ჩამოჰგავდნენ სწრაფი, ტექნიკური მანერით და საკმაოდ მდიდარი საჭიდაო არსენალით (ჩაჩუა სიდნეის ოლიმპიადის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედაც დაასახელეს), ციციაშვილი და ნოზაძე საპირისპირო მხარეს დგანან, როგორც ძალისმიერი სტილის მიმდევრები, რომელთა ჭიდაობაც ძირითადად კარგ ფიზიკურ მომზადებას ემყარება. დღეისათვის ნოზაძე ციციაშვილზე ბევრად ტექნიკურია, მაგრამ მისი არსენალის გასამრავალფეროვნებლად და დგომში ჭიდაობის დასახვეწად ტატიშვილს გვარიანი შრომა დასჭირდა, ხოლო მებრძოლი ხასიათის დასახვეწად საგანგებო ტესტებიც კი შეიმუშავა.

ტატიშვილი დამსახურებული მწვრთნელია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ისრაელის წინაშეც – ციციაშვილი და პაპიაშვილი (გენრი გოჩას ცოლისძმა გახლდათ და რამდენიმე წლის წინ მეუღლესთან ერთად ავტოკატასტროფაში დაიღუპა) ისრაელის სახელით გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. მათ ვარჯიში ტატიშვილთან დაიწყეს თბილისში – ჯერ ციციაშვილმა, რომელმაც მოგვიანებით ცოლისძმა პაპიაშვილიც მასთან მიიყვანა. მერე ორივე ისრაელში წავიდა, თუმცა თავდაპირველ მწვრთნელთან კონტაქტი არ შეუწყვეტიათ. ცხადია, ეს ურთიერთობა ადრინდელივით ინტენსიური ვერ იქნებოდა. მათ იქ უკვე სხვა მწვრთნელები ჰყავდათ, მაგრამ როცა კი ახერხებდნენ, საქართველოში ჩამოდიოდნენ სავარჯიშოდ. სანამ ტატიშვილის მადლი გაჰყვათ, სიძე-ცოლისძმამ ისტორიულ სამშობლოს არნახული წარმატება მოუტანა – პაპიაშვილი 1998 წელს ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ციციაშვილმა კი ისრაელში ჩასვლიდან მეორე წელსვე, ახალი დროშით ნაჭიდავებ პირველივე ევროპირველობაზე ვერცხლი მოიპოვა. მომდევნო წელს იმავე ტურნირზე მესამეზე გავიდა, მსოფლიოზე კი ვერცხლი მოიპოვა. იგი წარმატებით გამოვიდა ისრაელის სახელით ევროპის ზედიზედ მესამე ჩემპიონატზეც – 1996 წელს კვლავ ვერცხლს დაეუფლა. იმავე წელს თავის ყველაზე დიდ წარმატებასთანაც ახლოს იყო – ატლანტის ოლიმპიადაზე ბრინჯაოსთვის იჭიდავა, მაგრამ დამარცხდა... ამის შემდეგ მისმა კარიერამ დაღმასვლა იწყო, რაც, უპირველესად, ციციაშვილმა იგრძნო და რამდენიმე ჩაგდებული სეზონის შემდეგ იქაურებს მკაცრად მოსთხოვა, თუ შედეგები გინდათ, ტატიშვილთან ვარჯიშის ნება მომეცითო... ალბათ, მიხვდებით, ასეთი ულტიმატუმი რა აურზაურს გამოიწვევდა ისრაელში, მაგრამ იქაური ოლიმპიური კომიტეტის თანადგომით, ციციაშვილმა თავისი გაიტანა და 2003 წელს, როცა ფრანგულ კრეტეიში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მწვრთნელის სკამზე სწორედ ტატიშვილი ეჯდა. მაშინ მან ფინალში უძნელეს მეტოქეს სძლია - სომხეთიდან შვედეთში ემიგრირებულმა **არა აბრაჰამიანმა** მსოფლიოს წინა ორი პირველობა მოიგო და კრეტეიში ზედიზედ მესამე მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოდა. ეს ლამის წაუქცეველი ლომი ტატიშვილის გონივრული შეგონებებით, ციციაშვილმა მოათვინიერა. ტელეეკრანიდანაც კარგად ისმოდა ტატიშვილის რჩევები პირველი პერიოდის ბოლოს, როცა ციციაშვილს ტაქტიკურ მონახაზს კარნახობდა და პირველი ქულაც მართლაც ასე მოაპოვებინა. ისრაელს სულ რამდენიმე მსოფლიოს ჩემპიონი მოეპოვება და ერთი მათგანი ციციაშვილიცაა, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ადამიანი. მასთან მეგობრობას პოლიტიკოსები ესწრაფვიან, მის სახელს ხშირად იყენებენ

> **2007 წელს, როცა მისი შეგირდი რამაზ ნოზაძე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ოფიციალურ მიღებებზე ტატიშვილს იშვიათად იწვევდნენ.**

პოლიტიკურ ბატალიებში და არცთუ იშვიათად, ქვეყნის პრეზიდენტი ვოიაჟებშიც იწვევს პირად თვითმფრინავში.

ჩვენდა სავალალოდ თუ სასიხარულოდ, ამიერიდან ოთარ ტატიშვილის წარმატებებს აზერბაიჯანული ფურცელიც შეემატება, სადაც ერთი შეგირდი უკვე ხვდება – **შალვა გადაბაძე,** რომელიც შარშან გადაბარგდა იქ. იმ დროს ჩვენ ოლიმპიური ლიცენზია უკვე გვქონდა – **ბადრი ხასაიამ** მოიპოვა და ოლიმპიადაზეც ის მიდიოდა. პეკინში წასვლა გადაბაძესაც ძალიან სურდა და მანაც შემოვლითი გზის ძებნა დაიწყო, თუმცა დიდი გარჯა არც დასჭირვებია, რაკი ულიცენზიო აზერბაიჯანელები თავისით დაუკავშირდნენ... ამბობენ, ჩვენმა ფედერაციამ გადაბაძე იმ პირობით გაუშვა, ის და ხასაია ოლიმპიადის ფინალში თუ გავიდოდნენ, გადაბაძეს შეხვედრა უნდა დაეთმოო... მაშინ ფინალში ვერც ერთი გავიდა, გადაბაძემ კი ახალ სამშობლოს პირველი ჯილდო უკვე მოუტანა – წლეულს ევროპის პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვა.

ამასობაში ტატიშვილის ახალმა სამწყსომ იტალიაშიც იჭიდავა საერთაშორისო ტურნირში, სადაც 5 მედალი მოიპოვა – თითო ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო, მაგრამ ამ ტურნირმა ჩვენი ყურადღება სხვა რამით მიიქცია – ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ფარიდ მანსუროვმა** 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავა და ვერცხლიც მოიპოვა. ის თუ აქ გადმოვიდა, მაშინ ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის – **მანუჩარ კვირკველიას** მეტოქე გახდება! მანსუროვი და კვირკველია კარგად იცნობენ ერთმანეთს, რადგან ადრე ორივე 66-ში ჭიდაობდა. მაშინ აზერბაიჯანელი ჩვენებურისთვის სასურველ მეტოქედ ნამდვილად არ მიიჩნეოდა და რამდენჯერმე სერიოზულ ტურნირზეც მოუგო. ამათგან ყველაზე მწარე 2002 წლის მსოფლიო პირველობის ნახევარფინალში მარცხი იყო.

ვიმედოვნებთ, მანსუროვი წონას არ შეიცვლის. მით უფრო, ბაქოში დაბრუნებულმა განაცხადა, რომ ეს მწვრთნელთა ექსპერიმენტი იყო, თავად კი არ აპირებს ზევით გადანაცვლებას, რადგან წონის პრობლემა არ აწუხებს. მან ახალ დამრიგებელზე – ტატიშვილზეც ილაპარაკა და აღნიშნა, რომ ქართველ მწვრთნელს არაერთი ტიტულოვანი ფალავანი გაუზრდია, რომელსაც კარგად იცნობს და ზოგიერთთან უჭიდავია კიდეც. როგორც ადამიანი, ტატიშვილი ჩემთვის უცხო არ არისო, აღნიშნა მანსუროვმა და იქვე უარყო ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სპორტიდან მიდის.

**ირაკლი თავაძე**

ბალახის ჰოკეი

საქართველოს ჩემპიონატი



## უქიმერიონს კონკურენტი გამოუჩნდა

ბათუმში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე ბალახის ჰოკეიში ვაჟთა გუნდებს შორის „ბათუმის“, ქუთაისის „უქიმერიონის“ და ლანჩხუთის „გურიას“ მონაწილეობით. ამ გუნდებს კონკურსგარეშე დაემატა საქართველოს ქალთა ნაკრები, რომელიც აგვისტოში შვეიცარიაში ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატის Chellenge Cup -ის გათამაშებაში იასპარეზებს. A ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები ჩეხეთი, სლოვაკეთი და ხორვატია იქნება. საფუძვლიანი მომზადებისთვის გადაწყდა ქალთა ნაკრების ვაჟთა ჩემპიონატში ასპარეზობა. გუნდების სიმცირის მიუხედავად, ჩემპიონატის პირველი წრე საინტერესოდ წარიმართა. სიურპრიზი აღმოჩნდა ბათუმელთა წარმატებული თამაში. ჯერ წელიწადიც არ გასულა, რაც აჭარლებმა გუნდი აღადგინეს და უკვე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონსა და ფავორიტს, ქუთაისის „უქიმერიონს“ სიმშვიდეც კი დაურღვიეს. ბათუმელთა და ქუთაისელთა დაძაბული დუელი ჰოკეისთვის მოულოდნელი ანგარიშით 0:0 დასრულდა. ამ მატჩამდე ტურნირის მასპინძლებმა უკონკურსოდ მოასპარეზე საქართველოს ქალთა ნაკრები 3:1 დაამარცხეს, ლანჩხუთის „გურიას“ კი 4:1 მოუგეს. დანარჩენი მეტოქეები „უქიმერიონმაც“ იოლად დაამარცხა, იმერლებმა „გურიას“ 4:0 სძლიეს, ქალთა ნაკრები კი 5:1 დაამარცხეს. აუტსაიდერების ლანჩხუთისა და ქალთა ნაკრების დაპირისპირებაც საინტერესო აღმოჩნდა, გურულებმა, რომლებიც ორიოდე წლის წინათ საქართველოს ჩემპიონებიც იყვნენ, სუსტი სქესის წარმომადგენლების დამარცხება ვერ შეძლეს და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ – 2:2. პირველი წრის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასე გამოიყურება:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უქიმერიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-1 | 7 |
| 2. ბათუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 3. ქალთა ნაკრები | 3 | 0 | 1 | 2 | 3-10 | 1 |
| 4. გურია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-10 | 1 |

ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე ოქტომბერში გაიმართება და კვლავ ბათუმი უმასპინძლებს. ამჟამად კი ზღვისპირეთში ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობს.

**დავით კოხრეიძე**

წყალბურთი

## დღეს ბოლო ტურია

სპორტკომპლექს „ლაგუნა ვერეს“ აუზში გუშინ ახალგაზრდა წყალბურთელთა საქართველოს პირველობის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა:

1991-1992 წლებში დაბადებულნი: „ლაგუნა ვერე“ — „ლიგამუსი“ 6:16, „ივერია-1“ — „დელფინი“ 14:2.

1993-1994 წლებში დაბადებულნი: „ივერია-2“ — „ლაგუნა ვერე“ 5:11, „ლიგამუსი“ — „ივერია-1“ 5:6.

1995-1996 წლებში დაბადებულნი: „ლიგამუსი-1“ — „ლიგამუსი-3“ 10:3, „ივერია“ — ასკ 19:1.

დღეს დასკვნითი ტურია. სამივე ჯგუფში გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდებიან.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

# ჭაბუკთა ევროპული შემადგენლობა

26-28 ივნისს სლოვენიის ქალაქ კოპერში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება, სადაც საქართველოდან **ლაშა კვირიკაშვილი** (50), **ლუხუმ ჩხვიმლიანი** (55), **ბექა ტულუში** (60), **ირაკლი ლომიძე** (66), **ბაჩანა ტიტვინიძე** (73), **ლევან რუაძე** (81), **ელგუჯა ბიბილაშვილი** (90) და **გიორგი ზაქარიაძე** (+90) იჭიდავებენ.

ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა **ჯემალ ნათელაშვილმა** გუნდი წლეულს მთლიანად გადაახალისა, რადგან შარშანდელი შემადგენლობიდან, უმეტესობამ ჭაბუკთა ასაკს გადააბიჯა. მათ შორის - შარშანდელი ევროპირველობის ორივე მედალოსანმა – ჩემპიონმა **გიორგი მემანიშვილმა** (81) და ვიცე-ჩემპიონმა **შმაგი ლაგაზაურმა** (50). ძველებიდან გუნდში მხოლოდ რუაძე და ლომიძე დარჩნენ, თუმცა წლეულს მათაც თითო წონითი კატეგორიით მაღლა აინაცვლეს. აღსანიშნავია, რომ ნაკრებში ადგილი გარანტირებული არც მათ ჰქონიათ და საამისოდ ჯერ საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება, მერე კი უცხოეთში ტურნირებზეც წარმატებით ჭიდაობა დასჭირდათ. შარშანდელი სეზონის მიუხედავად, დიდად გამოცდილებს ვერც მათ ვუწოდებთ, რადგან ზურგს მხოლოდ გუნდში ყოფნის ერთწლიანი გამოცდილება უმაგრებთ. თუმცა მათ კიდევ რა უჭირთ, სხვები სულ მთლად გამოუცდელები და ამ რანგის ტურნირის დებიუტანტები არიან. ნაკრებში დასამკვიდრებლად მათაც საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება, ხოლო მერე უცხოეთში წარმატებული ჭიდაობა დასჭირდათ. თავიანთი პერსპექტიულობით მათ მწვრთნელების სიმპათიები კი დაიმსახურეს, მაგრამ ვინაიდან საერთაშორისო ტურნირების გამოცდილება აშკარად აკლიათ, ნათელაშვილი პროგნოზების გაკეთებას მაინც თავს არიდებს და ამბობს, რომ გამოუცდელი გუნდისგან დიდ შედეგებს არ ელოდება.

ზემოთ უკვე გითხარით, რომ შარშან ჩვენმა ნაკრებმა ანალოგიურ ტურნირში თითო ოქრო და ვერცხლი მოიპოვა. მაშინ მედლამდე ერთი მოგება დააკლდა რუაძეს, რომელიც ნახევარფინალამდე უპრობლემოდ მივიდა, მაგრამ მერე ზედიზედ ორი შეხვედრა დათმო და საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა. ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის გორში ემზადება, სლოვენიაში კი 24 ივნისს გაემგზავრება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ნაკრები

# გავფანტოთ ბურუსი და შვედეთ-სლოვაკეთი!

20 ივლისს საქართველოს ეროვნული ნაკრები ავსტრიაში შეიკრიბება. **იგორ კოკოშკოვის** ხელმძღვანელობით გუნდი B დივიზიონის მატჩებისთვის მოემზადება. 20 ივლისამდე დარჩა ერთი თვე და ერთი დღე. ნაკრების მატჩების მოახლოვება კარგია, მაგრამ ცუდია, როცა შეკრებამდე ერთი თვით (და ერთი დღით) ადრე არ ვიცით, მოსამზადებელ ეტაპზე რომელ გუნდებთან ვითამაშებთ, საერთოდ, რამდენ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ. კიდევ უფრო ცუდია, რომ არ ვიცით, 20 აგვისტოს ეროვნული გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბება, თუ სანახევროდ...

შემადგენლობა ცალკე საუბრის თემაა და, მოდი, მას სხვა დროს ცალკე მივუბრუნდეთ. ახლა კი საქართველოს ნაკრების საკონტროლო და ოფიციალურ მატჩებზე ვილაპარაკოთ.

## საკონტროლო

ევროპის არაერთი ქვეყნის საკალათბურთო საიტში შევძვერი და სანაკრებო მზადების გეგმებს გავეცანი. მაგალითად, ჩვენს მთავარ მეტოქე შვედეთს, საკონტროლო მატჩების გეგმა უკვე შედგენილი აქვს: 16-დან 22 ივლისამდე იტალიის საკურორტო ქალაქ ბორმიოში ადგილობრივ, კამერუნისა და ჩეხეთის ნაკრებებთან ითამაშებს. სხვათა შორის, ბორმიოს ტურნირის დაწყებისთვის საქართველოს ნაკრები შეკრებილი არც იქნება. შვედეთი იტალიიდან უნგრეთის ტურნირზე წავა (24-26 ივლისი), სადაც ჰოლანდიას, უნგრეთსა და ფინეთს გაეჯიბრება. 7 და 8 ივლისს კი სკანდინაველები ლატვიასთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. როგორც ხედავთ, ერთი თვით ადრე ჩვენს მომავალ მეტოქეს 9 საკონტროლო მატჩი აქვს დაგეგმილი.

საქართველოს ნაკრებს? კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, რომ 20 ივლისს ავსტრიაში შევიკრიბებით და ადგილობრივ გუნდთან ორ საკონტროლო მატჩს გავმართავთო. როდის? არც ეს ვიცით. ავსტრიელები 24-26 ივლისს საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებენ, სადაც ფრანგებს, ბელგიელებსა და ჩეხებს შეეჭიდებიან. ალბათ, ჩვენთან სათამაშოდ სტრასბურგიდან დაბრუნების შემდეგ მოიცლიან...

ჰოლანდიის კალათბურთის ფედერაციის საიტზე რომ არ შევსულიყავი, ბურუსი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა, მაგრამ საქართველოს ნაკრების მზადების გეგმაში ნისლი მცირედით ჰოლანდიელებმა გაფანტეს. მათი მომზადების გეგმაში საქართველოს ნაკრებიც ფიგურირებს. ჰოლანდიელებისგან ვიგებთ, რომ მათ 31 ივლისსა და 1-ელ აგვისტოს უტრეხტში ვეთამაშებით.

გავარკვიეთ: ორ მატჩს ჰოლანდიაში გავმართავთ, ორსაც – ავსტრიაში. დაველოდოთ, იქნებ კიდევ ერთი-ორი საკონტროლო შეხვედრა გაიჩარხოს...



საქართველოს ნაკრები გადამწყვეტი მატჩებისთვის მზადება 20 ივლისიდან იწყებს

## ოფიციალური

ამხანაგურებისგან განსხვავებით ოფიციალური მატჩები წელიწად-ნახევრის წინათ დაიგეგმა. 15 აგვისტოს ლუქსემბურგს ვმასპინძლობთ, 19 აგვისტოს – ირლანდიას, 22-ში - სლოვაკეთს, ხოლო 26-ში – შვედეთს. ყველა მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ომის გამო სლოვაკეთსა და ლუქსემბურგთან საშინაო მატჩები გასვლითში გადავცვალეთ და ამიტომ, წლეულს ოთხივე თამაშს თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

ქართველი კალათბურთელები იმედიანად არიან, ამბობენ, ყველა მეტოქეს გავუსწორდებითო, მაგრამ თითოეულ მატჩზე მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო, რადგან თანაბარი ქულების შემთხვევაში, პლეი ოფში ბევრს გადაწყვეტს მიღებულ-ჩაგდებული ქულების თანაფარდობა. ჯერჯერობით C ჯგუფში საუკეთესო ბალანსი საქართველოს აქვს.

რაც შეეხება პლეი ოფში გამსვლელთა ვინაობას. სხვა ჯგუფებში ისეთი მდგომარეობაა, რომ ოთხიდან ერთიც რომ წავაგოთ, შეიძლება საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით ფლეი ოფში გავიდეთ. თუმცა, ეს დაუშვებელია. დიდი შანსია, ჩვენი ჯგუფის მეორე ადგილზე გასული გუნდი პლეი ოფში ჩერნოგორიას გადაეყაროს. ამ ექსიუგოსლავურ ქვეყანას კი საქართველოზე არანაკლები გუნდი ჰყავს. ჰოდა, თუ ლუქსემბურგ-ირლანდია-სლოვაკეთს შვედეთიც მივაყოლეთ (ორი და მეტი ქულით უნდა მოვუგოთ), ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ და პლეი ოფში სავარაუდოდ, ბელორუსი შეგვხვდება.

ჩვენი ქვეჯგუფის სატურნირო მდგომარეობასა და საპლეიოფო მეტოქეებზე ნათელი წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, B დივიზიონის სამივე ჯგუფის ცხრილსა და კალენდარს შემოგთავაზებთ.

ახლა პლეი ოფში გუნდების დანაწილების პრინციპზე ვთქვათ. სამი ჯგუფის პირველადგილოსანს შეუერთდება საუკეთესო მეორეადგილოსანი (თითქმის გადაწყვეტილია, რომ საუკეთესო მაჩვენებელი ჩვენი ჯგუფის წარმომადგენელს ექნება). ისიც წინასწარაა ცნობილი, რომ ერთი ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთს არ შეხვდებიან. ასე რომ, პლეი ოფში შვედეთს ავცდებით და ან A ქვეჯგუფის, ანაც B-ს საუკეთესოს შევხვდებით. A-ში წაუგებლად ასპარეზობს ჩერნოგორია, ხოლო B-ში დაუმარცხებელია ბელარუსი. ექს-იუგოსლავები, ალბათ, არც წლეულს წააგებენ, ხოლო ბელარუსებს ორი რთული მატჩი აქვთ – შვეიცარიასთან შინ და რუმინეთთან გასვლაზე. თუკი ბელორუსი ერთს წააგებს, ხოლო ჩვენს ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ, პლეი ოფში ერთმანეთს დავეჯახებით. ხოლო თუ ბელორუსი ყველა მატჩს მოიგებს, მაშინ "საქმეში ჩაერთვება" მიღებულ-ჩაგდებული ქულების მაჩვენებელი.

...და მთავარი, პლეი ოფის პირველი მატჩი 5 სექტემბერს გაიმართება, განმეორებითი – 9 სექტემბერს. A დივიზიონში საუკეთესო ორეული გადავა.

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| დანია-ავსტრია | 64:73 |
| ჰოლანდია-ჩერნოგორია | 63:70 |
| ავსტრია-ჰოლანდია | 54:58 |
| ისლანდია-დანია | 77:71 |
| ჰოლანდია-ისლანდია | 84:68 |
| ჩერნოგორია-ავსტრია | 96:73 |
| დანია-ჰოლანდია | 64:79 |
| ისლანდია-ჩერნოგორია | 66:80 |
| ავსტრია-ისლანდია | 81:74 |
| ჩერნოგორია-ავსტრია | 96:60 |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 4 | 4 | 0 | 342/262 | 8 |
| 2. ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 284/256 | 7 |
| 3. ავსტრია | 4 | 2 | 2 | 281/292 | 6 |
| 4. ისლანდია | 4 | 1 | 3 | 285/316 | 5 |
| 5. დანია | 4 | 0 | 4 | 259/325 | 4 |

**15 აგვისტო**
ავსტრია-დანია
ჩერნოგორია-ჰოლანდია

**19 აგვისტო**
ჰოლანდია-ავსტრია
დანია-ისლანდია

**22 აგვისტო**
ავსტრია-ჩერნოგორია
ისლანდია-ჰოლანდია

**26 აგვისტო**
ჰოლანდია-დანია
ჩერნოგორია-ისლანდია

**29 აგვისტო**
ისლანდია-ავსტრია
დანია-ჩერნოგორია

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| შვეიცარია-ალბანეთი | 91:79 |
| რუმინეთი-კვიპროსი | 70:71 |
| ბელარუსი-რუმინეთი | 70:59 |
| კვიპროსი-შვეიცარია | 59:61 |
| შვეიცარია-ბელარუსი | 77:81 |
| ალბანეთი-კვიპროსი | 69:63 |
| ბელარუსი-ალბანეთი | 92:46 |
| რუმინეთი-შვეიცარია | 83:53 |
| კვიპროსი-ბელარუსი | 80:81 |
| ალბანეთი-რუმინეთი | 66:80 |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელარუსი | 4 | 4 | 0 | 324/262 | 8 |
| 2. რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 292/260 | 6 |
| 3. შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 282/302 | 6 |
| 4. კვიპროსი | 4 | 1 | 3 | 273/281 | 5 |
| 5. ალბანეთი | 4 | 1 | 3 | 260/326 | 5 |

**15 აგვისტო**
კვიპროსი-რუმინეთი
ალბანეთი-შვეიცარია

**19 აგვისტო**
რუმინეთი-ბელარუსი
შვეიცარია-კვიპროსი

**22 აგვისტო**
ბელარუსი-შვეიცარია
კვიპროსი-ალბანეთი

**26 აგვისტო**
ალბანეთი-ბელარუსი
შვეიცარია-რუმინეთი

**29 აგვისტო**
ბელარუსი-კვიპროსი
რუმინეთი-ალბანეთი

### C ჯგუფი

| | |
|---|---|
| შვედეთი-ირლანდია | 82:63 |
| ლუქსემბურგი-საქართველო | 65:98 |
| ირლანდია-საქართველო | 77:94 |
| სლოვაკეთი-შვედეთი | 88:89 |
| სლოვაკეთი-საქართველო | 78:101 |
| ლუქსემბურგი-ირლანდია | 70:97 |
| შვედეთი-საქართველო | 61:59 |
| სლოვაკეთი-ლუქსემბურგი | 110:67 |
| ირლანდია-სლოვაკეთი | 88:95 |
| ლუქსემბურგი-შვედეთი | 51:96 |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 4 | 4 | 0 | 328/261 | 8 |
| 2. საქართველო | 4 | 3 | 1 | 352/281 | 7 |
| 3. სლოვაკეთი | 4 | 2 | 2 | 371/345 | 6 |
| 4. ირლანდია | 4 | 1 | 3 | 325/341 | 5 |
| 5. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 4 | 253/401 | 4 |

**15 აგვისტო**
ირლანდია-შვედეთი
საქართველო-ლუქსემბურგი

**19 აგვისტო**
საქართველო-ირლანდია
შვედეთი-სლოვაკეთი

**22 აგვისტო**
საქართველო-სლოვაკეთი
ირლანდია-ლუქსემბურგი

**26 აგვისტო**
საქართველო-შვედეთი
ლუქსემბურგი-სლოვაკეთი

**29 აგვისტო**
სლოვაკეთი-ირლანდია
შვედეთი-ლუქსემბურგი

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# კორტებზეა ავსტრიის ავიახაზები

ლეილა მესხის კორტებზე გრძელდება ტურნირი „ავსტრიის ავიახაზების თასზე", რომელიც ევროპის 14 და 16-წლამდელთა ასპარეზზე მე-3 კატეგორიისაა. 16-წლამდელ გოგონებში მეოთხედფინალში გასული 8 ჩოგბურთელიდან 6 ქართველია: **თამარ კომახიძე** (1), **ბაბილინა მაჩაიძე** (2), **ბარბარე ერისთავი** (8), **თამარ ჩალაგანიძე**, **მარიამ ქურასბედიანი** და **ანი გოგვაძე**. ტურნირის ფავორიტმა თამარ კომახიძემ გუშინაც იმარჯვა, მან **ნუნე ხაჩატრიანი** (სომხეთი) გააგდო - 6:4, 6:3. ნახევარფინალში თამარი ბარბარე ერისთავს შეხვდება, რომელმაც თამარ ჩალაგანიძე დაამარცხა - 6:1, 6:2. ბადის მეორე მხარეს ნახევარფინალში მე-2 ნომრად განთესილი ბაბილინა მაჩაიძე ტურნირის მე-4 ნომერ **ანაჰიტ განჯელიანს** (სომხეთი) ეთამაშება. მაჩაიძემ ანი გოგვაძე დაამარცხა - 6:4, 6:2, ხოლო განჯელიანმა - მარიამ ქურასბედიანი - 6:3, 6:2.

ბიჭებში უფრო ნაკლები წარმატება გვაქვს, მეოთხედფინალში სამი ჩვენებურია: **გიორგი ცივაძე** (1), **დავით ხუციშვილი** (2) და **ნიკა დოლიძე** (3). მეოთხედფინალშია **თეიმურაზ მეტრეველიც** (5), რომელიც რუსეთის სახელით ასპარეზობს.

14-წლამდელ ბიჭებში მეოთხედფინალში გავიდნენ: **მიხეილ ხმიადაშვილი** (1), **ალექსანდრე დავლიანიძე** (2), **გიორგი ჯავახიშვილი** (5) და **შოთა მეფარიძე** (8). ამავე ასაკის გოგონებში ყველა მეოთხედფინალისტი ქართველია, თუმცა **თინა ბოხუა** რუსეთის სახელით გამოდის, ხოლო **მარიამ დოლაშვილი** უკრაინელია: **მაია კაციტაძე** (1), **ლიზა ნადიბაიძე** (2), **მარიამ დგებუაძე** (3), **მარიამ გოგელაშვილი** (4), **ირინა ყარანგოზიშვილი** (6) და **ნინო უგრელიძე** (7). ნახევარფინალში კაციტაძე გოგელაშვილს ეთამაშება, ხოლო ნადიბაიძე - დოლაშვილს. ტურნირის ფავორიტმა მაია კაციტაძემ იოლად მოუგო თინა ბოხუას - 6:2, 6:3. არც გოგელაშვილს გასჭირვებია მე-6 ნომრად განთესილ ირინა ყარანგოზიშვილთან - 6:2, 6:1. მე-2 ნომრად განთესილი ნადიბაიძე კი კინაღამ გააგდო ნინო უგრელიძემ - 1:6, 6:4, 6:3. უკრაინელმა დოლაშვილმა ერთი ამოსუნთქვით აჯობა ტურნირის მე-3 ჩოგან მარიამ დგებუაძეს - 6:1, 6:1.

ნიკოლოზ ნეფარიძე



სოფიო შაფათავა

# დარჩა მხოლოდ შაფათავა

20 წლის **სოფიო შაფათავა** (272) მონპელიეს საერთაშორისო ტურნირის ერთეულთა თანრიგში მერვედფინალში ტურნირის მე-3 ჩოგანს, გერმანელ **ლაურა ზიგმუნდს** (226) ხვდება. ჩვენებური კარგად ასპარეზობს წყვილებშიც, სადაც უკრაინელ **ლესია ცურენკოსთან** (256) ერთად ნახევარფინალში გაალწია. მეოთხედფინალში მათ „უაილდ ქარდით" მიწვეული ფრანგები (**ემილი ბაკე** (720), **კლერ დე გუბერნატისი**) გააგდეს - 6:3, 7:6 (6). ნახევარფინალში ქართულ-უკრაინულს ამერიკულ-შვეიცარიული დუეტი (**სტორი ტვიდი-იეტსი** (377), **სტეფანია ბოფა** (307)) გამოცდის, რომელიც მონპელიეში მე-4 ნომრად არის განთესილი.

სტამბოლის ქალ ჩოგბურთელთა ტურნირის (10 ათასი $) ერთეულთა თანრიგში ერთი ქართველიც აღარ შემორჩა - მერვედფინალში **მანანა შაფაქიძემ** (666) მე-7 ნომრად განთესილ რუს **გალინა ფოკინასთან** (664) სამსეტიანი ორთაბრძოლა დათმო - 6:1, 1:6, 2:6.

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (840) მართალია, შეძლო საკრამენტოს საერთაშორისო ტურნირის (15 ათასი $) ძირითად ბადეში გაღწევა, მაგრამ იქ უკვე ვერ ივარგა. ნიკამ მე-8 ნომრად განთესილ ავსტრალიელ **ენდრიუ კოელიოსთან** (392) წააგო - 5:7, 4:6.

ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში სტარტი აილო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირმა (15 ათასი $). **ლაზარე კუხალაშვილი** (844) ძირითად ბადეში რეიტინგით მოხვდა, იქ კი პირველ წრეში ამერიკელი **ჯორდან კოქსი** (1184) დაამარცხა - 6:4, 4:6, 7:5. 18 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა მეტი წინსვლა ბადეში ვერ შეძლო, მერვედფინალში მან მე-5 ნომრად განთესილ შვეიცარიელ **ალექსანდერ სადეცკისთან** (589) წააგო - 1:6, 2:6. კუხალაშვილისა და ჩეხი **დავიდ სოდეკის** დუეტი წყვილთა თანრიგს პირველივე წრეში დაემშვიდობა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭადრაკი


თეონა გვეტაძისა და თორნიკე სანიკიძის შეხვედრა

# ტურნირზე ორხელისუფლებიანობა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დედაქალაქის მერიის თასის გათამაშებაზე სატურნირო მდგომარეობა დღითი დღე იძაბება. სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ თუ 11 მოჭადრაკე მეწინავეობდა, გუშინდელი ორთაბრძოლების შემდეგ სათავეს 4-4 ქულით მხოლოდ ორი დიდოსტატი შემორჩა. **კონსტანტინე შანავამ** შავი ფიგურებით **დავით ლომსაძეს** სძლია. ხოლო სომეხმა **არმან პაშიკიანმა ნანა ძაგნიძეს** მოუგო. მეხუთე ტურში სწორედ შანავა და პაშიკიანი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

3-3-ქულიან მოჭადრაკეთა უმრავლესობამ მეოთხე ტურში დაზავება არჩია (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი პარტია დრამატულად წარიმართა და ბოლო სვლებამდე შედეგის გამოცნობა შეუძლებელი იყო). ყაიმზე შეთანხმდნენ: **მერაბ გაგუნაშვილი** და **მიხეილ ქობალია, გაიოზ ნიგალიძე** და **მიხეილ მჭედლიშვილი, სოფიო გვეტაძე** და **თორნიკე სანიკიძე, ტიგრან კოტანჯიანი** და **ზურაბ ჯავახაძე**.

მეორე ტურში ნახევარი ქულა დაკარგა ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა **ბაადურ ჯაბავამ**. სამაგიეროდ, მომდევნო ორ ტურში სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა. გუშინ **შოთა აზალაძეს** სძლია შავი ფიგურებით და ახლა ლიდერებისგან მხოლოდ ნახევარი ქულა აშორებს. მსგავსი მდგომარეობა შეიძლება ჰქონოდა **ლევან ფანცულაიას**, მაგრამ მან **ლუკა პაიჭაძის** წინააღმდეგობა ვერ დასძლია და ყაიმს დასჯერდა...

დღეს, მეხუთე ტურში, დაწინაურებულთაგან ერთმანეთს ხვდებიან:

**კონსტანტინე შანავა** (4) — **არმან პაშიკიანი** (სომხეთი, 4)

**ბაადურ ჯობავა** (3,5) — **ვუგარ რასულოვი** (აზერბაიჯანი, 3,5)

**მიხეილ ქობალია** (მოსკოვი, 3,5) — **გაიოზ ნიგალიძე** (3,5)

**მიხეილ კეკელიძე** (3,5) — **მერაბ გაგუნაშვილი** (3,5)

**მიხეილ მჭედლიშვილი** (3,5) — **სოფიო გვეტაძე** (3,5)

**თორნიკე სანიკიძე** (3,5) — **გევორქ ჰარუთუნიანი** (სომხეთი, 3,5)

**გიორგი მარგველაშვილი** (3,5) — **ზეინაბ მამედიაროვა** (აზერბაიჯანი, 3,5)

**დავით ბენიძე** (3,5) — **ზურაბ ჯავახაძე** (3,5)

**მიხეილ ჯამაგიძე** (3,5) — **დავით შენგელია** (3)

გუშინდელი ორთაბრძოლების დამთავრების შემდეგ ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **გია გიორგაძეს** ვესაუბრე:

— საქართველოში დიდი ხანია, საერთაშორისო ტურნირები არ გამართულა. ივნისში ერთბაშად ორი შეჯიბრებით მრავალწლიანი ვაკუუმი ამოვავსეთ.

მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშება, მართლაც, კარგი ასპარეზობა გამოგვივიდა. მსოფლიოში დღეს იშვიათად ნახავთ ქალთა ასეთი დონის ლონისძიებას. მთავარი პრიზისთვის საერთაშორისო წოდების 35 მოჭადრაკე იბრძოდა. სასიამოვნოა, რომ ტურნირმა ნათლად წარმოაჩინა ახალგაზრდა დიდოსტატის **ბელა ხოტენაშვილის** ნიჭიერება. იგი ყველა პარტიაში ბოლომდე იბრძოდა და მიზანსაც მიაღწია, რაც დასაფასებელია.

მეტს მოველოდით **ნანა ძაგნიძისგან**. მას საამისოდ ყოველგვარი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ მთავარი პრიზის მოპოვებაში, ეტყობა, იმან შეუშალა ხელი, რომ ყოველთვის მაქსიმუმის მიღწევას ცდილობს. მართალია, მოჭადრაკემ ზოგჯერ რაციონალურ მარცვალზეც უნდა იზრუნოს, თუმცა ნანას, მებრძოლი სულის მქონე დიდოსტატს, ისეთი „ნაკლი“ აქვს, რომლის გამოსწორებასაც ნამდვილად არ ვუსურვებდი. სხვაგვარი ძაგნიძე მე ვერ წარმომიდგენია. რაც შეეხება **ლელა ჯავახიშვილს**, მან ჩიბურდანიძის თასის გათამაშებაზეც დაამტკიცა მაღალი კლასი. იმის მიუხედავად, რომ ცოტა ხნის წინ დედა გახდა და რამდენიმე თვის განმავლობაში ჭადრაკისთვის არ ეცალა, ღირსეულად იბრძოლა ტურნირზე და პირველი ადგილი მხოლოდ უარესი კოეფიციენტით დათმო.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თბილისის ჭადრაკის ფედერაციას (პრეზიდენტი **დავით ხოსრუაშვილი**), რომელმაც საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე დადებული პირობა შეასრულა: შეიძინა ინვენტარი, ახალგაზრდული პირველობები გამართა, ჩამოაყალიბა თბილისის ნაკრები, რომელსაც საწვრთნელ შეკრებებს ჩაუტარებს.

სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ დედაქალაქის მერიის თასზე ისეთი ტურნირის ორგანიზება შევძელით, რომელიც კონკურენციას უწევს დუბაისა და სტამბოლის საერთაშორისო შეჯიბრებებს. 64 ათასი ლარი საკმაოდ სოლიდური თანხაა. სწორედ, ამ საპრიზო ფონდით მაღალი რეიტინგის მოჭადრაკეები მოვიზიდეთ. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ ჩვენი დიდოსტატები ძირითად პრიზებს უცხოელებს არ გაატანენ. არადა, საკმაოდ ხალხმრავალი და ძლიერი მოჭადრაკეებისგან შემდგარი დელეგაციებით გვესტუმრნენ სომხები და აზერბაიჯანელები. სულ კი ცხრა ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობენ. ასეთ დაძაბულ ტურნირში ჩვენს ახალგაზრდა მოჭადრაკეებს თავის გამოჩენის კარგი საშუალება მიეცათ: მათ შეუძლიათ, საერთაშორისო ნორმატივები შეასრულონ და ოჯახური ბიუჯეტიც გაამდიდრონ, რადგან პროფესიონალების გარდა, ფულადი პრიზებით დაჯილდოვდებიან საუკეთესოები ასაკობრივ ჯგუფებში, დაბალრეიტინგიანებსა და ურეიტინგოებში, ასევე, გამორჩეული მწვრთნელები. თბილისის მერიის ხელმძღვანელობისადმი თანადგომისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის? კარგი იქნება, მის მაგალითს სხვებიც თუ მიჰბაძავენ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

რაგბი

ინტერვიუ გოჩა აბაშიძესთან

# მორაგბე, მწვრთნელი, მსაჯი, პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი...

**ქართულ რაგბიში იშვიათია ადამიანი, რომელიც ოვალური ბურთით თამაშთან ზიარების დღიდან აქამდე, ამ ვაჟკაცურ სპორტის სახეობას ემსახურება. გოჩა აბაშიძე მორაგბეც ხეირიანი იყო და აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ მსაჯობაშიც არავის უდებდა ტოლს. მეტიც, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ წლებში, როცა საყოველთაო სიდუხჭირე სუფევდა, რაგბის კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ და იმ ურთულეს პერიოდში, თითქმის მარტო ხელმძღვანელობდა ქართულ რაგბის. დღესდღეობით გოჩა აბაშიძე ისევ რაგბის სამსახურშია და საქართველოს რაგბის კავშირში მსაჯთა კომიტეტს უძღვება.**

- რაგბის თამაში 1964 წელს დავიწყე. მაშინ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. სტუდენტები ყამირზე ვიყავით სამუშაოდ. ილო იოვაძემ, რომელიც იმ დროისთვის უკვე „დინამოში“ თამაშობდა, შემომთავაზა, ძალა რაგბიში მომესინჯა. ყამირიდან რომ დავბრუნდით, სექტემბერში მივედი „დინამოს“ გუნდში და მას შემდეგ სპორტის ამ სახეობისთვის არასდროს „მიღალატია“.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ მანამდე სპორტის სხვა სახეობებითაც იყავით დაკავებული. რა ნახეთ რაგბიში ისეთი განსაკუთრებული, რომ მთელი ცხოვრება ამ თამაშს მიუძღვენით?**

- პირველი რამაც მომხიბლა ისაა, რომ რაგბის ვერ ითამაშებ აზარტის, ჟინის გარეშე. თანაც მიყვარდა ძალისმიერი თამაში. ერთი ხანობა ტრამვაიტროლეიბუსების სამმართველოს ფეხბურთის გუნდში ვთამაშობდი და იქაც ძალისმიერ თამაშს ვანიჭებდი უპირატესობას. მანამდე ჭიდაობაზეც დავდიოდი. მოკლედ რომ ვთქვათ, სპორტის სახეობა არ დამიტოვებია.

„დინამოში“ ძალიან კარგი პიროვნებები დამხვდნენ. ბევრ მათგანს ინსტიტუტიდან ვიცნობდი და ვერ ვიტყვი, ახალ გარემოში მოვხვდი-მეთქი. ჩემი პირველი მწვრთნელი გივი მრელაშვილი იყო. ამ პიროვნებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ რაგბიში საბოლოოდ დავრჩი. გივი ყოველთვის ცდილობდა, ლოიალური ყოფილიყო. არასდროს იჩენდა ზედმეტ სიმკაცრეს. გადმოცემის უნარიც ძალიან კარგი ჰქონდა, ნამდვილი პედაგოგი იყო.

თუ გივი მრელაშვილმა რაგბი შემაყვარა, მომდევნო მწვრთნელმა ზაურ მგელაძემ ეს გრძნობა მაქსიმალურად გამიმძაფრა. ის ძალიან ძლიერი იყო, ჯერ როგორც მოთამაშე და მერე მწვრთნელიც ჩინებული დადგა. მან შემოიტანა თამაშის ახალი სტილი. მომთხოვნი იყო როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართაც. ბრძოლისუნარიანობა მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება იყო. დათმობა არ იცოდა, უკან არასდროს იხევდა. სამწუხაროდ, უდროოდ დაილუპა, თორემ ქართული რაგბისთვის კიდევ ბევრ სასიკეთოს გააკეთებდა.

**- ზემოთ ახსენეთ, რომ ზაურ მგელაძემ თამაშის ახალი მანერა დანერგაო. ხომ ვერ დაგვიკონკრეტებდით რა გაქვთ მხედველობაში?**

- სანამ ზაური მწვრთნელობას დაიწყებდა, მანამდე თამაშში ინდივიდულიზმი უფრო მეტი იყო. მან უფრო კოლექტიურ, გუნდურ თამაშზე გაგვაკეთებინა აქცენტი. საერთოდ, ქართულ რაგბიში თამაშის სტილის, მიმდინარეობის ცვლა ორჯერ მოხდა: პირველად - როცა სამოციან წლებში საფრანგეთის პროფკავშირების ნაკრები გვეწვია თბილისში. მათ სულ სხვა რაგბი გვიჩვენეს და, ცხადია, ჩვენც მათი მიბაძვით ავთამაშდით.

მეორედ - ეს სამოცდაათიან წლებში მოხდა. მაშინ ინგლისელი „პინგვინები“ იყვნენ ჩამოსული. მათ სრულიად განსხვავებული სათამაშო ტაქტიკა გვანახვეს. მთელი კავშირის მაშტაბით „პინგვინების“ თამაშის სტილს, პირველმა ალლო თბილისის „ლოკომოტივის მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა აუღო. მან დანერგა გუნდში ეს სიახლე და შედეგად „ლოკომოტივი“, მაშინდელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, საუკეთესო გუნდი იყო. რაც შედეგებზე ნათლად აისახა.

**- მოდი, ისევ თქვენს სარაგბო კარიერას მივუბრუნდეთ. ხომ ვერ გვეტყვით, რომელი თამაშს მოიგონებდით ყველაზე უკეთ?**

- ბელორუსის ქალაქ გროდნოში ზონალური ტურნირი ტარდებოდა. იქ გამარჯვების შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გავდიოდით, რაც საბოლოოდ უმაღლეს ლიგაში გადასვლის საშუალებას გვაძლევდა. გადამწყვეტ მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივს“ მოვუგეთ. ამაზე ძლიერი გუნდი ჩვენ მომავალ მეტოქეებს შორის არ იყო და ფაქტობრივად, ამით უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება გავინაღდეთ. ამ ტურნირზე საუკეთესო ცხრა ნომრად დამასახელეს და სპეციალური პრიზი გადმომცეს.


ბურთით გოჩა აბაშიძე

ისე თამაში თავიდან შუამარბად დავიწყე. მერე პირველ ხაზში გადავედი. მესამეხაზელადაც მითამაშია და ბოლოს ცხრა ნომერზე დავამთავრე. სამწუხაროდ, საკმაოდ ხანმოკლე კარიერა გამომივიდა. 1973 წელს ფეხი სერიოზულად დავიზიანე და რაგბის თამაშს თავი დავანებე.

**- მსაჯობა როდის დაიწყეთ?**

- იმავე წელს. როცა ვთამაშობდი, 10 წლის განმავლობაში ვიცოდი, რომ ყოველდღე ორი საათი, საღამოს ხუთიდან შვიდამდე რაგბისთვის მქონდა განკუთვნილი. რაგბის თამაშს თავი რომ დავანებე, აღარ ვიცოდი, ის ორი საათი რით შემევსო. შინ ვერ ვჩერდებოდი, ვნერვიულობდი, ცუდად ვიყავი. ავდექი და მწვრთნელობა დავიწყე, პარალელურად მსაჯობასაც მივყავი ხელი.

სერიოზულ ტურნირზე პირველად 1973 წელს სოხუმში, ახალგაზრდულ პირველობაზე ვიმსაჯე. მოსკოვიდან იყო ჩამოსული ტურნირზე ვინმე სოკოლოვი, რომელსაც მოეწონა ჩემი გარჯა და საკავშირო კომიტეტში რეკომენდაცია გამიწია. მალე უმაღლესი ლიგის შეხვედრების განსჯაც მომანდვეს. რაც შეეხება საერთაშორისო მატჩებს, თბილისში 1974 წლიდან რაც შეხვედრები გამართულა, თითქმის ყველა მიმსაჯია.

**- იქნებ სამსაჯო კარიერიდანაც გაიხსენოთ რაიმე საინტერესო ამბავი?**

- არბიტრობა ახალი დაწყებული მქონდა. მონინოს „ვვას“ და მაშინდელი ლენინგრადის „ფილის“ მატჩს ვსჯიდი. გამოცდილი მსაჯები ამბობდნენ, რომ კარგი არბიტრი მაშინ ხარ, როცა ბურთთან მუდამ ახლოს იმყოფებიო. დაიწყო თამაში. ჯერ ერთმა გუნდმა გადაიტანა ბურთი ფეხით მეტოქის მოედანზე. გავიქეცი. იმათ რომ დაიჭირეს, ფეხითვე უკან დაუბრუნეს, ახლა აქეთ გამოვიქეცი. ამათ არ დააყოვნეს და ისევ ფეხით დაურტყეს, ისევ გამოვიქეცი. არ ვიცი, ეს რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, როდემდე უნდა მერბინა ასე. ამიტომ თამაში გავაჩერე და მოედნის ცენტრში გუნდის კაპიტნებს მოვუხმე. ვუთხარი - გიკრძალავთ ფეხით დარტყმას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგაჯარიმებთ-მეთქი.

ამის მერე აღარ დაურტყამთ. ხალდახელ ბურთაობა გაჩაღდა თქვენი მოწონებული. თამაშის მერე მატჩის კომისარმა მკითხა, თამაში რატომ გააჩერე, კაპიტნებს რა უთხარიო? მეც ვუამბე როგორც იყო. იწყინა, მაგრამ ფედერაციის წარმომადგენელმა გამომიყვანა მდგომარეობიდან, უთხრა - სამაგიროდ, ვერ ნახე, რა თამაში გაჩაღდაო?

რალა ბევრი გავაგრძელო და, სამსაჯო კარიერაც საინტერესო გამომივიდა. სამჯერ ვიყავი დასახელებული მსაჯთა საუკეთესო ათეულში.

**- მსაჯობის გარდა ფუნქციონერადაც გიმუშავიათ, თანაც ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე პერიოდში...**

- დიახ, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი. ძალიან რთული დრო იყო. ისე გამოვიდა, რომ მაშინ პრეზიდენტიც მე ვიყავი, ვიცე-პრეზიდენტიც, საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარეც და ასე შემდეგ. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, 21 გუნდი მაინც გვყავდა. ჩემპიონატს ვატარებდით. მაშინდელი მწვრთნელების ენთუზიაზმის, თავდადების დამსახურებაა, რაგბი რომ შევინარჩუნეთ.

დღევანდელი ნაკრების კარგი შედეგები ჰაერიდან არ მოსულა. ამას წინ უამრავი ადამიანის თავდაუზოგავი შრომა უძღოდა. მაშინ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. თუნდაც ის, რომ კლუბები ვაიძულეთ, ბავშვთა გუნდები შეექმნათ, რამაც ნაყოფი სწორედ ახლა, ამ პერიოდში გამოიღო.

**- დღესდღეობით რაგბის კავშირში მსაჯთა კომიტეტს ხელმძღვანელობთ. რა დონეზე არიან დღეს ჩვენი მსაჯების განსწავლულები?**

- ძალიან ცოტა მსაჯი გვყავს. ვინც გვაყავს, მათ შორის რამდენიმეს თავისუფლად შეუძლია, საერთაშორისო დონეზე იმსაჯოს. ორ მათგანს უკვე აქვს ამის გამოცდილება. სამწუხაროდ, მსაჯობა არავის უნდა. ჰგონიათ, ისევ ძველებურადაა საქმე, როცა აგინებდნენ, სცემდნენ. ახლა მდგომარეობა გამოსწორებულია. მსაჯები დაცულები არიან. დროდადრო სემინარებსაც ვატარებთ. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ საინტერესო პროფესიაა. რაგბის მსაჯობა მთელი ფილოსოფიაა. კარგი არბიტრი ისაა, ვისაც თამაშის მართვა შეუძლია, მორაგბეებთან ერთად თამაშობს და მატჩის დასრულების შემდეგ, მოედნიდან კმაყოფილი, ნასიამოვნები გამოდის.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

# ბოლტის 9.77 წამი




მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები პლანეტის პირველობისთვის მზადებას განაგრძობენ. პეკინის ოლიმპიური თამაშების გმირი, იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მეორედ გავიდა სტარტზე.

წინა კვირას, ბოლტმა მოკრძალებული შედეგით გაიმარჯვა ტორონტოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში - 100 მეტრი ზუსტად 10 წამში გაირბინა. ამჯერად კი ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში ამავე დისტანციაზე ის დრო აჩვენა, როგორიც პლანეტის ყველაზე სწრაფ ადამიანს ეკადრება.

როგორც ყოველთვის, იამაიკელი ამჯერადაც უკონკურენციოდ იყო. მის გარდა, ვერც ერთმა სპრინტერმა ვერ შეძლო 100 მეტრის 10 წამზე ნაკლებ დროში გარბენა. ბოლტმა კი სეზონში საუკეთესო დრო აჩვენა - დისტანცია 9 წამსა და 77 მეასედში დაფარა, რაც მხოლოდ 8 მეასედით ნაკლებია მისივე მსოფლიო რეკორდზე.

ასეთი მაღალი შედეგის მიუხედავად, ბოლტი უკმაყოფილო დარჩა თავისი გამოსვლით: *„სიმართლე გითხრათ, უკეთესი დროის ჩვენებას ვაპირებდი, მაგრამ სტარტზე საკმაოდ შევყოვნდი. საერთოდ, ეს იყო ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უარესი სტარტი კარიერაში, რადგან არბიტრის სიგნალს ყველაზე გვიან გამოვეხმაურე. პირველი მეტრების შემდეგ დავინახე, რომ ოდნავ ჩამოვრჩებოდი მეტოქეებს და ამიტომაც, სიჩქარის მაქსიმუმამდე მომატება დამჭირდა. დისტანციის მეორე ნახევარი, ტრადიციულად, ძალიან ძლიერად გავიარე და ტურნირი მოვიგე. მინდოდა ოსტრავაში საუკეთესო დროის ჩვენება, მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც ვგეგმავდი“.*

ჩოგბურთი

# ვინ აწყობს თამაშებს?

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციას (ATP) ეჭვი აქვს, რომ რამდენიმე ჩოგბურთელი ჩაწყობილი მატჩების ორგანიზებაშია გარეული. ექვსიდან თორმეტამდე მოთამაშე, რომელიც მომავალ კვირას უიმბლდონის ტურნირში ჩაებმება, სპეციალურ „ეჭვმიტანილთა სიაში“ შეიყვანეს. იქ მოხვდნენ ჩოგბურთელები, რომელთა მატჩებზე საეჭვო ფსონები კეთდებოდა. ესენი არიან მოთამაშეები რუსეთიდან, არგენტინიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ATP მათ გვარებს ჯერჯერობით არ ახმოვანებს.

*„ცალკეული მოთამაშეების მიმართ ინტერესი გაგვიჩნდა და ამიერიდან, მათ თამაშებს ყურადღებით დავაკვირდებით. ჩვენი მხრიდან სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისეთი დიდი თანხების პირობებში, რაც ტოტალიზატორებში ტრიალებს, ჩვენს ტურში უპატიოსნო თამაში არ არსებობს“*, - ამბობს ATP-ის ხელმძღვანელი.

ჩოგბურთში ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებულ სკანდალებს უკვე ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველად ATP-ის მესვეურებმა ეჭვი რუსეთის პირველ ნომერ **ნიკოლაი დავიდენკოზე** მიიტანეს, მაგრამ დღემდე არც ერთი მტკიცებულება არ არსებობს და შესაბამისად, არავინ დასჯილა.

კრივი

# ბერნარდ ჰოპკინსი ბრუნდება



საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის **ბერნარდ ჰოპკინსის** პრომოუტერმა **რიჩარდ შაფერმა** განაცხადა, რომ ლეგენდარული მოკრივე მომავალი წლის იანვარში აპირებს რინგზე დაბრუნებას. ჰოპკინსს დაგეგმილი აქვს შეხვედრა მეორე საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონ **კარლ ფროჩთან** ან პირველ მძიმე წონაში IBF-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელ **ტომაშ ადამეკთან**.

შაფერის სიტყვებით, მან უკვე განიხილა ეს იდეა ტელეარხ HBO-ის ხელმძღვანელობასთან, რომელმაც ჰოპკინსის მორიგი ბრძოლის ტრანსლირების სურვილი გემოთქვა.

ჰოპკინსისა და ადამეკის წარმომადგენლებმა ერთხელ უკვე სცადეს მოლაპარაკება ამ მოკრივეებს შორის ბრძოლის ორგანიზებაზე, მაგრამ ჰონორარის გაყოფაზე ვერ მორიგდნენ. მოგვიანებით მოლაპარაკებების განახლება სცადეს, მაგრამ ახლა უკვე HBO-მ განაცხადა უარი ბრძოლის შეძენაზე და მოკრივეებს 2010 წლამდე მოცდა ურჩია.

*„ზოგიერთ ადამიანს 45 წლის იუბილეზე დიდი საღამოს მოწყობა და ცეკვის სურვილი უჩნდება, - ამბობს შაფერი. - ბერნარდს კი საკუთარი ცეკვის შესრულება რინგზე სურს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს იქნება მნიშვნელოვანი ბრძოლა: ბერნარდი ახალ ჩემპიონ ფროჩს შეხვდება, რომელმაც ცოტა ხნის წინ ჯერმეინ ტეილორს მოუგო, ან პირველ მძიმე წონაში აინევს და ადამეკის დამარცხებას შეეცდება“.*

# ჩაგაევთან ჩხუბი სახიფათოა

ამერიკის ექიმების ასოციაცია, რომელიც პროფესიონალ მოკრივეთა ბრძოლებს ემსახურება, სუპერმძიმე წონაში WBO-სა და IBF-ის მსოფლიოს ჩემპიონის **ვლადიმერ კლიჩკოსა** და WBA-ის დროებით არამოქმედ ჩემპიონ **რუსლან ჩაგაევს** შორის ჩხუბის გადადებას ითხოვს.

როგორც ცნობილია, ჩაგაევი B ჰეპატიტით არის დაავადებული და სწორედ ამ მიზეზით არ გაიმართა მისი ბრძოლა რუს **ნიკოლაი ვალუევთან**. ასოციაციის წევრთა აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ინფექციის გავრცელების რისკი მინიმალურია, საშიშროება მაინც არსებობს. ავადმყოფობა შეიძლება გადაედოს როგორც მოწინააღმდეგეს, ასევე რეფერის, ექიმებს, მაყურებელს, ბრძოლის გამომცხადებელს და ყველას, ვინც რინგთან ახლოს იტრიალებს. ასოციაციის სტატისტიკური მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ თუ ჩაგაევის სისხლი მეტოქის ღია ჭრილობას მოხვდება, დაავადების რისკი ათი პროცენტის ტოლი იქნება, ხოლო თუ სისხლი თვალში მოხვდა (თავების შეჯახების შემდეგ), ინფექციის გადაცემის რისკი ხუთ პროცენტს უდრის.

*„ყველას, ვინც ამ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს დაკეთებული აცრა, თანაც ამ მოვლენამდე ნახევარი წლით ადრე. საჭირო რაოდენობის ადამიანის მოძებნა, რომლებიც ამ კატეგორიას დააკმაყოფილებს, პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომაც ჩვენი რეკომენდაციაა, ეს ბრძოლა მოგვიანებით ჩატარდეს“*, - წერია ამერიკის ექიმების ასოციაციის განცხადებაში.




ვლადიმერ კლიჩკოსა და რუსლან ჩაგაევის ბრძოლა 20 ივნისს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

# სატრანსფერო ამბები

ამერიკული პრესის ინფორმაციით, „ნიუ იორკ ნიქსი“ „ჰიუსტონ როკეტსის“ მცველის **ტრეისი მაკგრეიდის** გადაბირებითაა დაინტერესებული. კლუბის ხელმძღვანელობას სურს შეიძინოს კალათბურთელი, რომლის ხელფასი მომავალ წელს 23 მილიონი დოლარი იქნება. მაკგრეიდის კონტრაქტს 2010 წლის ზაფხულში გასდის ვადა და ეს საშუალებას მისცემს „ნიუ იორკს“, გამოათავისუფლოს თანხა თავისუფალი აგენტების გადასაბირებლად.

გასულ რეგულარულში მაკგრეიდიმ მხოლოდ 35 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 15.6 ქულა, 4.4 მოხსნა და 5.6 შედეგიანი პასი დააგროვა. ტი-მაკმა ტრავმის გამო პლეი ოფში ვერ ითამაშა.

■ ■ ■

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსმა“ „ორლანდო მეჯიქის“ ფორვარდს, თავისუფალ აგენტ **ჰედო თურქოგლუს** ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის მიხედვითაც თურქი ფორვარდი 8 მილიონ ევროს მიიღებს. თუმცა თურქოგლუს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კალათბურთელს NBA-ში დარჩენა და წლიური ხელფასის სახით 10 მილიონი დოლარის მიღება სურს.

თავად თურქოგლუმ უარყო „ოლიმპიაკოსის“ მხრიდან დაინტერესების შესახებ, მაგრამ თუ ბერძნული კლუბი დაუკავშირდება, მის წინადადებას აუცილებლად განიხილავს.

თურქოგლუმ წლევანდელ პლეი ოფში საშუალოდ 15.8 ქულა, 4.5 მოხსნა და 4.8 პასი დააგროვა.

■ ■ ■

„დეტროიტ პისტონზის“ ხელმძღვანელობამ „ჩიკაგო ბულზის“ მცველის **ბენ გორდონის** გადაბირება მოისურვა. ეს კალათბურთელი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება და „დეტროიტი“ მას წლიური ხელფასის სახით 11 მილიონ დოლარს შესთავაზებს.

„პისტონზს“ ამ ზაფხულს მნიშვნელოვანი თანხები გამოუთავისუფლდება, რადგან კონტრაქტი უმთავრდებათ **ალენ აივერსონსა** და **რაშიდ უოლასს**. ამიტომაც, გორდონის გარდა, „დეტროიტი“ „იუტა ჯაზის“ ფორვარდის **კარლოს ბუზერის** გადაბირებას ეცდება.

■ ■ ■

საინტერესო გაცვლა შეიძლება მოხდეს „კლივლენდ კავალიერზსა“ და „ვაშინგტონ უიზარდს“ შორის. დედაქალაქელთა ერთ-ერთი ლიდერი **ანტუან ჯეიმისონი ლებრონ ჯეიმსის** თანაგუნდელი გახდება, ხოლო „ვაშინგტონის“ რიგებში გადავლენ „კავალიერსის“ ცენტრი **ბენ უოლასი** და ფორვარდი **საშა პავლოვიჩი**.

„ვაშინგტონი“ ამ ტრეიდით დაინტერესებული უნდა იყოს, რადგან ეს მომავალი სეზონის წინ ბიუჯეტის შემსუბუქების საშუალებას მისცემს. ბენ უოლასი, სავარაუდოდ, კარიერას დაასრულებს, საშა პავლოვიჩს კი კონტრაქტით გათვალისწინებულ ბოლო წელს სულაც არ აქვს გარანტირებული თამაში.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2009** | |
| **UNDER 21** | |
| გერმანია-ფინეთი | 2:0 |
| ესპანეთი-ინგლისი | 0:2 |
| **ირლანდიის თასი** | |
| ლონგფორ.-უექსფორდი | 1:1, დ.დ. 3:2 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| ფრედრიკსტა.-რანჰეიმი | 3:3, დ.დ. 5:3 |
| მიოლდე-კონგსვინგერი | 1:0 |
| სტარტი-ლომ ჰამი | 2:2, პენ. 13:14 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| საფრანგეთი-საბერძნეთი | 51:49 |
| ლატვია-რუსეთი | 64:69 (ო) |
| **გერმანია** | |
| **პლეი ოფი. ფინალი** | |
| ტელეკომი-ოლდენბურგი | 70:79 |
| **ესპანეთი** | |
| **პლეი ოფი. ფინალი** | |
| ბარსელონა-ტაუგრესი | 90:77 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ისტბურნი** | |
| დანჩევივი-მაიერი | 6:7, 6:4, 7:5 |
| ლუბიჩიჩი-სანტორო | 6:3, 2:6, 0:6 |
| ტიპსარევიჩი-გ. ლოპესი | 4:6, 6:3, 3:6 |
| ტურსუნოვი-ისტომინი | 7:6, 6:4 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| ლოდრა-ბეკერი | 6:7, 5:7 |
| ფერერი-ნავარო | 4:6, 2:6 |
| შარდი-შუტლერი | 6:7, 6:3, 6:7 |
| სელა-სლუიტერი | 6:4, 4:6, 4:6 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| ვოზნიაჩკი-მაკაროვა | 6:3, 6:2 |
| ბარტოლი-მედინა გარიგესი | 6:1, 6:4 |
| ა. რადვანსკა-რაზანო | 6:7, 5:7 |
| ვოზნიაკი-დუშევინა | 6:1, 6:0 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ვიკმაიერი-ბაროისი | 6:1, 6:1 |
| სკიავონე-გოვორცოვა | 6:1, 6:3 |
| პენეტა-ტანასუგარნი | 6:2, 3:6, 3:6 |
| საფინა-ჰანტუხოვა | 1:6, 6:4, 6:3 |

TV პროგრამა

**19 ივნისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ზენიტი-რეალი.
**09:00** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**10:05** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი).
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:25** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სან პაულუ (ბრაზილია)-კრუზეირო (ბრაზილია).
**14:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბატე-იუვენტუსი.
**16:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:40** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**17:40** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი).
**19:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:55** საფეხბურთო პროგრამა.
**20:30** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:55** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სან პაულუ (ბრაზილია)-კრუზეირო (ბრაზილია).
**23:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბორდო-რომა.
**02:05** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**02:35** საფეხბურთო კლუბი.
**03:25** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-აიაქსი.
**05:35** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჰალი.

**EUROSPORT**

**10:30** წყალსანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მალტა.
**11:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ს. კორეა-ირანი.
**12:30** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ოსტრავა. ჩეხეთი.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ინგლისი (LIVE).
**21:15** რალი. IRC-ის სერია. I დღე. ბელგია (LIVE).
**22:15** რალი-რეიდი. მსოფლიოს ტური (LIVE).
**22:45** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. სერბეთი.
**23:45** მულტისპორტი.
**00:00** რესტილინგი.
**00:30** რალი-რეიდი. მსოფლიოს ტური.
**01:00** რალი. IRC-ის სერია. I დღე. ბელგია.
**02:00** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**02:30** ექსტრემალური სპორტი.

ვარსკვლავები მოედნებს მიღმა

# სამი გოგო SPORT ILLUSTRATED-იდან

**მარია კირილენკომ, დანიელა ჰანტუხოვამ და ტატიანა გოლოვინმა ამერიკული ჟურნალისთვის იპოზიორეს**



კირილენკო, ჰანტუხოვა და გოლოვინი



გოლოვინი



კირილენკო



ჰანტუხოვა



# შარაპოვა მოდის სამსახურში

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მარია შარაპოვამ** ცნობილ მაღაზია Liberty-ს, ესტუმრა სადაც წარადგინა ტანსაცმელების კოლექცია, რომელიც ლონდონის მოდის კოლეჯის სტუდენტ ჯორჯი დევისის მიერ არის შექმნილი. ეს აქცია Sony Ericsson-თან თანამშრომლობით ჩატარდა. როგორც ცნობილია, ეს კომპანია შარაპოვას ერთ-ერთი სპონსორია.

*"მსგავს აქციებში დიდი სიამოვნებით ვიღებ მონაწილეობას. ეს მხარს უჭერს ხელოვნებას და აფართოებს მოდის საზღვრებს. ჯორჯის მიერ შემქნილი დიზაინი გვიჩვენებს, რომ მოდა და ტექნოლოგიები კარგად ეხამებიან ერთმანეთს"*, - ამბობს შარაპოვა.

# მარიო ლემიეს აუზში

"პიტსბურგ პინგვინზის" ჰოკეისტები სტენლის თასის მოპოვებას ზეიმობენ. ჰოკეის ეროვნული ლიგის მთავარი პრიზი ხელიდან ხელში გადადის. ამჯერად ის "პიტსბურგის" ლეგენდარული ჰოკეისტის **მარიო ლემიეს** ვილას სტუმრობდა და ჰოკეისტებთან ერთად იქაურ აუზში "ინებივრა".



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge